

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал  
“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 3-4, 2013

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; გ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (რუსეთი); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწყაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралова А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурицкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папавя В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (Украина); Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л., Читанавя Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаური Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELDADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. LIBUTI; R. JABNIDZE.

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა

|  |    |
|--|----|
| გურამ ჩარგაზია - სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა –<br>სახეობები და მიმართულებები ----- | 8  |
| ეკა ჩოხელი - ბიზნეს-კომპანიების მდგრადი<br>განვითარების ორიენტირები -----            | 15 |

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

|   |    |
|---|----|
| ანზორ აბრალავა - ღია ეკონომიკის პოზიტიური<br>და ნეგატიური ასპექტები -----   | 22 |
| ელგუჯა მელაძე - სოციალური დიალოგი და<br>მისი განხორციელების გარემო საქართველოში-----  | 31 |
| ქეთევან კინმარიშვილი - შრომის ანაზღაურების<br>ზოგიერთი ასპექტი -----  | 43 |
| ვახტანგ დათაშვილი, გიორგი ცინცაძე, მარიამ დათაშვილი -<br>შრომის ბაზარი: დასაქმების პოლიტიკის ფორმირების<br>პრობლემები საქართველოში----- | 47 |
| რამაზ გერლიანი - ეკონომიკური თავისუფლებისა და<br>ეკონომიკური კრიზისების ზოგიერთი ასპექტები -----  | 53 |
| ელგუჯა მელაძე- შრომითი ურთიერთობების რეგულირების<br>გლობალური გამოწვევები და მოდელები -----   | 65 |
| ბადრი დავითაია - მოგების ოპტიმალური მოცულობის<br>გაანგარიშების მეთოდიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში -----                              | 74 |
| გიგლა გაბაიძე - ინფლაციის დონე საქართველოში,<br>მისი გამომწვევი მიზეზები და ეკონომიკური შედეგები-----                                   | 80 |

## შინადასახეობა, განაკები, პირუბები

ბესარიონ ბაუჩაძე - მმართველობითი აღრიცხვის სისტემის  
ფორმირება საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული

|  |    |
|--|----|
| დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესში-----         | 88 |
| <b>ირმა კვეტენაძე</b> - რისკების მართვის სისტემა |    |
| კომერციულ ბანკებში -----                         | 99 |

### **რეგიონული ეკონომიკა**

|  |     |
|--|-----|
| <b>იულია ონიანი, ნატო ჩიკვილაძე</b> - რეგიონის მოსახლეობის |     |
| ცხოვრების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიის                  |     |
| სრულყოფისათვის -----                                       | 105 |
| <b>ლალი ხარბედია</b> - საქართველოს ადგილი რეგიონულ         |     |
| და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში -----                      | 119 |

### **დარგობრივი ეკონომიკა**

|   |     |
|---|-----|
| <b>ლელა ბიჭიაშვილი</b> - ტურიზმის თანამედროვე           |     |
| მიმართულებების განვითარება საქართველოში -----           | 129 |
| <b>ბადრი დავითაია</b> - საბრუნავი კაპიტალის გამოყენების |     |
| ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში -----          | 135 |
| <b>ქეთევან კინმარიშვილი</b> - მეთოდიკები, რომლებიც      |     |
| ემყარება ინდექსური ინდიკატორების გამოყენებას -----      | 141 |
| <b>Maria Johann</b> - Creating the Unique Destination   |     |
| Proposition (The Case of Poland) -----                  | 144 |

### **ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი**

|  |     |
|--|-----|
| <b>ზურაბ ვაშაკიძე, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია,</b>         |     |
| <b>რამაზ შაყულაშვილი</b> - მმართველობითი აღრიცხვა        |     |
| და მისი ძირითადი პრინციპები -----                        | 154 |
| <b>გოჩა ქუბაბრია</b> - გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში |     |
| მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემა -----                      | 165 |
| <b>მანანა სამადაშვილი</b> - ტრენინგების ეფექტიანობის     |     |
| მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში -----                 | 173 |

|  |     |
|--|-----|
| <b>Ashot Matevosyan, Vahan Baghdasaryan -</b>            |     |
| New approaches to assessment of tax risks -----          | 177 |
| <b>ქეთევან კინძარიშვილი - საქართველოში</b>               |     |
| ბიზნეს გარემოს შექმნის სტრატეგიები -----                 | 182 |
| <b>Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili -</b>    |     |
| Marketing planning as a system to achieve                |     |
| the strategic goals of the company -----                 | 186 |
| <b>ლია ბერიკაშვილი - სამრეწველო ბაზრის სეგმენტირება,</b> |     |
| თარგეთირება და პოზიციონერობა-----                        | 191 |
| <b>ეკა ჩოხელი - მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ასპექტები</b>  |     |
| და მათი შეფასება ქართულ ბიზნეს-კომპანიებში -----         | 196 |
| <b>Ashot Matevosyan, Mane Matevosyan -</b>               |     |
| Problem of Tax Planning in Enterprises -----             | 202 |
| <b>ევგენი ბარათაშვილი, ლია ბერიკაშვილი,</b>              |     |
| <b>ანზორ აბრალავა - სამრეწველო კლასტერების</b>           |     |
| ფორმები თანამედროვე ბიზნესში-----                        | 209 |

## მსოფლიო ეკონომიკა

|  |     |
|--|-----|
| <b>გოჩა ჭუბაბრია - საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების</b> |     |
| მნიშვნელობა და როლი გლობალურ პროცესებში-----                   | 214 |
| <b>Карпет Аракелян - Глобализация и тенденции</b>              |     |
| изменений в образовании -----                                  | 223 |
| <b>ლალი ხარბედია - მოდერნიზმი და</b>                           |     |
| ეთნოეკონომიკური სისტემები -----                                | 234 |
| <b>რეფერატები -----</b>  | 241 |

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS

|  |    |
|--|----|
| <b>Guram Chargazia</b> - The State Fiscal Policy – Forms and Trends -----                      | 8  |
| <b>Eka Chokheli</b> - Guidelines for the Sustainable<br>Development of Business Companies----- | 15 |

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

|   |    |
|---|----|
| <b>Anzor Abzalava</b> - Positive and Negative Aspects of Open Economy-----  | 22 |
| <b>Elguja Meladze</b> - Social Dialogue and its implementation<br>Environment in Georgia -----  | 31 |
| <b>Ketevan Kitsmarishvili</b> - Some Aspects of Salary Payment-----   | 43 |
| <b>Vakhtang Datashvili, Giorgi Cincadze, Mariam Datashvili</b> -<br>The Labor Market: the Problems of Formation<br>of Employment Policy in Georgia----- | 47 |
| <b>Ramaz Gerliani</b> - Some Aspects of Economic<br>Freedom and Economic Crisis -----   | 53 |
| <b>Elguja Meladze</b> - Global Challenges and Models<br>of Regulation of Labor Relationship -----   | 65 |
| <b>Badri Davitaia</b> - The Methodic of Calculation of the Optimum<br>level of Profit in the Conditions of Modern Market Economy -----                  | 74 |
| <b>Gigla Gabaidze</b> - The Inflation level in Georgia, its Causes,<br>and Economic Results-----  | 80 |

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

|  |    |
|--|----|
| <b>Besarion Bauchadze</b> - Formation of the Managerial Accounting<br>System in the Process of Strategic Planning and Budgeting<br>of Investment Opportunities ----- | 88 |
| <b>Irma Kvetenadze</b> - System of Risk Management in Commercial Banks-----  | 99 |

## REGIONAL ECONOMY

|  |     |
|--|-----|
| <b>Iulia Oniani ,Nato Chikviladze</b> - For Improving the Methodology of Evaluation of the life quality of District Population ----- | 105 |
| <b>Lali Kharbedia</b> - The Place of Georgia in Regional and Global Economic Space -----   | 119 |

## SECTORAL ECONOMY

|  |     |
|--|-----|
| <b>Lela Bichiasvili</b> - The Development of Modern Directions of Tourism in Georgia-----                    | 129 |
| <b>Badri Davitaia</b> - The Efficiency of Usage of Working Capital in the conditions of Market Economy ----- | 135 |
| <b>Ketevan Kitsmarishvili</b> - Methodic based on Usage of Index Indicators ----                             | 141 |
| <b>Maria Johann</b> - Creating the Unique Destination Proposition (The Case of Poland) -----                 | 144 |

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

|   |     |
|---|-----|
| <b>Zurab Vashakidze, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Ramaz Shakulashvili</b> - Managerial Accounting and its main Principles -----        | 154 |
| <b>Gocha Chubabria</b> - Some Problems of Management in Global Economic Relationships -----   | 165 |
| <b>Manana Samadashvili</b> - The Importance of Effectiveness of Trainings in the Development of Business -----                          | 173 |
| <b>Ashot Matevosyan, Vahan Baghdasaryan</b> - New approaches to assessment of tax risks -----   | 177 |
| <b>Ketevan Kitsmarishvili</b> - The Strategies for creating the Business Environment in Georgia-----                                    | 182 |
| <b>Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili</b> - Marketing Planning as a System to achieve the Strategic Goals of the Company----- | 186 |

|  |     |
|--|-----|
| <b>Lia Berikashvili</b> - Segmentation, Targeting<br>and Positioning of Industrial Market -----                              | 191 |
| <b>Eka Chokheli</b> - The Main Aspects of Management<br>and their Estimation in Georgian Business Companies-----             | 196 |
| <b>Ashot Matevosyan</b> - Problem of Tax Planning in Enterprises -----   | 202 |
| <b>Evgeni Baratashvili, Lia Berikashvili, Anzor Abralava</b> -<br>Designs of Industrial Clusters in the Modern Business----- | 209 |

### WORLD ECONOMY

|   |     |
|---|-----|
| <b>Gocha Chubabria</b> - The Importance and Role<br>of International Economic Organizations in the Global Processes ----- | 214 |
| <b>Karapet Arakelyan</b> - Globalization and Tendencies<br>of the Changes in Education-----                               | 223 |
| <b>Lali Kharbedia</b> - Modernism and the Economic Systems -----  | 234 |
| <b>SUMMARY</b> -----  | 241 |



**სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა-სახეობები  
და მიმართულებები**

**გურამ ჩარგაზია**  
სტუ დოქტორანტი

ფისკალური პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებებს, რომელსაც ახორციელებს მთავრობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების სიდიდის ცვლილების გზით (ამიტომ ფისკალურ პოლიტიკას საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასაც უწოდებენ). ფისკალური პოლიტიკის მიზნებს, რომელიც მიმართულია ეკონომიკური რყევების შესამცირებლად, წარმოადგენს: 1. სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა; 2. სრული დასაქმების პრობლემის დარეგულირება; 3. ფასების სტაბილური დონის (ინფლაციის პრობლემის გადანყვეტა) უზრუნველყოფა.

ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულწილად ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ეკონომიკის რეგულირება წარმოებს ერთობლივი დანახარჯების სიდიდეზე ზემოქმედების გზით. ფისკალური პოლიტიკის ზოგიერთი ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთობლივი მოთხოვნის სახით საქმიანი აქტივობის დონეზე ზეგავლენის მიზნით. ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებად გვევლინება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები, კერძოდ, ა) სახელმწიფო შემოსავლები; ბ) გადასახადები; გ) ტრანსფერტები.

ეკონომიკის ციკლის ფაზებიდან გამომდინარე, რომელშიც იმყოფება ეკონომიკა, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები გამოიყენება როგორც: 1) მარეგულირებელი, 2) შემაჩერებელი.

მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება ეკონ-



## **ეკონომიკური რეფორმა**

ომიკის დაცემის დროს. მისი მიზანია რეცესიული პროცესებისა და უმუშევრობის დონის შემცირება. მის ინსტრუმენტებად გვევლინება:

ა) სახელმწიფო შესყიდვების გაზრდა; ბ) გადასახადების შემცირება; გ) ტრანსფერტების გაზრდა. შემაჩერებელი ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება ჭარბი ეკონომიკის დროს. მისი მიზანია ინფლაციის დონის შემცირება და მიმართულია ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვაზე. მის ინსტრუმენტებად გამოიყენება ა) სახელმწიფო შესყიდვების შემცირება; ბ) გადასახადების გაზრდა; გ) ტრანსფერტების შეზღუდვა.

ამას გარდა განასხვავებენ სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის ორ **სახეობას**: 1) დისკრეტული და 2) არადისკრეტული ფისკალური პოლიტიკა. დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის საკანონმდებლო ცვლილებებს სახელმწიფო შესყიდვების, გადასახადებისა და ტრანსფერტების სიდიდესთან დაკავშირებით და ემსახურება ეკონომიკის სტაბილურობას. ეს ცვლილებები კი ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ძირითად ფინანსურ გეგმაში-ბიუჯეტში.

არადისკრეტული (ავტომატური) ფისკალური პოლიტიკა დაკავშირებულია ავტომატური (ჩაშენებული) სტაბილიზატორების მოქმედებასთან. ავტომატური სტაბილიზატორები წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომელთა სიდიდეც არ იცვლება, მაგრამ მათი არსებობა ავტომატურად იწვევს ეკონომიკის სტაბილიზაციას, ასტიმულირებს საქმიან აქტივობას დაცემის დროს და აჩერებს მას ჭარბი ეკონომიკის დროს. ავტომატურ სტაბილიზატორებს მიეკუთვნება: 1) საშემოსავლო გადასახადი; ბ) არაპირდაპირი გადასახადები (პირველ რიგში დამატებული ღირებულების გადასახადი); გ) დახმარება უმუშევრობაზე; დ) დახმარება სიღარიბეზე.

განვიხილოთ ავტომატური სტაბილიზატორების როლი ქვეყნის ეკონომიკაზე. საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს ორი სახით: საქმიანი აქტივობის დაცემისას იგი მცირდება, ამიტომ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სიდიდეც მცირდება, ხოლო ჭარბი ეკონომიკის დროს, როდესაც მშპ-ის სიდიდე ფაქტიურად მაღალია, საგადასახადო შემოსავლები იზრდება. ამ შემთხვევაში საგადასა-

ხალო განაკვეთები უცვლელია. გადასახადები ხომ ეკონომიკიდან ამონაგებია, რომლებიც მოქმედებს დანახარჯების ნაკადებზე და მაშასადამე, გასავლებზეც. გამოდის, რომ ეკონომიკის დაცემისას ამონაგების სიდიდე მინიმალურია, ხოლო სიჭარბის დროს მაქსიმალური.

ანალოგიური სახით ავტომატურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფს დღგ. რეცესიის დროს გადასახადების მოცულობა მცირდება, და რამდენადაც იგი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, გაყიდვების მოცულობის შემცირებისას საბიუჯეტო შემოსავლები არაპირდაპირი გადასახადებიდან მცირდება. ეკონომიკის სიჭარბის შემთხვევაში კი პირიქით. ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგად გაყიდვების მოცულობა იზრდება, რაც ზრდის არაპირდაპირი გადასახადების შემოდინებას ბიუჯეტში. ამ შემთხვევაში ეკონომიკა ავტომატურად სტაბილიზდება.

რაც შეეხება დახმარებას უმუშევრობასა და სიღარიბეზე, საერთო თანხა მათ გადასახდელად იზრდება ეკონომიკის დაცემისას და მცირდება როდესაც დასაქმების დონე იზრდება და შესაბამისად შემოსავლებიც მატულობს. ეს დახმარებები წარმოადგენს ტრანსფერებს, ე. წ. ინექციებს ეკონომიკაში.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის 2/3 რეგულირდება დისკრეტული ფისკალური პოლიტიკით, ხოლო 1/3 კი ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების გზით.

რამდენადაც სახელმწიფო დანახარჯები გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვას, ხოლო გადასახადები წარმოადგენს მისი შევსების ძირითად წყაროს, ფისკალური პოლიტიკა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მანიპულირებასთან.

საშუალოვადიან პერსპექტივაში საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფა გასავლების სფეროში იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ასახავს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობას;
- სახელმწიფო აქტივებისა და პასივების მართვის სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და უფრო მოქნილს გახდის

## **ეკონომიკური რეფორმა**

გატარებულ საბიუჯეტო პოლიტიკას, შეამცირებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალის დინამიკასთან;

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა, საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე ბიუჯეტებისა და საბიუჯეტო პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

- სამართლიანი, ნეიტრალური და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირება ეკონომიკური სუბიექტებისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირების გზით, მენარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანახარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდის გაზრდა. ფისკალური პოლიტიკის განხორციელების დროს შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ან პროფიციტი. ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, მთავრობა როგორ ახდენს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას ან როგორ გამოიყენება პროფიციტით გათვალისწინებული თანხები. დახურული ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ერთერთი წყარო არის სესხები მოსახლეობისაგან, მათზე ცენტრალური ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების მიყიდვის გზით, უკანასკნელ შემთხვევაში კი, ცენტრალური ბანკის აქტივები იზრდება და შესაბამისად იცვლება ფულადი ბაზა, ე. ი ხდება სახელმწიფო ვალდებულებების მონეტიზაცია.

საბიუჯეტო თანხების სიჭარბის (პროფიციტის) წარმოქმნისას შეიძლება ეს თანხები მიმართული იყოს მოსახლეობისა და ცენტრალური ბანკის წინაშე არსებული დავალიანების დასაფარავად. პირველ შემთხვევაში ქვეყანაში ფულის რაოდენობა არ იცვლება უბრალოდ იგი სახელმწიფო ანგარიშებიდან გადაედინება მოქალაქეების ანგარიშებზე, მეორე შემთხვევაში კი ფულადი მასის მოცულობა მცირდება ცენტრალური ბანკის აქტივების შემცირების შედეგად.

გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის იწვევს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ზრდას. თუ-

კი ცენტრალური ბანკი ხელს შეუწყობს ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციას, მაშინ სახელმწიფოს მოუწევს გაზარდოს მოთხოვნა ობლიგაციებზე, რასაც მიყვავართ საპროცენტო განაკვეთების გაზრდისკენ, ამ უკანასკნელზე მოთხოვნის გაზრდა იწვევს ფულის მასის ზრდას. ამას გარდა, სარგებლის განაკვეთის გაზრდა აძლიერებს „გამოდენის ეფექტი“-ს გატარების აუცილებლობას. „გამოდენის ეფექტი ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაა, როცა ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის შედეგად იზრდება სარგებლის განაკვეთი, და შესაბამისად, მცირდება საინვესტიციო ხარჯები“.<sup>1</sup>

რომ განვსაზღვროთ ფისკალური პოლიტიკის შედეგები „სუფთა სახით“, უნდა შევთანხმდეთ, რომ ცენტრალურ ბანკს ეკრძალება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება და ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ფულის რაოდენობის გაზრდა. რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის უპირატესობებს, მას შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. მულტიპლიკატორის ეფექტი. „მულტიპლიკატორის ეფექტი ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დამატებითი გადაადგილება, რომელიც გამონვეულია ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგად შემოსავლებისა და აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო ხარჯების გაზრდით“.<sup>2</sup> ფისკალური პოლიტიკის ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ერთობლივი მიზნების სიდიდეზე ზემოქმედების მულტიპლიკატორის ეფექტი;

2. საგარეო ლაგის არარსებობა. საგარეო ლაგი ეს დროის პერიოდია, ფისკალური პოლიტიკის შეცვლის გადანყვეტილებასა და ცვლილებით მიღწეული შედეგების მიღებას შორის. როდესაც მთავრობა იღებს გადანყვეტილებას ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების შეცვლასთან დაკავშირებით, და ეს ღონისძიებები შედის მოქმედებაში, ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების შედეგები ვლინდება უფრო სწრაფად.

3. ავტომატური სტაბილიზატორების არსებობა. რამდენადაც ეს სტაბილიზატორები ჩაშენებულია, მთავრობა არ საჭიროებს ეკ-

1 მენქიუ ჯ. ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოჯენე“. თბ; 2008. გვ. 752.

2 მენქიუ ჯ. ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოჯენე“. თბ; 2008. გვ. 749.

## **ეკონომიკური რეფორმა**

---

ონომიკის სტაბილიზაციისათვის სპეციალური ღონისძიებების მიღებას. სტაბილიზაცია ხორციელდება ავტომატურად.

ფისკალური პოლიტიკის ნაკლოვანებებია:

1. გამოდევნის ეფექტი. ამ ეფექტის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: ბიუჯეტის გასაღვლების ზრდა -დაცემის პერიოდში, ან/და ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება იწვევს ერთობლივი შემოსავლების მულტიპლიკატორის ზრდას, რაც ზრდის ფულზე მოთხოვნას და ზრდის ფულად (სასესხო კაპიტალის) ბაზარზე საპროცენტო განაკვეთს. რამდენადაც კრედიტებს პირველ რიგში იღებენ ფირმები, ამიტომ კრედიტების გაძვირება იწვევს კერძო ინვესტიციების შემცირებას, აქედან გამომდინარე, ფირმების საინვესტიციო დანახარჯების ნაწილის ჩანაცვლება იწვევს ერთობლივი მიწოდების შემცირებას. ასეთი სახით, კერძო საინვესტიციო დანახარჯების შემცირების გამო კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი იზრდება, რაც გამოწვეულია ხელისუფლების მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის გატარების გამო.

2. შიდა ლაგის არსებობა. შიდა ლაგი ეს დროის პერიოდია პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის წარმოშობიდან მისი შეცვლის გადანყვეტილების მიღებამდე. ფისკალური პოლიტიკის შეცვლის გადანყვეტილებას იღებს მთავრობა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოსთან (პარლამენტი, კონგრესი და სხვ.) შეთანხმებით. ეს განხილვა და შეთანხმება მოითხოვს დიდ დროს. დროის ამ პერიოდში კი სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, თუ თავდაპირველად ეკონომიკაში იყო რეცესია და მიიღეს მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებები, მათი მოქმედების დასაწყისში შეიძლება დაიწყოს აღმავლობა. შედეგად, დამატებითმა სტიმულირებამ შეიძლება მიგვიყვანოს ჭარბ ეკონომიკამდე და გამოიწვიოს ინფლაციის პროვოცირება, ე. ი. ხელი შეუწყოს ეკონომიკის დესტაბილიზაციას და პირიქით, შემაჩერებელი ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებებს, შემუშავებულს ბუმის პერიოდში, შიდა ლაგის გაგრძელების არსებობით შეუძლია გააღრმავოს დაცემა.

3. განუსაზღვრელობა. ეს ნაკლოვანება დამახასიათებელია არა მხოლოდ ფისკალური, არამედ მონეტარული პოლიტიკისთვისაც.

საქართველოში 2012 წელს შემუშავდა ფისკალური კონსოლიდაციის (საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების) გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 2013 წელს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას 3 %-მდე, (2009 წელს ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 9,2 %-ს). ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებით დადგენილი ღონისძიებები ნარმატებით განხორციელდა. 2012 წელს დეფიციტის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დაფიქსირდა დაგეგმილი 3,5%-ის ნიშნულზე და აღნიშნული შეიძლება შემცირდეს 3%-მდე, რაც ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას უზრუნველყოფს და სწორი საგადასახადო და საბიუჯეტო დაგეგმვის შედეგია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოგენე“, თბ; 2008.
2. ყირიმლიშვილი ნ. ფინანსები. თბ; 2006.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. 2009, 18 დეკემბერი.
4. [www.mof.ge](http://www.mof.ge).
5. [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

**ბიზნეს-კომპანიების ელზრადი  
ბანკოთარების ორიენტირები**

**ეკა ჩოხელი**

თსუ ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე გლობალურ სივრცეში მიმდინარე მოვლენები და ცვალებადი გარემო ბიზნეს-კომპანიების წარმატებას სულ უფრო და უფრო ართულებს. გარემოზე ზრუნვა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, შენარჩუნება და განვითარება ხდება მნიშვნელოვანი არა მარტო ცალკეული ქვეყნისთვის, არამედ თითოეული კომპანიისთვის, რომელიც დაკავებულია სხვადასხვა ბიზნესით. ამიტომ დღეს კომპანიების მხრიდან სულ უფრო აქტუალური ხდება მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის მიღწევა დაინტერესებული მხარეების (აქციონერები, კრედიტის გამცემები, მომხმარებელი, თანამშრომლები, მომწოდებლები და საზოგადოება) ინტერესებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის გათვალისწინებით.

ბიზნეს-კომპანიების მდგრადი განვითარება გულისხმობს აქცენტს ისეთ ორიენტირებზე, როგორცაა: ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობა და გარემოს დაცვა ერთდროულად. იბადება კითხვა, რამდენად ხელსაყრელია ბიზნესისათვის მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია. ბიზნესის ზოგიერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ ბიზნესის პრინციპული მიზანი უნდა იყოს მოგებისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ზოგიერთი კი მასთან ერთად აღიარებს ფართო სოციალურ როლს, ზოგიერთი — გარემოს დაცვას. არ არსებობს კონსენსუსი ბიზნესის ლიდერებს შორის, როგორ დაიცვან ბალანსი ამ სამ ორიენტირს შორის.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ კომპანიების მუდმივი სწრაფვა ეკონომიკური ზრდისკენ იწვევს მათ მიმართ უყურადღებობას, თავის მხრივ მუდმივი ზრუნვა გარემოს დაცვაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და მკაცრი რეგულირება ხშირად აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური ზრდის შენარჩუნ-

ნებისთვის კომპანიებს მუდმივად უხდებათ არჩევანის გაკეთება სურვილსა და ვალდებულებას შორის, ამიტომ როცა კომპანიების წინაშე ისმება კითხვა: ჯანსაღი გარემო, საზოგადოებრივი კეთილდღეობა თუ ეკონომიკური ზრდა? პასუხი ცალსახაა, ეკონომიკური განვითარების მიღწევა ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა კომპანიების საქმიანობის შეფასება ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით, გვიჩვენებს, რომ რომ განვითარებულ ქვეყნებში ფოკუსირება ხდება გარემოს დაცვაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე, განვითარებად ქვეყნებში კი, სწრაფ და მუდმივ განვითარებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

უუნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს-კომპანიების მდგრადი განვითარება არის თავისთავად ხელსაყრელი ბიზნესისათვის, რადგან იგი ფართო გასაქანს აძლევს მომწოდებლებს, გარემოს დამცველებს, ფირმებს, რომლებიც ინვესტიციებს დებენ ეკოეფექტურობის ამაღლებაში და ყველას, რომლებსაც შეაქვთ თავისი წვლილი სოციალური კეთილდღეობის ამაღლებაში. მაგალითად, ცნობილია, რომ მრავალი მომხმარებელი არის მზად გადაიხადოს მეტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაში, ასევე ხშირად იქმნება ეთიკური საინვესტიციო ფონდები, რომლებიც აქცენტს აკეთებს კორპორატიული ეკოლოგიური ღონისძიებების დაფინანსებაზე. ასეთი მომენტები კომპანიებს საშუალებას აძლევს შეიცვალოს შინაგანად, და არა გარედან მომხმარებლების ან გარემოს დამცველების ზეწოლის გამო. ასეთი კომპანიები სხვებისგან განსხვავებით უფრო სწრაფად აღწევენ ეკონომიკურ ეფექტიანობას, კონკურენტული უპირატესობას და ადგილობრივი საზოგადოების კეთილგანწყობას.

როცა კომპანიები ორიენტაციას იღებენ მდგრად განვითარებაზე, აუცილებელია შემუშავდეს კონცეფცია, რომელიც გახდება ბიზნეს-კომპანიების პოლიტიკის ნაწილი. იგი უნდა იყოს ინტეგრირებული ბიზნესის დაგეგმვისა და მართვის სისტემებთან, ორგანიზაციულ კულტურასთან. ძირითადი ასპექტები უნდა იყოს გათვალისწინებული გადამწყვეტილების მიმდებარისა და მმართველების თითოეულ ქმედებაში. მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება საკმაოდ სპეციფიკურია და მოითხოვს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, როგორცაა:



**❖ გარემოსა და დაინტერესებული მხარეების ანალიზი.**

როგორც ზემოთ ავლინდნენ, კომპანიის მდგრადი განვითარება ძირითადად უკავშირდება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვის ასპექტებს. ამიტომ კომპანიამ უპირველეს ყოვლისა უნდა მოახდინოს იმ გარემო ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მის წარმატებაზე, მოგების ზრდაზე თუ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. კერძოდ, უნდა შეფასდეს კომპანიის გარე გარემო და შიგა ვითარება: ეკონომიკური, პოლიტიკური სოციალურ-კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური მდგომარეობა, სამართლებრივი რეგულირება; ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობა; კადრები, მართვის ორგანიზაცია (წარმოება, ორგანიზაციული, ოპერაციული და ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლები; მეცნიერული კვლევები), ფინანსები, მარკეტინგი, ორგანიზაციული კულტურა.

გარემო ფაქტორების შეფასების შემდეგ მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ანალიზი და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის განსაზღვრა. დაინტერესებული მხარეების ანალიზი საჭიროა ყველა პირის დასადგენად, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობაზე. ახორციელებს რა ბიზნესს, კომპანიამ უნდა აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა მათ მიმართ. ამ საუკუნის დასაწყისში, კომპანიები ძირითადად მისწრაფოდნენ მაქსიმალური შემოსავლების მიღებისკენ და მათ მიზანს არ წარმოადგენდა სოციალური პასუხისმგებლობა და გარემოს დაცვა.

დღეს, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში ბიზნეს-კომპანიები ფუნქციონირებენ უფრო რთულ და რეგულირებად გარემოში. კომპანიებს სურვილის გარდა, მრავალი კანონი, მათ შორის საერთაშორისო კონვენციები, მემორანდუმები, დეკლარაციები, როგორცაა: სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ზოგადი სტანდარტები, საერთაშორისო სტანდარტები გარემოს, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროში, აიძულებს პასუხისმგებელი იყვნენ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მიმართ და იზრუნონ გარემოს და-

ცვაზე. ამიტომ, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება არის მდგრადი განვითარების კონცეფციის ცენტრალური კომპონენტი. მათი ანალიზი იწყება სხვადასხვა ჯგუფების გამოვლენით, რომლებზეც გავლენას ახდენს ბიზნესის აქტივობები. იგი მოიცავს აქციონერებს, კრედიტორებს, თანამშრომლებს, მომხმარებლებს, მომწოდებლებს და საზოგადოებას, რომელშიც სანარმო ფუნქციონირებს, ასევე პირებს, რომლებიც დაზარალებულები არიან, ან რომლებიც თვლიან თავს დაზარალებულად იმ მოვლენებით, რომელიც გამონვეულია კომპანიის საქმიანობის ზეგავლენით ბიოსფეროზე და სოციალურ კაპიტალზე.

დაინტერესებული მხარეების ჯგუფების იდენტიფიცირების შემდეგ, მენეჯმენტი აყალიბებს მათ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. აქ უნდა გადმოიციეს, როგორც მიმდინარე ასევე მომავალი მოთხოვნები და უნდა გაკეთდეს დასკვნა- პოზიტიურ თუ ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობა თითოეულ დაინტერესებულ მხარეზე.

იმის გამო, რომ დაინტერესებული ჯგუფების მოთხოვნები მუდმივად ვითარდება, მონიტორინგი უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რაც დამატებით საშუალებას იძლევა დასაწყისშივე გამოვლინდეს და აღმოიფხვრას შესაძლო მოსალოდნელი კონფლიქტები დაინტერესებულ მხარეებს შორის. მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ახალი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ხოლო ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მომუშავეებს სამუშაო ადგილების შემცირების სახით, აქციონერებს ინვესტიციებიდან უკუგების მიღების სახით და ა.შ.

❖ **მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.** ორგანიზაციის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მენეჯერებს. მართალია მდგრადი განვითარება ნიშნავს მეტს, ვიდრე მხოლოდ „გარემოს დაცვა“, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკა არის აუცილებელი პირველი ნაბიჯი. თუმცა მენეჯმენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები და მოლოდინები, რომელიც ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებთან ერთად ასევე უნდა აისახოს კომპანიის პოლიტიკაში. ასე-

## **პონოშიური რაზორა**

---

თი პოლიტიკა უნდა დაედოს საფუძვლად დაგეგმვის პროცესს და ფასეულობებს, რომლისკენაც მიისწრაფის მენეჯმენტი, თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული ჯგუფები. მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია:

- ❖ გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინება ბიზნესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც უკავშირდება პროდუქტის კვლევებსა და განვითარებას, სანარმოს ახალი მეთოდების შემუშავებას;

- ❖ გარემოს დაცვის რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა კომპანიის და პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, რათა შემცირდეს არასასურველი შედეგების ალბათობა;

- ❖ ყველა შესაძლო იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულება და საჭიროების შემთხვევაში, უფრო მკაცრი სტანდარტების მიღება თანამშრომლებისა და იმ საზოგადოების დაცვისათვის, რომელშიც კომპანიას უნევს მოქმედება;

- ❖ ფორმალური გარემოს დაცვის პროგრამის შემუშავება და კონკრეტული, გაზომვადი მიზნების განსაზღვრა;

- ❖ გარემოს დაცვის პროგრამის წარმატების შეფასება რეგულირების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებსა და პრაქტიკულობის შესაბამისობის კუთხით;

- ❖ მიზნების მიღწევის სახელმძღვანელო პრინციპებისა და მეთოდების დამუშავება, გაანალიზება და გამოყენება;

- ❖ გარემოს დაცვის საქმიანობის შესახებ საჯარო წლიური შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება და მიღება;

- ❖ მუშაობა მომნოდებლებთან, მომხმარებლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან, რათა ერთად მიიღწეს გარემოს დაცვის რაც შეიძლება მაღალი სტანდარტები;

- ❖ ურთიერთობების დამყარება სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა მთავრობა, სამეცნიერო საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ფართო საზოგადოება;

- ❖ რეგულარული კომუნიკაციების უზრუნველყოფა და ტრენინგების განხორციელება თანამშრომლების გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისთვის.

მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელება არის ყველაზე რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომლის წარმატებით განხორციელება კომპანიას აძლევს საშუალებას მიაღწიოს თავის დასახულ მიზნებს. მისი რეალიზაცია არის თეორიულად ფორმირებული იდეების გარდაქმნა კონკრეტულ ღონისძიებებში. მდგრადი განვითარების პოლიტიკა არის წმინდა ადმინისტრაციული სახის საქმიანობა, რომელიც მიმართულია შემდეგი ამოცანების გადაჭრაზე: ბიუჯეტის გადახედვა; ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება ეფექტური კომპანიის ფორმირების მიზნით; მხარდაჭერი პოლიტიკისა და პროცედურის შემუშავება; ინფორმაციული, კომუნიკაციური, ოპერაციული და ელექტრონული სისტემების დანერგვა; ორგანიზაციული კულტურის, დაჯილდოებისა და ანაზღაურების სისტემის შეცვლა; სათანადო ხელმძღვანელობა.

❖ **შედეგების შეფასება და ანგარიშების მომზადება.** შედეგების შეფასება ლოგიკურად არის დასკვნითი ეტაპი. მისი საშუალებით მენეჯმენტი საბოლოოდ აფასებს, თუ რამდენად შეძლო კომპანიამ შემუშავებული პოლიტიკით დასახული მიზნებისა და სასურველი შედეგების მიღწევა. ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია აქვეყნებს მდგრადი განვითარების ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას კომპანიის ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვის მაჩვენებლების შესახებ. მდგრადი განვითარების ანგარიშება, ძირითადად ნებაყოფლობითი ვალდებულებაა. იგი ზოგადად ხელს უწყობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას, რადგანაც ანგარიშება ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს უკეთ შეაფასონ, დაგეგმონ და მართონ საკუთარი გარემოს დაცვის და სოციალური ზეგავლენები, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებობაზე და ხელს უწყობს საზოგადოების მხრიდან კომპანიათა მიმართ ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბებას და შესაბამისად, კომპანიის პასუხისმგებლობის ზრდას.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი; სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; №120; 2011 წ; გვ. 25

## **ეკონომიკური რაზორმა**

---

ამრიგად, ბიზნეს-კომპანიებისათვის მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია უნდა გახდეს პრიორიტეტული, რადგან იგი დამატებით უზრუნველყოფს მათი იმიჯის ამაღლებას, მომხმარებელთა ლოიალობის ზრდას, სახელმწიფო ორგანოებისა და საერთოდ საზოგადოების კეთილგანწყობას და შესაბამისად კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ბაზარზე მონინავე პოზიციების დაკავებას.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. [www.wikipedia.org/wiki/Sustainable\\_development](http://www.wikipedia.org/wiki/Sustainable_development)
2. <http://mapeer-sme.eu/en/programmes-for-smes/search-in-the-online-database/enviromental-technologies-and-sustanable-development-FR>
3. Bussiness\_strategy, pdf-foxet reader; Business strategies for sustainable development
4. ბიზნესის მდგრადი განვითარების სტრატეგია, ე. ჩოხელი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ, 23-24/03.2012, თბილისი, გვ. 236
5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი; სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; №120, 2011.



## ეკონომიკური თეორიის თანაგედროვე პრობლემები



### ღია ეკონომიკის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

ანზორ აბრალავა

ემდ, სტუ სრული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში მრავალგვარი კავშირურთიერთობები მყარდება და ვითარდება, ინტენსიურად მიმდინარეობს მისი ინტერნაციონალიზაციის ობიექტური პროცესი. ამის გამო აუცილებელი ხდება საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის კვლევა და საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე დაკვირვება, რათა მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ მათგან. ეს განსაკუთრებით ეხება საშუალოდ და მცირედ განვითარებულ ქვეყნებს, რომელთათვისაც ინტერნაციონალიზაციის პროცესი ზოგადად სასიკეთოა და წინააღმდეგობრივიც, რადგან გარდაუვალია ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება და ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედება.

ამჟამად მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანია ეროვნულ მეურნეობათა კარგახსნილობა, რის ფორმირებაშიც დიდ როლს მთავრობები თამაშობენ. ისინი სტიმულს აძლევენ საექსპორტო წარმოების განვითარებას, ხელს უწყობენ უცხოურ ფირმებთან კოოპერირებას და ქვეყნების საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებას. ღია ეკონომიკა იმთავითვე გულისხმობს სამეურნეო საქმეებში სახელმწიფოს შეზღუდულ ჩარევას, საგარეო ვაჭრობის სფეროში სახელმწიფო მონოპოლიის უქონლობას, თავისუფალი და სპეციალური სავაჭრო-საფინანსო ზონების შექმნას და ა.შ.

თანამედროვე პირობებში წარმოებაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული არა ეროვნულ, არამედ მსოფლიო ბაზარზე. XXI ს. დასაწყისში სხვადასხვა

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ჯგუფის ქვეყნებში წარმოებული მშპ-ის საშუალოდ 1/5 ნაწილი საგარეო ბაზრებზე სარეალიზაციოდ იყო განკუთვნილი. ამკარაა, რომ ეკონომიკურ იზოლაციაში ყოფნა ჩამორჩენილობასა და სოციალურ-ეკონომიკურ უპერსპექტივობას უქადის ქვეყნებს. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ყველა ახალი მოვლენის ორგანიზაციულ-ეკონომიკური საფუძველი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების გადამწყვეტი ფაქტორია საერთაშორისო ინტეგრაციის მუდმივად განვითარება და გაღრმავება.

მსოფლიო მეურნეობის შექმნა არ ნიშნავს მასში ყველა ეროვნული ეკონომიკის ავტონომიურად ჩართვას. ამას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ მონაწილის ეკონომიკური (და/ან პოლიტიკური) სარგებლობა. ამასთან, მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლოდ დასახული ეროვნული ინტერესი, ხოლო მთავარი პირობა-მისი პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, ეკონომიკის მკვეთრი რყევების უქონლობა და გახსნილობა.

საყურადღებოა ისიც, რომ ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების და მსოფლიო სამეურნეო კავშირების გართულების პროცესში თვითონ ღია ეკონომიკის ცნებაც იცვლება. მაგალითად, XXს. შუა ხანებში კარგახსნილობა უპირატესად ნიშნავდა ქვეყნის მონაწილეობის დონეს მოფლიო ვაჭრობასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ძირითად მაჩვენებლად იყენებდნენ საექსპორტო კვოტას და საგარეო სავაჭრო კვოტას. ეკონომიკის კარგახსნილობის დონე მისაღებად მიაჩნდათ, თუკი პირველი არანაკლებ 10, მეორე კი - არანაკლებ 25% იყო. 1982-1991 წლებში მსოფლიო საექსპორტო კვოტა 18%-ს აჭარბებდა, 2000 წლისთვის კი იგი უკვე 23,6% იყო.<sup>1</sup> ასე, რომ ეს მაჩვენებელი გამუდმებით მალღდება, რის გამოც ჩვენს საუკუნეში იგი შეზღუდულად და არასაკმარისადაა აღიარებული. ამჟამად ეკონომიკის კარგახსნილობა ნიშნავს ქვეყნის აქტიურად მონაწილეობას არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობაში, არამედ სხვაგვარ სამეურნეო კავშირებშიც-წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მო-

**1** *Мировая экономика. Уч. пособие для вузов. Под ред. И. П. Николаевой . М., ЮНИТИ -ДАНА, 2000 стр. 101.*

ბილობასა და სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობებში. მსოფლიო მეურნეობის და ეროვნული ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი მოიპოვა კაპიტალის გატანამ. სწორედ მას უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ წარმოების პირდაპირ გასვლის პროცესი და გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბება. ხსენებულ ურთიერთდამოკიდებულებას კიდევ უფრო განამტკიცებს ფინანსების ბაზრების ფუნქციონირება. ამიტომ ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის დონის შეფასებისას ურთიერთმოქმედების ყველა ფორმისა და ყველა ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო.

ეკონომიკის კარგახსნილობა დღეს გუულისხმობს:

- გამჭვირვალობას ანუ მთელი ეროვნული მაკროეკონომიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მათ უტყუარობას;
- საგარეო სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზებას;
- ქვეყნის მონაწილეობას ინტეგრაციულ პროცესებში;
- ფინანსური ოპერაციების ლიბერალიზებას;
- ეკონომიკურ თავისუფლებას ქვეყნის შიგნით.

ყველა სახელმწიფო, რომელიც ღია ეკონომიკის პოლიტიკას ატარებს, ცდილობს შეზღუდოს თავის ეკონომიკურ საქმიანობაში საერთაშორისო ჩარევა და ზეეროვნულ ეკონომიკურ ორგანოებს მხოლოდ სარეკომენდაციო ფუნქციები დაუტოვოს. ყველაზე ფართოდ კარგახსნილი ქვეყნებიც კი უარს არ ამბობენ მკაცრ პროტექციონიზმზე. მაალითად, ლიდერი ქვეყნები მკაცრად ზღუდავენ უახლესი ტექნიკისა და მონინავე ტექნოლოგიების გატანას, აკონტროლებენ მეცნიერებისა და სპეციალისტების გასვლას საზღვარგარეთ სამუშაოდ, ექსპორტსა და იმპორტს შორის თანაფარდობას, სტრატეგიული ნედლეულისა და ფასეული საგნების გაყიდვას.

ეროვნული მეურნეობის კარგახსნილობის ერთ-ერთი გარე ასპექტია ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა, რასაც უზრუნველყოფს უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი სამენარმეო პირობები და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა. საგულისხმოა, რომ ქვეყანა და მისი ეკონომიკა მუდამ მზად უნდა იყოს საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალეფექტიანი



## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ფორმებისთვის. დაუშვებელია, რომ სახელისუფლებო შტოების არაადეკვატურმა მოღვაწეობამ ფორს-მაჟორული ვითარება შეუქმნას ეროვნული მეურნეობის მიმდინარე ფუნქციონირებას, შელახოს ქვეყნის იმიჯი, განსაკუთრებით, ინვესტორთა თვალში.

როგორც ცნობილია, ქვეყნების რეიტინგის შედეგებისას 4 ძირითად პარამეტრს ითვალისწინებენ:

1. ეკონომიკური ინტეგრაციას (საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, საერთაშორისო ინვესტიციები);
2. პიროვნული კონტაქტები (საზღვარგარეთ მოგზაურობები, ტურიზმი, საერთაშორისო სატელეფონო საუბრები, გზავნილები);
3. ტექნოლოგია (ინტერნეტის მოსარგებლეთა რაოდენობა);
4. საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართულობა (საერთაშორისო ორგანიზაციებში განევრიანება).

ამ პარამეტრების მიხედვით მსოფლიოს წინაშე ყველაზე უფრო კარგახსნილ ქვეყნებად მიჩნეულია ხოლმე სინგაპური, ჰონკონგი, ნიდერლანდები, დანია, აშშ, კანადა და ა.შ (ბოლო დროს - იორდანია და ესტონეთი(ც). ამ მხრივ ბოლო ადგილებს იკავებენ ირანი, ინდონეზია, ვენესუელა, ჩინეთი, ალჟირი, ბრაზილია და სხვები.

როგორც ვთქვით, მსოფლიო სამეურნეო პროცესებში ამა თუ იმ ქვეყნის მონაწილეობის ერთ-ერთი ამსახველია მათი საგარეო ვაჭრობის (ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) თანაფარდობა მშპ-თან. ამ მაჩვენებლის დინამიკა ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით 1998-2006 წლებში ასეთი იყო:

მშპ-თან საგარეო ვაჭრობის თანაფარდობა, %<sup>1</sup>

| ქვეყნები | 1998 | 2000  | 2005  | 2006  | რანგი |
|----------|------|-------|-------|-------|-------|
| აშშ      | 23,1 | 25,6  | 24,9  | 26,2  | 71    |
| იაპონია  | 20,3 | 20,7  | 25,2  | 28,2  | 69    |
| რფ       | 59,5 | 67,6  | 57,5  | 56,7  | 54    |
| ჩინეთი   | 39,2 | 49,1  | 76,3  | 69,0  | 44    |
| მფრ      | 57,3 | 67,7  | 71,3  | 76,4  | 36    |
| უკრაინა  | 87,0 | 119,9 | 114,6 | 102,4 | 21    |

<sup>1</sup> Ерохов Е.З. Динамика уровня открытости Украины. <http://be5.biz/ekonomika1/r2011/1590.html>

ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ უდიდესი მშპ-ის მქონე ქვეყნები, მართალია, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ყველაზე აქტიური მონაწილეები არიან, მაგრამ თავიანთი ეროვნული მეურნეობები შედარებით უკეთ აქვთ დაცული მსოფლიო მეურნეობისგან მომდინარე პრობლემებისა და საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურული რყევებისაგან, რადგან შეძლებისდაგვარად დაბალ დონეზე ინარჩუნებენ ამ მაჩვენებელს.

ეროვნული ეკონომიკის კარგახსნილობის დადებითი და უარყოფითი მხარეები ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში აისახება ხოლმე. აშშ-ს ეს ბალანსი ქრონიკულად პასიური აქვს, გფრ-ს, იაპონიას, შვეიცარიას - აქტიური.

ღია ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს უკიდურეს პროტექციონიზმზე უარის თქმას. ამავე დროს, აუცილებელია შერჩევითი პროტექციონიზმი, ანუ მსოფლიო მეურნეობაში ჩართვის ახალი მოდელის ფორმირების თვალსაზრისით პერსპექტიული დარგებისა და წარმოებების დაცვა. გარდა ამისა, ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით ქვეყნები ცდილობენ თავიანთი საქონლის გასაღების ბაზრების და იმპორტული ნედლეულის წყაროების დივერსიფიკაციას, სხვა ქვეყნების სულ უფრო და უფრო ფართო წრესთან ურთიერთობების აწყობას და შენარჩუნებას, ამა თუ იმ ქვეყანასთან (ქვეყნების ჯგუფთან) გაჩენილი პრობლემების კომპენსირებას სხვა ქვეყნებთან ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობებით.

გასხნილი (ღია) ეკონომიკა, ერთი მხრივ, იმის საშუალებას უქმნის ქვეყანას, რომ ფართოდ მონაწილეობდეს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, ხელი მიუწვდებოდეს უცხოურ კაპიტალსა და ტექნოლოგიებზე, ახდენდეს თავისი კონკურენტული უპირატესობების რეალიზებას მსოფლიო ბაზრებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, გახსნილობის ფაქტორი სულ უფრო მეტ რისკს შეიცავს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, როცა ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პირობებში იქმნება კრიზისული პროცესების ტრანსმისიის საფრთხე. ამიტომაც, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას ქვეყნები ცდილობენ აუჩქარებლად, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ეფექტიანად მოქმედი საბაზრო სტრუქტურების დამკვიდრების, მაკროეკონომიკური პო-

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ლიტიკის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე, გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ისეთი მდგრადი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნის კვალობაზე, რომლებიც ქვეყნების უმრავლესობის მოთხოვნებს შეესაბამება.

არასტაბილური და ნაკლებად პროგნოზირებადი საერთაშორისო გარემოს პირობებში რისკების შერბილების ერთ-ერთი გზაა რეგიონულ ინტეგრაციულ გაერთიანებებში მონაწილეობა. ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლებიც ახერხებენ ოპტიმალური თანაფარდობის დაცვას გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესებში მონაწილეობას შორის. ისე ჩანს, რომ კრიზისული მოვლენების შემდეგ ახლა გაძლიერებულია ეროვნული რეგულირების როლი, გაფართოებულია საერთაშორისო ურთიერთობათა რეგიონალიზაცია, გლობალური პროცესები კი, პირიქით, შესუსტებულია.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში ძალიან მოკრძალებული ადგილი უჭირავთ (გარდა რუსეთისა), თუმცა ბევრი მათგანი ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად აფართოებდა ეროვნული ეკონომიკის გახსნილობას. საგარეო ვაჭრობის მხრივ ყველაზე მაღალი დონე ჰქონდათ აზერბაიჯანს, ბელარუსს, ყაზახეთსა და თურქმენეთს, სადაც საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 2008წ. მშპ-ის 57-61%-ს აღწევდა, ხოლო ყველაზე დაბალი - სომხეთსა და ტაჯიკეთს (15-17%). ფინანსური სისტემების გახსნილობით გამოირჩეოდნენ რფ, უკრაინა და ყაზახეთი, ბელარუსი და ყირგიზეთი კი - პირიქით. ეკონომიკის კარგახსნილობამ ამ სივრცეში პიკს მიაღწია 2008 წელს, კრიზისის დაწყების შემდეგ კი იგი მკვეთრად დაქვეითდა. ეს ქვეყნები მსოფლიოს სხვა რეგიონებზე გაცილებით უფრო ძლიერ დაზარალდნენ კრიზისისგან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ხსენებულ ეკონომიკურ სივრცეში მშპ-ის დაქვეითებამ 2009წ. თითქმის 6.5% შეადგინა (გარდა რუსეთისა - 3%), რამაც თითქმის 3-ჯერ გადააჭარბა მსოფლიო ეკონომიკის ვარდნას. შიდა დისბალანსებთან ერთად ამის სერიოზული მიზეზი უარყოფითი გარე ეფექტებიც იყო. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნების მეურნეობები პრაქტიკულად ერთდროულ-

ად შეეჯახა 3 საგარეო შოკს: 1. საერთაშორისო დაკრედიტებისა და უცხოური ინვესტიციების ნაკადების მკვეთრად შეკვეცა; 2. განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მათი პროდუქციის გატანის კლება; 3. მსოფლიო ფასების ვარდნა საბირჟო საქონელზე, კერძოდ, ენერგორესურსებზე. ამდენად, კრიზისული პროცესების ტრანსმისია ამ რეგიონში ორი ძირითადი არხით განხორციელდა- ფინანსური და სავაჭრო არხებით.

აშშ-ის საბირჟო ვაჭრობის აკადემიის Masterforex-V-ის ექსპერტთა შეფასებით, რომლებიც 179 ქვეყანას ანალიზებენ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეიტინგები ეკონომიკის კარგახსნილობის მიხედვით 2011 წ. ასეთია:<sup>1</sup>

| ქვეყანა    | რეიტინგი | ქვეყანა     | რეიტინგი |
|------------|----------|-------------|----------|
| თურქმენეთი | 169      | მოლდოვა     | 120      |
| უკრაინა    | 164      | აზერბაიჯანი | 92       |
| უზბეკეთი   | 163      | ყირგიზეთი   | 83       |
| ბელარუსია  | 155      | ყაზახეთი    | 78       |
| რ.ფ        | 143      | სომხეთი     | 36       |
| ტაჯიკეთი   | 128      | საქართველო  | 29       |

უკრაინის ასეთ დაბალ რეიტინგს ექსპერტები ორი ფაქტორით ხსნიან: სახელმწიფო ხარჯების ზრდით, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მატებას ნიშნავს, და კორუფციით. მათივე აზრით, უზბეკეთი დიდ ზენოლას ახდენს ბიზნეს-წრეებზე და მეტისმეტად აქვს გაბერილი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი; ბელარუსში ეკონომიკის საფუძველს, ასევე, კვლავაც სახელმწიფო სექტორი წარმოადგენს, ნაკლებადაა დაცული კერო საკუთრება და მაღალია კორუფციისა და ბიუროკრატიის დონე; რუსეთს იმიჯს ულახავს კორუფცია და ეკონომიკის რეპრესიულობა, რეალური ეკონომიკის ნახევრის მოქცევა სახელმწიფოს ხელში და ზოგიერთი დარგის მონოპოლიზება, გადასახადების აწევა და ბიზნესის პასიურობა უიმ-

**1 Пылин А. Г. Особенности экономического развития стран СНГ в контексте их устойчивости к внешним шокам. М., 2012 ст. 27.**

**ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ედობის გამო და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ლიბერალიზაციის სტრატეგიასა (ეკონომიკის კარის გახსნასა) და მისი ეკონომიკის ინდუსტრიული სტრუქტურის ცვლილების პროცესს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებაა. სადღეისოდ ჩინეთის ეკონომიკის კარის გახსნის საზღვრები, თუკი ამას ვაჭრობის კრიტერიუმით შევაფასებთ, ბევრად მეტია, განვითარებული ქვეყნების დიდი ნაწილის იმავე მაჩვენებელზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აუცილებელია რომელიმე სხვა ინდექსების გამოყენებაც.

ეკონომიკის კარგახსნილობის დონე 2007-2009 წწ.

| ქვეყნები | საქონლის ბაზარი* | მომსახურების ბაზარი | კაპიტალის ბაზარი | სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები/მშპ |
|----------|------------------|---------------------|------------------|---|
| ჩინეთი   | 60,0             | 7,0                 | 3,1              | 1,44  |
| აშშ      | 21,6             | 4,5                 | 3,3              | 2,68  |
| გერ      | 67,0             | 10,8                | 1,4              | 2,53  |
| იაპონია  | 27,4             | 4,1                 | 1,8              | 3,39  |

\* Long Wei. Moderate Openness and the Transformation of China's Industrial Structure

საქონლის ბაზრის გახსნის სიდიდე გაანგარიშებულია ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა ჯამის შეფარდებით მშპ-თან, კაპიტალის ბაზრის - გადინებული კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ჯამის შეფარდებით კაპიტალის მთელ მოცულობასთან.

ჩინეთის საქონლის ბაზარი გაცილებით უფრო ღიაა, ვიდრე აშშ-ისა და იაპონიის, თუმცა ჩამორჩება გერმანიისას, რომელიც მონეობილობის წარმოებისა და ექსპორტის დარგის ერთ-ერთი ლიდერია. ეკონომისტ-ანალიტიკოსები ხშირად სწორედ საქონლის ბაზრის გახსნის მაჩვენებლს იყენებენ იმის საილუსტრაციოდ, რომ

ჩინეთ ეკონომიკურად მრავალ ქვეყანაზე უფრო კარგახსნილია, თუმცა, ამ ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სექტორი ძალიან სუსტადაა ჩართული მსოფლიო ბაზარში და მკაცრად რეგულირდება.

გავრცელებული აზრის თანახმად, ჩინეთი ეკონომიკის კარის გახსნის გააზრებულ და თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებს. მისთვის მიუღებელია დროის მოკლე მონაკვეთში უმრავლესი დარგების მკვეთრად გახსნა. თანაც, სამრეწველო სექტორში ცვლილებებს აქ სწორედ გარესამყაროს ზემოქმედების გაძლიერების კვალობაზე ახდენენ. ეკონომიკის კარის გახსნით ყველაზე მეტად მრეწველობის ახალი დარგები ნახულობენ სარგებელს. ახალი პროდუქტები და ტექნოლოგიები, ერთი მხრივ, ყველაზე მეტადაა ეკონომიკის უფრო ფართოდ გახსნის შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ის არხია, რომლის მეშვეობითაც თვით ამ გახსნის პროცესის მართვას ახდენენ.

თვითონ ჩინელებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკურ კარგახსნილობაზე გადასვლა ძალიან წარმატებული გამოდგა ქვეყნისათვის. ამავდროს, ჯერ კიდევ დასახვეწია ამ პროცესის პოლიტიკა, აუცილებელია ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა და ფინანსური სექტორის თანდათანობით გახსნა.

ქვეყნის განვითარებაში განუზომლად დიდია ექსპორტის როლი. ამდენად, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ღერძი ექსპორტის მხარდაჭერა უნდა იყოს. თანამედროვე პირობებში აუცილებელია "გააზრებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და ქართული პროდუქციის სწორი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე, რაც უმთავრესი პრიორიტეტია ქართული ექსპორტის განვითარებისათვის".<sup>1</sup>

---

1 ნ. თოდუა. ქართული კომპანიების საექსპორტო სტრატეგიების მარკეტინგული კვლევა. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. საერთაშორისო სამ. პრაქტ. კონფერენცია. 6-7 აპრილი თბ., 2012წ. გვ 171.

**სოციალური დიალოგი და მისი განხორციელების  
ბარემო საქართველოში**

**ელგუჯა მელაძე**

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკასა და საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს, შრომის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განხორციელებას უნდა ითვალისწინებდეს და წინა პლანზე შრომის უფლებების დაცვასა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფას უნდა გულისხმობდეს. ეს არის ადამიანის ღირებულების განმტკიცების ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც დემოკრატიისა და ცივილური საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური და პირველხარისხოვანი საკითხი ხდება. მან თავისებური ელფერი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიიღო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე აუცილებელი გახდა შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ახალი მოდელის დაფუძნება და ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების დეცენტრალიზაციასთან ერთად მშრომელი ადამიანების ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

ამჟამად, შრომით ურთიერთობებში მონაწილე ადამიანების პოლარიზაციასთან ერთად (ერთი მხრივ, დამსაქმებლები, მეწარმეები, მესაკუთრეები, და მეორე მხრივ, დასაქმებულები), იზრდება მათ შორის ინტერესთა შეუსაბამობა. ეს წინააღმდეგობები ქმნის სხვადასხვა უთანხმოების, დავების და კონფლიქტების გაჩენის ობიექტურ საფუძველს სოციალური, ეკონომიკური და, რაც მთავარია, შრომით ურთიერთობებში. შესაბამისად, საკითხი დგება შრომის ბაზრის რეგულირების ადეკვატური ფორმების დანერგვის შესახებ.

არსებობს სხვადასხვა თეორიული მიზეზი თუ სამოქალაქო სა-

ზოგადოება და სახელმწიფო რატომ უნდა ჩაერიოს შრომის ბაზრის რეგულირებაში. ზოგადად იგი ორი მიზეზის გამო ხდება: ბაზრის ცნობილი ჩავარდნებისა და უსამართლობისა და ექსპლუატაციის განცდის გამო. სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება ეფექტურობის ზრდის ან სამართლიანობის დამყარების მიზეზით განხორციელდეს.

საზოგადოების კულტურული და ტრადიციული ღირებულებების პატივისცემა და საზოგადოებაში სამართლიანობის აღქმის ცნობიერება არაფორმალურად შრომითი ურთიერთობების მონესრიგების არაფორმალურ მექანიზმს ქმნის, თუმცა ეს ინსტრუმენტი შეზღუდულია მაშინ, როდესაც საქმე ბიზნესში გარეგებებსა და შემოსავლების გადანაწილებას ეხება. საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან ერთად ტრადიციული არაფორმალური მექანიზმები სუსტდება და შრომის ბაზრის რეგულირება უფრო ფორმალურ საფუძვლებს ემყარება, რომელთა შორის ძირითადია ორი ყველაზე გავრცელებული ინსტიტუტის საქმიანობა: ა/. სოციალური დიალოგი და კოლექტიური ძალისხმევა, რომელიც ეფუძნება შრომითი გაერთიანებების მონაწილეობას დამსაქმებელთან მოლაპარაკებებში და ბ/. ხელისუფლების პირდაპირი ინტერვენცია ნორმატიული რეგულირების გზით, ძირითადად, შრომის კანონმდებლობით, განკარგულებებით, და ა.შ. ყველა საზოგადოებაში, ამ ორი ინსტიტუტის აქტიური საქმიანობა არაფორმალურ მექანიზმებთან ერთად ერთდროულად არის ჩართული შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია მათი მარეგულირებელი ძალაც. მაგალითად, აშშ-ში შრომის ბაზრის რეგულირება აქცენტირებულია საბაზრო ძალების ქმედებაზე, ხოლო ევროპულ ქვეყნებში კი - სახელმწიფოს ნორმატიულ ქმედებებზე და კოლექტიურ მოლაპარაკებებზე. სახელმწიფო კანონმდებლობა იძლევა მარეგულირებელი როლის არჩევის საშუალებასაც და ლეგიტიმურ ხასიათს აძლევს განსხვავებული შრომითი ურთიერთობების მექანიზმებს.

შრომის ბაზრის რეგულირების მიდგომები და მექანიზმების და-



საბუთებისას მკვლევარები ფოკუსირებული არიან ორ განსხვავებულ პირობაზე: ამ ურთიერთობებს განიხილავენ ან ინსტიტუციონალური ასპექტით ან ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ინსტიტუციონალისტები მიზანშეწონილად თვლიან სამუშაო უსაფრთხოების ზომების, მინიმალური ხელფასის, სოციალური დიალოგისა და კოლექტიური გარიგების როგორც თანამშრომლობისა და სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც აუცილებელი პირობაა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ნახალისებისათვის და ერთობლივ მოთხოვნაზე ეფექტური რეაგირებისათვის.<sup>1</sup> საბაზრო ძალების გამოყენების მომხრეები კი აქცენტს აკეთებენ საბაზრო პროცესებზე და ძირითადად მოითხოვენ ისეთი ინსტიტუციონალური ფორმების გამოყენებას, რომლებიც რეაგირებას მოახდენენ ეკონომიკურ შოკებზე და დაქირავების პროცესს საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების კანონებით განსაზღვრავენ.<sup>2</sup>

თვითეულ ამ მიდგომას განსხვავებული ეკონომიკური და სოციალური შედეგი აქვს და მათი ზემოქმედების ეფექტიც განსხვავებულია სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების დონეზე, უმუშევრობაზე, შრომის მწარმოებლურობაზე, ხელფასებზე, მოგებაზე, სოციალურ დაცვაზე და სხვ. მთლიანობაში ეს არის რთული პროცესი და თვითეულ მოდელს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები.

---

**1 Freeman, R.B. (1993). “Labor Market Institutions and Policies: Help or Hindrance to Economic Adjustment?”** *Proceedings of the World Bank Annual Conference on Development Economics, 1992. Supplement to the World Bank Economic Review and the World Bank Research Observer*. p.2-3. <http://mpraub.uni-muenchen.de/12314/>

**2 Gordon Betcherman, Amy Luinstra, and Makoto Ogawa. Labor Market Regulation: International Experience in Promoting Employment and Social Protection.** *The World Bank. Social Protection Discussion Paper Series, No. 0128, November, 2001. p.2.* Tvrdon, Michal, *Labour Market Flexibility: the Case of Visegrad Countries*, Silesian University - School of Business Administration, MPRA Paper No. 12314, posted 21. December 2008 / 11:34 2007, [http://mpraub.uni-muenchen.de/12314/2/MPRA\\_paper\\_12314.pdf](http://mpraub.uni-muenchen.de/12314/2/MPRA_paper_12314.pdf)

2004 წელს შრომის საერთაშორისო ოფისმა (ILO) გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით “ეკონომიკური უსაფრთხოება უკეთესი მსოფლიოს შესაქმნელად.” იგი ეხება ადამიანების ეკონომიკური და-უცველობას და ლიბერალიზაციის პოლიტიკის კრიტიკას. ლიბერალიზაცია, აცხადებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, არის პოლიტიკის მიზანი, რომელსაც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ანვითარებს და ეფუძნება “ვაშინგტონის კონსენსუსს”. ამ მოხსენების თანახმად, ლიბერალიზაციის გარკვეული “საკვანძო ვალდებულებები” გავლენას ახდენს მშრომელების ყოფაზე, თუმცა მხოლოდ არა-პირდაპირ. ამ პოლიტიკის ერთი უმნიშვნელოვანესი ორიენტაციაა საჯარო სექტორის ზომის და როლის შემცირება, რომელიც, როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს მიერ გატარებული დასაქმების ღონისძიებების შედეგიანობაზე და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე. იგი ასევე ათავისუფლებს კაპიტალის მობილურობას, მიუხედავად ქვეყნის შესაძლებლობებისა და ფინანსის ადგილობრივი ბიზნესი, შეინარჩუნოს დასაქმების დონე და შრომის ბაზარის “მოქნილობა”. ამასთან ეს პოლიტიკა მოითხოვს თავისუფალი ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ძალების მოქმედების განთავისუფლებას იმ გადახრებისაგან, რომელიც გამოწვეულია როგორც პროფესიული კავშირების, ასევე მინიმალური ხელფასის კანონებით.<sup>1</sup>

ვაშინგტონის კონსენსუსი ფაქტობრივად, არ ეხება ეკონომიკის წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებს, მაგრამ მისი დოქტრინები ზოგადად გაზიარებულია მათი წამყვანი ეკონომისტების მიერ. შრომის უფლებები და სხვადასხვა შრომითი სტანდარტები განიხილება როგორც მკაცრი, არაელასტიური ღონისძიებები. უკანასკნელ პერიოდში ჩიკაგოს უნივერსიტეტის რვა პროფესორს მიენიჭა ნობელის პრემია, რომლებიც რეგულირებას ეკონომიკის ზრდის წინააღმდეგობად ასახელებდნენ. ეს ნეოკლასიკური პარადიგმა კი არის ანტითეზა იმისა, რასაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს. იგი ძირითადად ნიშნავს შრომითი სტანდარტების,

**1 Economic security for a better world. ILO Socio-Economic Security Programme, Geneva : International LabourOffice, 2004.[http://www.ilo.org/global/about-the-ilo/press-and-media-centre/news/WCMS\\_005218/lang--en/index.htm](http://www.ilo.org/global/about-the-ilo/press-and-media-centre/news/WCMS_005218/lang--en/index.htm)**

როგორც სოციალური სამართლიანობის ინსტრუმენტის ღირებულების იგნორირებას”<sup>1</sup>.

გლობალურად საერთაშორისო შრომითი სტანდარტები, ფინანსური ბაზრის რეგულირება და განთავისუფლებული მუშებისათვის საკომპენსაციო დახმარების ღონისძიებების დღის წესრიგში დაყენება ნებისმიერ ეროვნულ კონტექსტში გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის ლიბერალიზმის და თავისუფალი ვაჭრობის ტრადიციულ პოლიტიკასთან. ამასთან დაკავშირებით ამერიკის ფედერალური სარეზერვო ბანკის ყოფილმა ცნობილმა ხელმძღვანელმა, ალან გრინსპენმა, ერთ-ერთ გლობალურ შეხვედრაზე განაცხადა, რომ შრომის დაცვა არ არის მისი მიზანი და ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, თუ რამდენად შორს წავიდა ეკონომიკური მოსაზრებები. მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმი, რომლის შედეგად, დერეგულაცია და პრივატიზაცია გახდა პოლიტიკის ცენტრალური საკითხი და მიუხედავად იმისა, რომ დიდმა დეპრესიამ აუცილებელი გახადა მთავრობის ზოგიერთი განსაზღვრული რეგულაციები, დღეს პრაქტიკულად ხელისუფლების ქმედებები ხშირად ხელს უშლის ინვესტიციების გაზრდის ნახალისებას, ზრდის რისკს და ხარჯებს.<sup>2</sup>

ცხადია, რომ დღეს შრომითი კონტრაქტების მართვის გარეშე, რომლებიც ზღუდავს დამსაქმებლის უფლებებებს, მშრომელებს ექნებოდათ მცირე უფლება, რომ დაეცვათ საკუთარი თავი სამუშაოს დაკარგვის დროს ან კიდევ დაპირისპირდებოდნენ ამ ქმედებას, მითუმეტეს, რომ ტექნოლოგიური განვითარება დასაქმებულ ადამიანს აქცევს ზედმეტად.<sup>3</sup>

დასავლეთის მრავალ ქვეყანაში რეგულირება მიმართულია

---

1 Roger Plant, *Labour Standards and Structural Adjustment*. International Labour Office: Geneva, 1994, p. 9.

2 Alan Greenspan, “Opening Remarks—Global Integration: Opportunities and Challenges,” in a symposium sponsored by the Federal Reserve Bank of Kansas City (Jackson Hole, WY, August 24-26, 2000), p.3. <https://www.kansascityfed.org/publications/research/escp/escp-2000.cfm>

3 Raymond Hogler, *Employment Relations in the United States: Law, Policy and Practice* (Sage Publications, 2004), p. 162.

იქით, რომ სამუშაო პირობები იყოს უფრო “მოქნილი”. ამ მოვლენებმა ინტენსიური გახდა დასაქმებისა და შრომის ბაზრის დაუცველობა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, აშშ-ში და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ჰორსტ ბრენდი ამტკიცებს, რომ ამერიკის დასაქმების დოქტრინა არ არის მისალბი.<sup>1</sup>

ამ ფონზე თანამედროვეობის ერთ ერთი გამოწვევა გახდა შრომის ბაზრის აგენტებს შორის თანამშრომლობა ანუ სოციალური პარტნიორობა, რომელიც ემყარება სოციალურ კონსოლიდაციას და უზრუნველყოფს სოციალური შრომითი ურთიერთობის პრობლემების გადაჭრას, მათი შემოსავლების ზრდას.

სოციალური დიალოგი შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური პარტნიორების საფუძველზე ინტერესების კოორდინაცია და თითოეული მხარის ინფორმირება მათი განზრახვისა და შესაძლებლობების შესახებ, თავიანთი პოზიციების, არგუმენტების, და მოლოდინის ფორტილად შერჩევა და ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა ექსპერტთა დამოუკიდებელი პარტნიორების მონაწილეობით. სოციალური დიალოგი არ არის იგივე, რაც კოლექტიური მოლაპარაკებები, მაგრამ იგი უფრო კოლექტიური მოლაპარაკებების ეფექტური პროცესის წინაპირობაა, რომელიც საშუალებას იძლევა მოიძებნოს მხარეებს შორის კომპრომისი და “საზოგადოებრივი სარგებელი”. სოციალური დიალოგი მიზნად ისახავს მომგებიანი გადაწყვეტის მოძიებას ყველა მონაწილის მიერ. შრომითი ურთიერთობების სფეროში სოციალური პარტნიორობის მოდელის ფორმირება სახელმწიფოს, დამსაქმებელსა და პროფკავშირებს შორის ორი პრობლემის წინაშე აყენებს: პირველი, სოციალურ პარტნიორებს სჭირდება იდენტიფიცირება და ორივე მხარის აღიარება. მეორე, მათ უნდა მიაღწიონ შეთანხმებას ორივე მხარისათვის სასურველი შედეგის მისაღებად.

სოციალური პარტნიორობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, რო-

---

**1 Horst Brand, Roots of Insecurity: Why American Workers and Others Are Losing Out. Dissent , Winter 2007.**<http://www.dissentmagazine.org/article/?article=737>

## **აკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

გორც სხვადასხვა სოციალური კლასის ინტერესების წინააღმდეგობების მოგვარების მეთოდი, რომელიც კომპრომისის საფუძველზე ხორციელდება. კონფლიქტის მოგვარების ადრეული მეთოდები კლასობრივი ბრძოლის პრინციპებს ეფუძნებოდა და იგი დამახასიათებელი იყო ძველი პერიოდის კაპიტალისტური განვითარებასათვის, იყო უკიდურესად მავნე ორივე მხარისათვის, თუმცა იმ პერიოდში კონკურენტული ბრძოლა და ინოვაციური განვითარება არ ქმნიდა ისეთ გამონეგეებს, რაც დღევანდელი ბიზნესსამყაროსათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ ამ წინააღმდეგობებში მენარმეთა ინტერესები იმარჯვებდა, ხოლო დასაქმებულთა სოციალური მოძრაობა კი სულ უფრო გამომწვევ და რევოლუციურ ხასიათს ღებულობდა.

დღეს შეიცვალა მსოფლიო ბაზარი და ამონურულია ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების რესურსები, რის შედეგადაც მენეჯერული და ინოვაციური რევოლუციების კვალდაკვალ გაბატონდა სოციალური პარტნიორობის იდეა, რომლებიც რესურსების კონცენტრაციას და სანარმოების სიცოცხლისუნარიანობის გაგრძელებას უწყობენ ხელს. მუშაკთა მოტივაცია და მათი სტიმულირების მექანიზმების დანერგვა ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების აუცილებელი პირობა გახდა.

წარმოებაში მუშაკთა დაინტერესებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა სოციალური გარანტიების სისტემა, რომლებიც მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ. ასეთი სისტემები ხშირად სოციალური დაზღვევის სისტემის დამატებაა, მაგალითად, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეციაში იგი ერთადერთი სისტემაა, ან კიდევ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჰონკონგი, სინგაპური და სხვ., ეს ღონისძიებები ემსახურებიან სანარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას ადამიანისეული კაპიტალის ფართოდ გამოყენების გზით.

მეორეს მხრივ, საგანმანათლებლო დონის ზრდამ გამოიწვია რიგი ცვლილებები ხელისუფლებასა და დამსაქმებლების ურთიერთობებში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება იყო დასაქმებულებში “სოციალური მოთხოვნების ზღვარის” დადგენა, რომელიც გამონ-

ვეულია ეკონომიკური ფაქტორებით. ამჟამად, კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების პროცესში დასაქმებულთა წარმომადგენლები და მათი ინსტიტუტები ძალიან ფრთხილად აანალიზებენ საწარმოების კონკურენტუნარიანობას და მხოლოდ შემდეგ განსაზღვრავენ მოთხოვნებს ხელფასებზე, სოციალურ უსაფრთხოებაზე და სხვა სოციალურ ურთიერთობებზე, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინონ კომპანიების განვითარებაზე.

კოლექტიური მოლაპარაკებებით შრომითი ურთიერთობების რეგულირება ხასიათდება როგორც კონფრონტაციით, ასევე შეთანხმებებით, რომელიც ორმხრივი ინტერესების აღიარებაზეა დამოკიდებული. კონფრონტაციის მიზანია ფირმის ხელმძღვანელობამ აღიაროს მუშაკთა ინტერესები, ხოლო დამსაქმებლისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად შეძლებს ფირმა ბაზარზე სტაბილურ და კონკურენტუნარიან საქმიანობას.

შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში რამდენიმე გარემოებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მუშათა გაერთიანებისა და დამსაქმებლების ურთიერთობების სახეცვლილებაზე. სწრაფმა ტექნოლოგიურმა წინსვლებმა, კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ და მაღალავტომატიურმა სამუშაო სისტემებმა შეამცირა გარკვეული თანამდებობების თანამშრომლებზე მოთხოვნა. ტექნოლოგიურმა წინსვლებმა აგრეთვე შეამცირა გაფიცვების ეფექტურობა, რადგანაც მაღალავტომატიზებულ ორგანიზაციებს, სამუშაოს შეფერხების დროს, შეუძლიათ საქმიანობის დამაკმაყოფილებელი დონის შენარჩუნება მინიმალური კადრებით.

დღეს უკვე, ფირმებში მზარდი ტექნოლოგიებისა და ავტომატიკის პირობებში შედარებით მცირე ადამიანისეული რესურსებით ინარმოება მზარდი პროდუქციის მოცულობა და ტექნოლოგიური ცვლილებების გამო მუშაკთა გაერთიანებების კონფრონტაცია ვეღარ ახდენს გავლენას დამსაქმებლის გადაწყვეტილებებზე. დამსაქმებლებს უწყვეტი წარმოების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ხოლო მუშები კი ძველი გზებით - პიკეტირებით, გაფიცვებით, ბო-

## **აკონსტიტუციური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

იკოტით და სხვა საშუალებებით, ველარ ზემოქმედებენ სანარმოოს საქმიანობაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამქირავებლებს კანონიერი უფლება აქვთ დაიქირაონ ან ჩანაცვლონ რეზერვის თანამშრომლები. ამ უფლებით და მომუშავეთა ჩანაცვლების სტრატეგიით დამქირავებლები მოიპოვებენ შეთანხმების საშუალებას და მენეჯერს აძლევს შესაძლებლობას შეებრძოლოს პროფკავშირებს. ამდენად, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდა საშუალებას აძლევს დამსაქმებლებს იპოვოს ალტერნატიული გზა, თუმცა მუშებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთობებში მოლაპარაკებები უალტერნატივო ხდება. გამოუვალ სიტუაციაში კი მდგომარეობის მოსაგვარებლად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება შუამავლობისა და არბიტრაჟის ინსტიტუტები, რომლებიც თავის თავზე იღებენ გადაწყვეტილების მიღებას და განსაზღვრავენ, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს ურთიერთობა ორ მხარეს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არბიტრი საბოლოო დადგენილებას წერს, რომელსაც მხარეები უნდა დაემორჩილონ. ამდენად ტექნოლოგიურმა პროცესებმა მიანიჭეს დამსაქმებელს დამატებითი ძალისხმევა შრომითი ურთიერთობების გადაწყვეტაში, თუმცა მოლაპარაკებების პროცესში შუამავლების ინსტიტუტის გაძლიერებამ აულტერნატივო გახადა სოციალური კონსენსუსის საკითხი.

სოციალური კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასთან ერთად. უცხოურმა კონკურენციამ ახალი გამოწვევები დაუსახა შრომითი ურთიერთობების რეგულირებას. საქონლის იმპორტირება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვის მიზეზი იმ მუშაკებისთვის, რომლებიც ამ პროდუქტებს აწარმოებენ. უფრო მეტიც, უცხო ქვეყნებში კორპორაციების ფილიალების შექმნა იწვევს ეროვნული სამუშაო ადგილების შემცირებას. ამ მდგომარეობის შესარბილებლად მუშები მოითხოვენ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას და წინააღმდეგნი არიან ისეთი სავაჭრო შეთანხმებისა, რომელიც გა-

მოინვეს სამუშაო ადგილების ექსპორტს. ეს პრობლემა ბრძოლის სრულიად ახალ ასპარეზს უქმნის მუშათა მოძრობას და სოციალური პარტნიორობის იდეას უკვე ეროვნულ კონტექსტში წარმოადგენს.

ამრიგად, სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და მუშათა გაერთიანების ურთიერთობები უზინდებურად ემყარება ერთობლივი ინტერესების განხორციელების მიზნებს უზრუნველყონ სანარმოების ეკონომიკური მდგრადობა, კოლექტივის მონაწილეობა მართვაში, კონფლიქტების მოგვარება და ა.შ. თუმცა საერთაშორისო გამოწვევები და სანარმოების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ზრდის პერსპექტივები მოითხოვს სოციალური კონფორტაციის ნაცვლად სოციალური პარტნიორობის განვითარებას.

დღეს საქართველოში სოციალური დიალოგი ემბრიონულ მდგომარეობაშია და მის ფორმირებას თან სდევს წინააღმდეგობები: უპირველეს ყოვლისა, საქართველოში სოციალური დიალოგის ფორმირების ძირითად წინააღმდეგობას წარმოშობს მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელიც ხელს უშლის შრომის მარეგულირებელი საბაზრო ინსტიტუტების ფუნქციონირებას და გაურკვეველ პერსპექტივებს ქმნის ეკონომიკური დინამიკის განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, საქართველოში მინიმალური ხელფასის ოდენობა არ არის კანონით განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასის საკანონმდებლო წესით დაწესებას აქვს თავისი უარყოფითი ეფექტები, მიზანშეწონილია მინიმალური შემოსავლების ზრდა მოხდეს საშუალო ხელფასებთან მიმართებაში, მისი ზრდის დინამიკის შესაბამისად. საკითხის ასეთი სპექტრით დაყენება შეიძლება გახდეს სოციალური დიალოგის და საკანონმდებლო ინიციატივის მთავარი კვანძი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მიერ აღიარებული იქნება მინიმალური ხელფასის მარეგულირებელი როლი. ევროპის ქვეყნებში მინიმალური ხელფასის განსაზღვრა სოციალური პარტნიორობის ძირითადი ამოცანაა და ინდივიდუალური ანაზღაურების განსაზღვრის სადავო შემთხვევაში, დამსაქმებელი მეტწილად მი-



## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ნიმალური ხელფასის ოდენობით ხელმძღვანელობს, ხოლო დარგებისა და სანარმოების მიერ განსახილველი ახალი ხელფასები ხშირად მხოლოდ მრავალჯერადი მინიმალური ხელფასის ოდენობით ანგარიშდება. ხშირად მინიმალურ ხელფასებს ადგენს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციების ან შეთანხმების შედეგად. ამდენად მინიმალური ხელფასის დანესება სოციალური მოლაპარაკების მთავარი თემაა და მისი ინსტიტუციური მხარეები (ინტერესების გამოხატვა, კონფლიქტების თავიდან აცილება, უთანასწორობის შემცირება და სხვ.) მნიშვნელოვნად გადანონის ხოლმე ეკონომიკურ ასპექტებს.

საქართველოში არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთდონიანი სისტემა, რომელიც სანარმოების დონეზე ყალიბდება, რაც, ერთი მხრივ, არის იმის შედეგი, რომ ეროვნულ დონეზე ცენტრალიზებული მოლაპარაკებების სივრცე ლიმიტირებულია, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს ფართო მასშტაბით სახელფასო დიფერენციაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით, და ერთი-დაიმავე დახარჯულ შრომას, პროფესიას და თანამდებობას სხვადასხვა სექტორში განსხვავებული ანაზღაურება აქვს. მაგალითად, განათლებასა და საფინანსო სექტორში საშუალო ხელფასებს შორის სხვაობა 400 პროცენტს აღემატება და ამ სექტორებში ბუღალტრების, მდივნების, დამხმარე მუშების და სხვ. შრომის ანაზღაურებას შორის სხვაობა კი კიდევ უფრო მეტია. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დარგებსა და სანარმოებს შორის სოციალური დიალოგი არ არსებობს, ხოლო კონკურენცია კი ხელფასების სფეროში დამოკიდებულია სფეროს შრომის მწარმოებლურობაზე და არა მუშაკის შრომით საქმიანობაზე. შრომითი ურთიერთობების სფეროში გადანყვეტილების მიღების დომინანტური როლი ეკუთვნის კომპანიებს. სწორედ ამიტომ, დღეს დარგობრივ და ეროვნულ დონეზე მუშაკების ანაზღაურების კოლექტიური ხელშეკრულებითი რეგულირება არ ხდება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაქირავებული თანამშრომლების უმრავლესობა (84 პროცენტი - 235824 წევ-

რი) და მთლიანად დასაქმებულთა 15 პროცენტი გაერთიანებულია პროფესიული კავშირებში.დამსაქმებელთა კოლექტიურ ინტერესებს ეროვნულ დონეზე გამოხატავს რამდენიმე არასამთავრობო ასოციაცია (კავშირი) და პოლიტიკური პარტია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, ინტერესების ასეთი გამიჯვნა პირობითია და პოლიტიკური პარტიები ყოველთვის თანმიმდევრულად არ მისდევს მათ მიერ გაცხადებულ მისიას, ხოლო პროფკავშირებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობა დაქსაქსულია, მათი მონაწილეობა სოციალური დიალოგში ყოველთვის არ არის აღიარებული სახელმწიფო დონეზე, ხოლო მათი სახალხო მოძრაობები კი ფრაგმენტირებულია.

მიუხედავად ამისა, საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პირობებში, სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება საჭიროებს ეფექტური სოციალური დიალოგის წარმართვისათვის შესაბამისი პირობების შექმნას, დიალოგში მონაწილე ინსტიტუტების აღიარებას, შესაბამისი კადრების მომზადებას, საკანონმდებლო გარემოს ფორმირებას და სხვა. ცხადია, რომ სოციალურ დიალოგში მხარეებს განსხვავებული დატვირთვა აქვს, მაგრამ თითოეულ მათგანს შეუძლია ითამაშოს პოზიტიური როლი სოციალური და შრომითი ურთიერთობების ჰარმონიზაციაში.

**შრომის ანაზღაურების წილობიერობის ასაქმბი**

**ქეთევან კინმარიშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი

ბევრი დიდი ფირმა მართავს საკუთარ საერთაშორისო შრომის ბაზარს, აწესებს რა განსხვავებული კატეგორიის მრავალ თანამდებობას — ასე მაგალითად, ოფისის მოსამსახურეთა 10 კატეგორია, 15 კატეგორიის ხელოსნები, 12 კატეგორიის ტექნიკოსები და სხვა. თითოეულ კატეგორიას აქვს სამუშაოს აღწერა, რომელიც გამოირჩევა ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა: კვალიფიკაცია, სტაჟი, მომზადების დონე, შრომის პირობები და სხვა.

ზოგად, ფირმები ცდილობენ დაანესონ ხელფასის განაკვეთები, ისინი მიუთითებენ იმ კომპენსაციებზე, რომლის გაცემაც უწევს მსგავსი სამუშაოსათვის გარე შრომის ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად. ასე მაგალითად, ოფისი მომსახურე პერსონალი მიიღებს დაახლოებით ისეთივე ხელფასს, რასაც იღებენ იგივე ქალაქში მომუშავე კანცელარიების სხვა მუშაკები, მაშინ, როცა უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის ჯამაგირის განსაზღვრა ხდება ეკონომისტების ეროვნული ბაზართან მიმართებით.

იმ შემთხვევაში კი, როცა შეუძლებელია მონახონ გარე შედარებები, ფირმები ჩვეულებრივ აწესებენ ხელფასის განაკვეთებს განსაზღვრული სამუშაოსათვის, რომელიც შეესაბამება შიგა ბაზარზე მსგავსი სამუშაოს შესრულებისთვის გადახდილ ანაზღაურებას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფირმები ხშირად ახდენენ მოცემული თანამდებობის შეფასებას „ქულებით“ კვალიფიკაციის, სტაჟის და შრომის პირობების მიხედვით, შემდეგ კი იყენებენ ამ ქულებს, რათა დაადგინონ ხელფასები არაშედარებითი სამუშაო ადგილებისათვის. გარე შედარებები და შეფასებები საშუალებას აძლევენ ფირმას დაადგინოს ხელფასის სტრუქტურა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემად შრომის ბაზარზე სხვადასხვა კატეგორიის თანამდებობის პირობებისათვის შიგა ბაზარზე.

თუ გამოვიყენებთ ხელფასის სტრუქტურის ცნებას, ჩვენ შევძლებთ გავერკვეთ განსხვავებაში „ტოლფასიან“ და „ფასის მიხედვით შედარებად“ სამუშაოებს შორის. დავუშვათ, რომ ჩვენ ვიკვ-

ლევთ დიდი ბანკის თანმშრომელთა ხელფასის სტრუქტურას. ცხრილში 1 წარმოდგენილია სამი სახის საქმიანობა — მოლარის, მდივნის და სატვირთო ავტომობილების მძღოლის. ამ სამუშაოებიდან პირველ ორს ჩვეულებრივ ქალები ასრულებენ, მესამეს კი — მამაკაცები. მოლარისა და მდივნის თანამდებობებს სამუშაო ადგილის ოთხი მახასიათებლის (კვალიფიკაცია, მომზადება, პასუხისმგებლობა და შრომის პირობები) მიხედვით აქვთ თანაბარი ქულები. ამგვარად, ეს ორი სახის სამუშაო განისაზღვრება როგორც „ტოლფასიანი“ და 1963 წლის შრომის თანაბარი ანაზღაურების კანონის მიხედვით ამ თანამდებობაზე მომუშავე პირები უნდა იღებდნენ ერთნაირ ხელფასს. ამიტომ, თუ მოლარის ყოველკვირეული გასამრჯელო 200 დოლარი, ხოლო მდივნის კი 300 დოლარი იქნებოდა — ეს უკანონო დისკრიმინაციად ჩაითვლებოდა.

ბევრი იმათგანი ვინც დისკრიმინაციას ეწინააღმდეგება, ამტკიცებს, რომ შედარებადი თანამდებობები ერთნაირად უნდა იყოს ანაზღაურებადი. ცხრილი 1-ის ბოლო ორ სვეტში მოცემულია ქულების თანაბარი რაოდენობის, მაგრამ ცალკეული მახასიათებლების მიხედვით განსხვავებული ორი სახის სამუშაო ადგილი. მდივნის სამუშაო უფრო დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, ვიდრე ბუღალტერიაში მუშაობა, მაშინ როცა მძღოლის კვალიფიკაციისა და მომზადების დონე არ არის მაღალი, სამაგიეროდ მისი შრომის პირობები სახიფათოა შეიარაღებული თავდასხმების გამო, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება. ცალკეულ რეგიონში ყოველკვირეული რეალური ხელფასი მდივნისთვის შეიძლება შეადგენდეს 250 დოლარს, ხოლო მძღოლისთვის კი 400 დოლარს. თანამედროვე კანონებისა და პრაქტიკის მიხედვით სრულიად კანონიერი იქნება თუ ფირმები ბაზრის მიერ განსაზღვრულ ხელფასის ასეთ განაკვეთებს დაუნიშნავენ შედარებად, მაგრამ ერთმანეთისგან ასე განსხვავებულ თანამდებობებზე მომუშავე პირებს.

შედარებადი ფასების (ღირებულებების) შესახებ სწავლების თანახმად, ხელფასი უნდა ეფუძნებოდეს მოცემული სამუშაოს ღირებულებას. შედარებადი ღირებულების მქონე სამუშაოებზე მომუშავე პირები უნდა იღებდნენ ერთნაირ ხელფასს. ამ პრინციპების შეუსრულებლობა უნდა განიხილებოდეს როგორც უზნეო და უკანონო დისკრიმინაცია. ასეთი მიდგომის შესაბამისად საზოგა-

**აქონრობიური თერაპიის თანამდებობა პრობლემაში**

დოებას შეუძლია მოსპოს ათნლეულების მანძილზე დამკვიდრებული დისკრიმინაცია მამაკაცებისა და ქალების შრომის არათანაბარი ანაზღაურების საკითხში.

ცხრილში 1. მიიღებენ თუ არა შედარებად თანამდებობაზე მომუშავე ადამიანები თანაბარ ხელფასს?

| <b>ტოლფასიანი და შედარებადი თანამდებობები</b> |        |         |                                 |                    |
|---|--------|---------|---------------------------------|--------------------|
| <b>ტოლფასი თანამდებობები</b>                  |        |         | <b>შედარებადი თანამდებობები</b> |                    |
| სამუშაოს მახასიათებლები                       | მოლარე | მდივანი | მდივანი                         | მძლოლი (სატვირთოს) |
| კვალიფიკაცია                                  | 80     | 80      | 80                              | 80                 |
| მომზადება                                     | 90     | 90      | 90                              | 60                 |
| პასუხისმგებლობა                               | 150    | 150     | 150                             | 60                 |
| შრომის პირობები                               | 30     | 30      | 30                              | 150                |
| ქულების ჯამი                                  | 350    | 350     | 350                             | 350                |

მოლარისა და მდივნის სამუშაო ადგილები განიხილება, როგორც „ტოლფასი თანამდებობები“ და ამ სამუშაოს შემსრულებელი ადამიანები უნდა იღებდნენ ერთნაირ ხელფასს. მდივნისა და მძლოლის სამუშაო ადგილებს აქვთ სხვადასხვა მახასიათებლები, მაგრამ ფირმის რეიტინგული სისტემის თანახმად, ეს თანამდებობები ითვლება „შედარებადად“. შედარებადი ღირებულების დოქტრინის შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც ასრულებენ შედარებად სამუშაოებს უნდა იღებდნენ ერთნაირ ხელფასს, მაშინაც კი, თუ საბაზრო მოთხოვნილებები და შეთავაზება (წინადადება) ამ მოთხოვნებზე გვეკარნახობენ განსხვავებებს ანაზღაურებებში.

ბევრი ეკონომისტი უფრო უკმაყოფილოა შედარებადი ღირებულებების თეორიაში არსებული ძირითადი კომპენსაციების ცნებით, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 1, ვიდრე ბაზრით. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქულების სისტემა არ იძლევა ხელფასის დადგენის საკმარის საფუძველს. ამ სისტემის პოტენციურ რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი მომენტები: შეფასებებში გამოყენებული ფაქტორების ერთობლიობა არ არის სრული და თანაც საკმაოდ რთული შეფასებ-

ულია ბაზრის პირობებში; სამუშაოების მახასიათებლის ღირებულება იცვლება სამუშაოს მიმცემზე დამოკიდებულებით; გარდა ამისა, რაიმე სამუშაოს სიმძიმე (და შესაბამისი კომპენსაცია) შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს სხვადასხვა ადამიანებისათვის.

ყველაზე უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ხელფასის განაკვეთის სიდიდეზე მოქმედი ამ გაზომილი მახასიათებლების საფუძვლიანი გამოკვლევები საკმაოდ ძნელად ექვემდებარებიან ახსნას. მაშინაც კი, როცა კვლევა მიმდინარეობს მხოლოდ რასისა და სქესის გათვალისწინებით, ისინი ძლივს ხსნიან სხვადასხვა ადამიანების ხელფასებში არსებული განსხვავებების 1/3-ს. სამუშაოს მიმცემის მიერ ამ სამუშაოს ღირებულების განჭვრეტა შეფასებითი სისტემის საფუძველზე, იგივეა რაც იმის განჭრეტა, თუ რამდენ შაიბას შეაგდებს გარკვეული წონის, სიმაღლის, წლოვანებისა და განათლების მქონე ჰოკეისტი. როგორი იქნება შესაძლო შედეგი თანამედროვე შრომის ბაზარზე ხელფასის განაკვეთის დადგენისას, შედარებითი ღირებულებების პრინციპის მოქმედება? მთავარი შედეგი იქნებოდა, ხელფასის განაკვეთის სიდიდის განსაზღვრის სტრუქტურის სიხისტე და არა მგრძობიარობა ბაზრის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკაში ხელფასის განაკვეთები და ანაზღაურების სტრუქტურა დროის მცირე პერიოდისას ახდენენ მნიშვნელოვანი უძრაობის (მოუქნელობის) დემონსტრირებას, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხელფასი ეგუება ცალკეულ შრომით ბაზრებზე წარმოქმნილ დიდ სიჭარბესა და დეფიციტებს. შედარებითი ღირებულებების პრინციპის რეალიზაცია ხელფასის სტრუქტურას კიდევ უფრო ხისტს გახდის.

აღსანიშნავია, რომ შედარებითი ღირებულებების პრინციპი არ წარმოადგენს იდეას, რომელიც მხოლოდ ეკონომიკის სახელმძღვანელოებში გამოიყენება. მრავალი პროფკავშირები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებშიც ბევრი ქალი იყო გაერთიანებული, იყენებენ ამ პრინციპს მოლაპარაკებების წარმართვის ინსტრუმენტის სახით. ზოგჯერ სასამართლოები ადგენენ, რომ შედარებითი ღირებულება წარმოადგენს შესაფერის საშუალებას მამაკაცებისა და ქალების ხელფასებში არსებული მდგრადი განსხვავების აღმოსაფხვრელად. შედარებითი ღირებულება, სავარაუდოდ, კიდევ მრავალი წლის მანძილზე დარჩება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემად შრომის ბაზარზე.

**შრომის ბაზარი: დასაქმების პოლიტიკის  
ფორმირების პრობლემები საქართველოში**

**ვახტანგ დათაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი სტუ - პროფესორი

**გიორგი ცინცაძე**  
სტუ დოქტორანტი

**მარიამ დათაშვილი**  
სტუ მაგისტრანტი

შრომის ბაზარი მრავალი წელია ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საზრუნავია. მაღალი უმუშევრობა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, სამუშაო დროის არასაკმარისი მოქნილობა და ა.შ. აქტუალური დისკუსიის მნიშვნელოვანი თემებია. საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. ბაზრის სტრუქტურის შემაღგენელი მთავარი ნაწილები - შრომის კანონმდებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურები, პროფკავშირული გაერთიანებები, სამუშაო ძალა - სუსტად არის განვითარებული. სამუშაო ძალაც ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, რადგან სპეციალისტების გადამზადების სახელმწიფო სამსახურები უმოქმედოა. შრომის ბაზრის პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია კონკრეტული შრომის ბაზრებზე სამუშაო პირობების შექმნაზე

შრომის ბაზრის პოლიტიკაში განასხვავებენ ორ კომპონენტს:

- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია შრომის ბაზრის ნონასწორობისაკენ.
- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მიწოდებაზე.

კეინსის თვალსაზრისით, ყოველთვის არსებობდა სახელმწი-

ფო პროგრამებით დასაქმების სტიმულირების მცდელობები. არსი კი ასეთი იყო: ვინაიდან სახელმწიფო მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე არის მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტი, თუ სახელმწიფო გაზრდის მას, დასაქმების დონეზე უშუალო ზემოქმედება შესაძლებელი იქნება. გავლენის მქონე სხვა ინსტრუმენტია პირდაპირი გადასახადების ცვლილება. ასეთი პოლიტიკა მისაღებია მაშინ, თუ უმუშევრობის მიზეზი დაბალ სამომხმარებლო ხარჯებშია. ხოლო თუ მიზეზს სტრუქტურულ უმუშევრობასთან მივყავართ, მაშინ ეს ინსტრუმენტები არაეფექტიანი ხდება, ვინაიდან სტრუქტურული უმუშევრობისას ადგილი აქვს შრომის ბაზრის მოუქნელობას, კვალიფიციური სამუშაო ძალის არასაკმარის მიწოდებას.

**მიწოდების პოლიტიკა**, მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკასთან შედარებით, ცალმხრივი გზაა. კონკრეტულად, სახელფასო ხარჯებისა და სახელფასო დამატებითი ხარჯების შემცირებამ დასაქმებას შესაძლოა შეუწყოს ხელი.

საქართველოში არსებულ მწვავე უმუშევრობას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოსწორების ნიშნები არ დასტყობია.

ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობას ყველაზე მეტად უმუშევრობის შიში აქვს (გამოკითხულთა 31 პროცენტის თანახმად). ამავე გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მთავრობის ამოცანათა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა.

პროგრამა ითვალისწინებდა სამთვიან სტაჟირებას კერძო სანარმოებში, რომლებიც შესაბამის სურვილს გამოთქვამდნენ. სტაჟიორები სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვეში 150 ლარს იღებდნენ. კერძო ბიზნესებს პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორების სამსახურში აყვანის ვალდებულება არ ეკისრებოდათ.

პროგრამა სავსე იყო ნაკლოვანებებით და ცნობილი გახდა



უზარმაზარი დანახარჯების გამო(24 მილიონ ლარი).

იმისთვის, რომ საქართველოში უმუშევრობამ რეალურად იკლოს, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელებაზე, მათ შორის: გადასახადების შემცირებაზე, საგადასახადო და ბიზნესწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობაში ორ-აზროვანი დებულებების არმოფხვრაზე.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საფუძვლად უდევს დასაქმების სახელმწიფო, რეგიონალური და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, სადაც განისაზღვრება დასაქმებისა და კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადების ძირითადი მიმართულებები, უმუშევართა სოციალური დაცვის ქმედითი მექანიზმი.

ცალკეულ ქვეყნებში დასაქმების სამსახურები სხვადასხვა სახელწოდებით (დასაქმების სააგენტო, შრომის ბირჟა, დასაქმების სამსახური და სხვა) ფუნქციონირებენ და უზრუნველყოფენ შემდეგი სპეციფიკური ფუნქციების შესრულებას:

**I. ანალიტიკური ფუნქცია:**

- შრომის ეროვნული და რეგიონული ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება;
- შრომის ბაზრის ტევადობისა და სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი;
- ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური, საკანონმდებლო და სხვა ფაქტორების ცვლილების ანალიზი;
- დასაქმების დინამიკის შესწავლა;
- დამსაქმებლის ქცევის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა;
- ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების სამუშაო ძალით უზრუნველყოფა და მასზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების განსაზღვრა;

- არსებული სამუშაო სტრუქტურის, მათი ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლა;
- რეგიონის სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შესწავლა;
- სამუშაო ძალის ფასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
- ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მიზეზების ანალიზი და სხვა.

## II. მართვის ფუნქციები:

- სამუშაო ძალის მარკეტინგული მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- სამუშაო ძალის მარკეტინგის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა;
- დასაქმების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;
- შრომის ბაზარზე მარკეტინგული საქმიანობის მეთოდური უზრუნველყოფა.

**შუამავლობა** შრომითი მონაცობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. იგი გულისხმობს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესების ოპტიმალურ შეთანხმებას შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების, მუშაობის რეჟიმის, მომზადებისა და გადამზადების პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

**სამუშაო ცენტრების ჩამოყალიბება** კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მან მოქალაქეებს შრომის ბაზართან მიმართებაში ყველა საჭირო პროცედურაში მონაწილეობის უფლება უნდა მისცეს.

**კომბინირებული ხელფასის მოდელი** გულისხმობს შრომითი შემოსავლის გადიდებას და ამავე დროს მან სახელმწიფო სატრანსფერო მომსახურებათა გამოთვლის პროცესში შრომითი შემოსავლების შემცირებულად შეფასებას სტიმული უნდა მისცეს.

**სახელფასო ხარჯებზე დანამატის მიღება** (2002 წლიდან მას შრომითი მონეობისათვის სუბსიდია ჰქვია) - იგი დამსაქმებელზე მოქმედებს როგორც სტიმული დასაქმებისთვის. ხელშემწყობი თანხა საშუალოდ 12 თვის შრომის ანაზღაურების 50%-ს უნდა შეადგენდეს. შრომის სააგენტოს მიერ იგი უპირველესად ინვალიდებზე გაიცემა.

**კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების პროექტები** - პროექტის საბოლოო შედეგი ასე ფორმულირდება: რამდენ კაცს აქვს მუშაობის დაწყების პერსპექტივა? რაც მეორეს მხრივ, დამოკიდებულია შრომის ბაზრის მიერ სამუშაო ძალის მიღების უნართან. თვითონ პროექტები გამიზნულია გარკვეული კულტურული, სპეციალური ან სოციალური უნარების შექმნაზე, რომელიც პროექტის მონაწილეებს აკლიათ. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებით იზრდება ამ ადამიანების სამუშაო ადგილების შენარჩუნების შანსი. დასასრულს, მათ რეგულარული სამუშაო ადგილის მოძიებაში საკონკურსო ტრენინგებსა და დახმარებას სთვლობენ. წარმატებული კვალიფიკაციის დოკუმენტირება განათლების დასრულების აღიარებით ან სერთიფიკატის გაცემით ხდება.

მაშასადამე, ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებათა სტიმულირებაზეა მიმართული, შეგვიძლია შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას მივაკუთვნოთ.

შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ არა უშუალო ხელშეწყობა უმუშევრობის შესამცირებლად, არამედ **ხელფასის შემცველი მომსახურების განევა**. უმუშევრებს შეუძლიათ დასაქმების სამსახურში **უმუშევრობის ფულზე** განაცხადი შეიტანონ. თუ უმუშევრობის ფული ამოიწურა, მაშინ შეიძლება გაცემულ იქნას **უმუშევრობის დახმარება**.

უმუშევრობის დაზღვევის ფინანსური წყარო **დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანებია**. სპეციალური მომსახურე-

ბისტვის არსებობს დაფინანსების გადანაწილება. დახმარების სხვა ხარჯებს სესხების კავშირი ფარავს. რაც შეეხება უმუშევრობის ფულზე მოთხოვნას, მასზე არის პრეტენზიის უფლება. საქართველოში ცივილიზებული შრომის ბაზრისა და მისი შესატყვისი ინფრასტრუქტურის ფორმირება 1990 წლებიდან დაიწყო. მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლების მუშაობაში პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოიყოს.

**პირველ ეტაპზე (1991-1993 წწ.)** დაიწყო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი „დასაქმების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის და უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები.

**დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეორე ეტაპი** (1994 წლიდან 1998 წლის პირველი ნახევარი)- ფაქტობრივად კვლავ მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დახმარებების სისტემის საკანონმდებლო ბაზის შეზღუდვა დასაქმების კანონით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის სისტემა<sup>1</sup>.

**მესამე ეტაპზე (1998-1999 წწ.)** დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება-გადამზადების ცენტრი გაერთიანდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა დასაქმების ცენტრები.

**დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეოთხე ეტაპზე** ჩამოყალიბდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი სტრუქტურა და მისი საქმიანობის ძირითად

---

1 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება 634, „საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნისა და საფინანსო სისტემის რადიკალური რეფორმის, მოსახლეობის სოციალური დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. 1993 წლის 5 სექტემბერი.

პრინციპად იქცა მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. დაიხვეწა მიზნობრივი დაფინანსების წესი, ამაღლდა სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა. ფონდის საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახა უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სტაბილური დასაქმების მიღწევა.

**დასაქმების სამსახურის მეხუთე ეტაპი** უკავშირდება 2001 წლის 28 სექტემბერს „დასაქმების შესახებ“ ახალი კანონის მიღებას, რომელმაც განსაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. დასაქმების სფეროს რეგულირების სახელმწიფო ორგანოდ აღიარებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რეორგანიზაციის მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი 2004 წლის ბოლოსათვის გადაიდგა (**მეექვსე ეტაპი**). გაუქმდა დასაქმების სამსახური და მის ბაზაზე შეიქმნა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო<sup>1</sup>, რომლის ძირითადი მიზანი იყო დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნებით გამოირჩევა საქართველოს შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების შემდეგი (**მეშვიდე**) **ეტაპი**. მთავრობის მიერ აღებული იქნა შრომის ბაზრის თვითრეგულირებაზე და სახელმწიფოს ჩაურევლობაზე. საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდა კანონები „დასაქმების

---

1 საქართველოს „კანონი დასაქმების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. 2004 წლის 29 დეკემბერი.

შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ, ასევე „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ და მის ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობას მთლიანად აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

- 1) გველესიანი რ, გოგორიშვილი ი. - ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი 2. თბილისი 2008 წ.
- 2) ტუხაშვილი მ. — „შრომის ეკონომიკა“, თბილისი 2009 წ.
- 3) საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“, 2001 წ.
- 4) საქართველოს შრომის კოდექსი, 2006 წელი.
- 5) <http://www.parliament.ge/>
- 6) <http://www.transparency.ge>

**ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კრიზისების წიგნი**

**რამაზ გერლიანი**

ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ -ს  
დამფუძვნებელი, გამგეობის წევრი  
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობა არ არის მუდმივი უცვლელი პროცესი. ეკონომიკური პრაქტიკა ისტორიულად ამის მაგალითია; წონასწორობის დარღვევა იწვევს ეკონომიკის სტაგნაციას, კრიზისის შემდგომ კი მიმდინარეობს მისი რეაბილიტაცია, ვიდრე ისევე არ ჩამოყალიბდება წონასწორობა ეკონომიკის ახალი აღმავლობის გზით.

ჩვენ უკვე ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ლიტერატურიდან ვიცით [1, 2, 3, 4, 5, 6, 7], რომ სტაგნაციის პროცესს თან ახლავს ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორცაა: დანაზოგის, მშპ-ის, დასაქმების და შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის და ინფლაციის ზრდა და სხვა მახასიათებლები.

საბოლოოდ კი ყოველივე ისევე დარეგულირდება და ეკონომიკური კრიზისის ციკლური ვარდნა უბრუნდება წონასწორულ მდგომარეობას, ყოველივე ეს კი ხორციელდება ციკლურად მისი შესაბამისი ფაზებით.

ამრიგად, ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკის ციკლურ განვითარებაში მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში შევეცდებით ავხსნათ კრიზისის და ციკლური ვარდნის გამომწვევი რიგი მიზეზები, რომლებიც თანამედროვე პირობებში იკვეთება.

როგორც უკვე საყოველთაოდ ცნობილია, ეკონომიკურ კრიზისს გამოსახავენ ციკლურად, ხოლო ციკლს ყოფენ 4 ძირითად ფაზად: მწვერვალი (პიკი), ფსკერი (კრიზისი), დაცემა (დაქვეითება), აღმავლობა (გამოცოცხლება). მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარი პრობლემა მდგო-

მარეობს ერთობლივი მიწოდების და ერთობლივი მოთხოვნას შორის წონასწორული თანაფარდობის დარღვევაში. თუმცა როგორც ჩვენთვის ცნობილია ის მოიცავს აგრეთვე:

1. დანაზოგების და ინვესტიციების თანაფარდობას ;
2. შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას;
3. ინფლაციისა და უმუშევრობის თანაფარდობას.

ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობის შეუსაბამობა არღვევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას და ინვესტ ეკონომიკურ კრიზისს და ციკლურ რყევას. ხოლო რატომ ირღვევა მათ შორის წონასწორობა ამაზე გვაქვს გარკვეული წარმოდგენა — ანუ მოქმედებს ჭარბი დანაზოგი (შავი დღისთვის) რომელიც ჯ.მ. კეინსს ახსნილი აქვს „ფსიქოლოგიური კანონის“ მეშვეობით, დანაზოგის სიჭარბე ,როგორც მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის ციკლური ვარდნის წანამძღვარს.

თანამედროვე პირობებში, როცა ადგილი აქვს ფასეულობათა ცვლას, ალბათ ეკონომისტებს მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით ყურადღებით მეცნიერული გააზრება გვმართებს. ვთანხმდებით რა გამოუყენებადი დანაზოგის ზრდა არის ეკონომიკური კრიზისის წანამძღვარი, თუმცა ვერ დავეთანხმები, რომ თანამედროვე პირობებში დანაზოგის ზრდა მხოლოდ აიხსნას „**ფსიქოლოგიური ფაქტორით**“. აღნიშნული პრობლემის განსაზღვრას ეხება სწორედ ჩვენი ანალიზი, სადაც შევეცდები გავაანალიზოთ დამატებით ის ფაქტორებიც, რომლებიც მოქმედებენ „დაგროვებაზე“ და მათი მოქმედება და გავლენა ანგარიშგასანევია თანამედროვე ეკონომიკის პირობებში. აგრეთვე, ვისაუბრებთ იმაზეც, რომ დანაზოგის ზრდა აუცილებლად მივიჩნიოთ თუ არა კრიზისის და ციკლური რყევის გარდაუვალ პირობად - წანამძღვრად.

ამრიგად იმისათვის, რომ დანაზოგისკენ სწრაფვის მიზეზს დაუბრუნდეთ, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ურთიერთკავშირი უნდა ჩავეძიოთ.

თანამედროვე პირობებში ადამიანის ზრდადი მოთხოვნილებები ატარებენ წარმოებაზე წინმსწრებ ტენდენციებს , რაც წარმოშობს დახვეწილ მაღალ მოთხოვნას, ხოლო ამ მოცემულობას მიწოდე-



## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ბამ ადექვატურად თუ ვერ უპასუხა, უკვე მათ შორის ადგილი აქვს თანხვედრი გარიგებების დარღვევას „ანუ „დისბალანს“, ეს არ არის სიტუაცია ბაზარზე საქონლის სიჭარბის „არამედ ბაზარზე „X“ ახალგაზრდა საქონლის ნაკლებობა, დეფიციტია, რომელზეც წინმსწრები მოთხოვნაა წარმოშობილი.

**შესაბამისად, ამ პროცესს, ერთი მხრივ, საქონლის სიჭარბე ახასიათებს, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ერთობლივი „მინოდების დაბერებასთან“ (მოძველებასთან, მოცემულის მიმართ ადექვატური ტერმინი ჯერ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გხვდება ამიტომ ასე მოვიხსენიებთ „ერთობლივი მინოდების სიბერე“), რომელზეც ახალი ერთობლივი მოთხოვნა არა ადექვატურად „ანუ უარყოფითად რეაგირებს. ამ დროს აღმავლობის ფაზაში შემოსავლები იზრდებიან და აძლიერებენ „ნოვაციური“ საქონლის მოლოდინს.**


ზემო აღნიშნულ შემთხვევაში მომხმარებლებს მეტი სტიმული ეძლევათ დაზოგვისაკენ. ვინაიდან არის ფული, არის საქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილიც, თუმცა ბაზარზე მოცემული საქონელი ვერ პასუხობს წინმსწრებ ახალ სასურველ მოთხოვნილებებს და შესაბამისად მოთხოვნაც სუსტდება (ამის მაგალითად არც თუ ისე შორეული წარსული კომუნისტური პერიოდი შეგვიძლია მოვიყვანოთ).

დავედით იქამდე, რომ დაზოგვის მნიშვნელოვან მიზეზად ჩავთვალოთ ერთობლივი “მინოდების სიბერე”. ახლა განვმარტოთ თუ რატომ ხორციელდება ერთობლივი “მინოდების დაბერება”.

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერ საქონელს ან საქონელთა ჯგუფს ახასიათებს ბაზარზე სასიცოცხლო პერიოდი /ციკლი/, ანუ პერიოდი ერთი სახეობის საქონლის ბაზარზე შესვლის, დამკვიდრების, სიმწიფის, ბაზრიდან გასვლის (აღნიშნული უფრო ნათლად ჩანს ნახაზზე 1.).

- CPI- ფასები (P- მოგება)
- T- დროთი პერიოდი
- “ა’ და “ბ” ციკლის სრული ( 4 ფაზიანი) მონაკვეთი
- A,B,C,D და ა.შ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სასიცოცხლო ციკლის მრუდები.

საქონლის სასიცოცხლო პერიოდები



ნახ 1.

- $Q_1$  — საქონლის სასიცოცხლო ზღვარი
- $Q_2$  — საქონლის ბაზარზე დამკვიდრების პერიოდი
- $Q_3$  — საქონლის სიმწიფე- მომგებიანობის პერიოდი

ამრიგად, ნახაზიდან ჩანს საქონლის (მომსახურების) ბაზარზე მოქმედების პერიოდი, თუ მიწოდებამ დროულად ვერ უპასუხა „A“ დაბერებული საქონლიდან „B“ ახალ ნოვაციურ საქონელზე გადასვლას, შემდგომ „C“-ზე; „D“-ზე და ა.შ, მისი ჩანაცვლებას, მაშინ ადგილი ექნება „მინოდების სიბერეს“ და შესაბამისად გადახდის უნარიანი მოთხოვნის კლებასაც, თუნდაც შემოსავლების ზრდის კვალობაზე, რასაც მივყავართ საბაზრო წონასწორობის დარღვევამდე. ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ დაზოგვისადმი „ზღვრული მიდრეკილება“ არსებობს შემოსავლების ზრდის პარალელურად, მაგრამ მხოლოდ დანაზოგის ზრდის ახსნა ამ კუთხით თანამედროვე პირობებში სრული ჭეშმარიტება ვერ იქნება. ვინაიდან იგივე ფსიქოლოგიური ფაქტორია ისიც, რომ „ადამიანი რაც უფრო მეტს მოიხმარს, მით მეტის მოხმარების სურვილი უჩნდება“ ოლონდ თვისობრივად უკეთეს და უფრო თანამედროვე საქონელზე და მომსახურებაზე.

## **პრონოზური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ამრიგად, მზარდი შემოსავლების შესაბამისად იზრდება მოხმარებაც, მაგრამ თუ „მიწოდება დაბერებულია“, მაშინ არ იხარჯება შეოსავლის ზრდის პროპორციულად. ვინაიდან თანამედროვე პროგრესულ პირობებში, როდესაც ბაზარზე უამრავი სახის სქონელი იყრის თავს, ეს ასუსტებს გაჯერების ფაქტორს და შეაბამისად ზღვრულ მოხმარებასაც.

შეიძლება თვისობრივად ერთი საქონელი (მომსახურება) მარავალი გაუმჯობესებითა და სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს დროის მცირე პერიოდში ხარისხისთვის და გემოვნებისთვის უკეთესი მახასიათებლებით, რომ ჩვენ გაჯერების გრძნობის აღქმაც კი არ გვხვდეს წილად. თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება მოქმედებს ადექვატურად ანუ ახერხებს ბაზრის, მომხმარებლების მოთხოვნილებათა ზუსტ განჭვრეტა-პროგნოზირებას და ბაზარს აწვდის ნოვაციურ საქონელს (მომსახურებას).

მაგრამ ისმის კითხვა როგორ მოახერხოს ეს? - აქ კი უნდა დაუბრუნდეთ დანაზოგებს და ეკონომიკურ თავისუფლებას. დანაზოგი ეკონომიკური აღმავლობისას იზრდება — ხოლო ეკონომიკა მუდმივად განუხრელი აღმავალი ხაზით ვითარდება. თუმცა ზოგჯერ უფრო ნელი ტემპით, ზოგჯერ უფრო დაჩქარებულად და ამას ნონასწორობის დარღვევას და კრიზისს ვუწოდებთ და ავსახავთ ციკლურად. მ.შ. დანაზოგი შესაბამისად ციკლისა იზრდება, მაგრამ არა თანაბარზომიერად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ვახსენეთ- ციკლური ვარდნის წანამძღვარს წარმოადგენს დანაზოგის ზრდა-ეს უკანასკნელი ყოველთვის როდია კრიზისის საშიშროების მატარებელი, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მისი ინვესტირება არ მოხდა ოპტიმალურად ახალ ნოვაციურ დარგში, მტკ განსავითარებლად და ახალი ინტენსიური წინსვლის მასტიმულირებლად. ხოლო თავისუფალი ინვესტირება ვერ ხორციელდება, თუ ეკონომიკური თავისუფლება დაბალია და ხორციელდება არა იმ მიმართულებით, რაზეც საზოგადოებრივი ანუ მომხმარებელთა ინტერესებია მიმართული.

რომ დაეუბრუნდეთ ნონასწორობას დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის მაკროეკონომიკური დონეზე, ის შეესაბამება დანაზოგსა და ოპტიმალურად (სწორად) დაბანდებულ ინვესტიციებს შორის

თანაფარდობას. ანუ რეალურად რას ნიშნავს ეს, თუ ინვესტირება არ იქნა დროულად ახალ ოპტიმალურ სფეროში, ის მხოლოდ ინვესტის „დაბერებული მინოდების“ ზრდას და დაარღვევს ჰარმონიულ პროპორციას ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მინოდებას შორის, რაც წინაპირობას ქმინის ეკონომიკური კრიზისის და ციკლური ვარდნისათვის.

ეს ვითარება (ნახაზ 1.) შემდეგნაირად ისახება: ნახაზის შესაბამისად, თუ „B“ საქონლის მინოდების სიმნიფის პერიოდში უკვე არ განხორციელდა ინვესტიცია „A“ ახალგაზრდა საქონლის წარმოებაზე და ბაზარზე მინოდება, რომლის შესაბამისი მოთხოვნად გარდასაქმნელი მოთხოვნილება (მოლოდინი) არსებობს, მაშინ „მინოდების სიბერე“ გარდაუვალია, რაც, როგორც უკვე ავლნიშნეთ, მხოლოდ საწყის ეტაპზე გაზრდის დანაზოგებს.

თუ ინვესტირება განხორციელდა, მაგრამ არა ოპტიმალურად (არა ეკონომიკურად თავისუფალ გარემოში), ამ შემთხვევაშიც მოთხოვნასა და მინოდებას შორის ჰარმონიული კავშირი მაინც დაირღვევა, ანუ თუ სიმნიფის პერიოდში ინვესტირება განხორციელდა „მნიფე“ „ა“ საქონლის (მომსახურების) წარმოებაზე („A“ — და „B“ — ს მივიჩნევთ საქონელთა ერთობად) ამ შემთხვევაშიც დისბალანსი მაინც გარდაუვალია და მართლაც უკვე იქნება სიჭარბე „დაბერებული მინოდების“, რაც ან ეკონომიკის კრიზისულ ვითარებამდე მიგვიყვანს საერთაშორისო დონეზე, ან ინვესტიციების გადადინებას გამოიწვევს (მაგ: ქვეყნიდან-ქვეყანაში ან რეგიონიდან რეგიონში).

გამომდინარე აქედან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ინვესტიციების დაბანდება ნოვაციებისა და მტკპ-ში, ვინაიდან ახალ „A“ საქონლის (მომსახურების) მინოდებაზე გადასვლა მოითხოვს უპირველეს ყოვლისა, „B“ დაბერებული საქონლის საწარმოო უკვე მორალურად გაცვეთილი ფონდების მოდერნიზება-გადართალებას და მომსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადართალებას, ან კიდევ ახალი პროფესიების დაუფლებას. უმეტეს შემთხვევაში სრულიად ახალ ნოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლა ახალი ფონდების შექმნას, თვისობრივად ახალ გადართადებულ ან სრულიად ახალი კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვას

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

და ა.შ.ითხვის, რაც თავის მხრივ არჩევანის მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს, ხოლო არჩევანის მრავალფეროვნება მთავარი მახასიათებელია ეკონომიკური თავისუფლებისთვის. ანუ რაც მეტია ასარჩევი ალტერნატივები, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლება.

ამრიგად, ადგილი აქვს უკვე თვით შრომის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის ცვლილებასაც. თუ დროულად ვერ მიენოდა მოთხოვნის შესაბამისად კვალიფიციური შრომის რესურსი, ეს უკვე ზეგავლენას მოხდენს ერთობლივ მიწოდებაზე უარყოფითად, გაზრდის უმუშევრობას და უარყოფითად იმოქმედებს შემოსავლებზე და, რასაკვირველია, დაზოგვის პოტენციალზეც. აქ კი უშუალოდ უნდა ერთვებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა ეკონომიკური თავისუფლების ამალღებისა და განათლების სფეროში, ვინაიდან განათლება და თავისუფლება ეს ის სფეროა, რომელსაც ჭირდება სახელმწიფოს პოლიტიკის მხარდაჭერა, სწორედ ამ ვითარებას შეესაბამება ის საზოგადო ქვეყნარტება, როგორცაა „განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე სარფიანად დაბანდებული ინვესტიციაა“.

საბოლოოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაზოგის ზრდა სრულებითაც არ არის სავალალო და საშიში, თუ ის ინვესტირებული იქნება ოპტიმალურად პროგრესირებად დარგებში წინსმწრები მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა დანაზოგის ზრდა თავის მხრივ სიგნალი უნდა იყოს როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო სამენარმეო სუბიექტებისთვის იმისა, რომ ინვესტირება ვერ ხორციელდება ოპტიმალურად და საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მის ხელთ არსებული ბერკეტების (ფისკალური და მონეტარული) ამოქმედება ეკონომიკური თავისუფლების მხარდასაჭერად. კერძო სუბიექტებმა უნდა გადახედონ ბაზარზე მდგომარეობას, ვინაიდან ეს არის შანსი მათთვის ახალი შესაძლო მოთხოვნილების გამოცნობისა და მისი დაკმაყოფილებისა, რაც უკვე ნიშნავს ახალ სამოღვანეო ნიშის მოპოვებას.

აღნიშნულს კი ჭირდება ეკონომიკური თავისუფლება, მძლავრი მარკეტინგული სამსახურები და ძლიერი თანამედროვე მენეჯმენტის საფუძველზე მოქმედი კერძო სფერო. აღსანიშნავია, რომ ამ

უკანასკნელთ თანამედროვე თავისუფალი ეკონომიკის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობისათვის.

თანამედროვე პირობებში საბანკო სფეროსა და კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობის მრავალფეროვნების კვალობაზე შეიძლება კიდევ ერთი გარემოების ახსნა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კრიზისთან და შესაბამისად ეკონომიკურ თავისუფლებასთან.


დაზოგვისადმი ადამიანთა მიდრეკილების თეორიის თანახმად — ერთ-ერთი დაზოგვისადმი სწრაფვის მიზეზად ძველი მიდგომით შეიძლება დაგვესახელებინა შემოსავლების აკუმულირება ისეთი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელსაც სუბიექტთა შემოსავალი ერთჯერადად ვერ ყოფნის (ვთქვათ, ერთი თვის შემოსავალი, ხელფასი, და ა.შ.). თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ნებისმიერი სახის პროდუქტის (დოვლათის) შეძენა კრედიტის სახით „ანუ დაუშვათ 200 ლარიანი შემოსავლით, ჩვენ რაღაც „X“ საქონელს შესაძენად, რომლის ფასიც 1600 ლარს წარმოადგენს, გვიხდებოდა დანაზოგის კეთება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვთქვათ 10 თვე. თანამედროვე პირობებში ეს შეიძლება ჩანაცვლდეს კრედიტით და შევიძინოთ მისი მეშვეობით, რაც ზრდის ეკონომიკურ სუბიექტთა არჩევანის თავისუფლებას, თავისხმრივ ამცირებს დაზოგვისადმი მიდრეკილებას და აბათილებს მიდგომას დანაზოგის აკუმულირებისა საქონლის შესაძენად.

აღნიშნულ ვითარებას აქვს, რასაკვირველია, დადებითი და უარყოფითი მხარეებიც ეკონომიკური კრიზისის გამოწვევისა და ციკლური ვარდნის თვალსაზრისით.

ვარდნის პროცესზე უმეტეს წილად მოქმედებს არა უშუალოდ დანაზოგი, არამედ არარენტაბელური ინვესტიციები. როდესაც უკვე იწყება ვარდნა, იმ პერიოდისთვის უკვე არსებობს სტიმული უმუშევრობის გაღვივებისთვის. ის უკვე ვარდნის დასაწყისშივე სცილდება ბუნებრივ დონეს და იწყება ჩვენთვის ნაცნობი ციკლური უმუშევრობა (ნახ. 2). ამ პერიოდისთვის ადგილი აქვს არჩევანის (მაშასადამე თავისუფლების) შეზღუდვას და, როგორც უკვე ვიცით, ფასების დაცემას „დაბერებულ საქონელზე“. ფსკერზე ყოფ-

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნისას კი უმუშევრობა მაქსიმუმს აღწევს, აგრეთვე მიმდინარეობს ინფლაციური პროცესი, რომელიც ზომიერზე მეტია, ხოლო ამ შემთხვევაში „ფილიპსის მრუდის“ შესაბამისად უმუშევრობა იწყებს შემცირებას ინფლაციის ზრდის კვალობაზე.



ნახ 2:1

- QF- საქონლის რაოდენობა ეკონომიკური თავისუფლების პირობებში

- CPI- ფასები (P- მოგება)

- თ- დროთი პერიოდი

- “ა” და “ბ” ციკლის სრული ( 4 ფაზიანი) მონაკვეთი

ინფლაცია დარტყმას აყენებს უპირველეს ყოვლისა, დანაზოგებს და ამის კვალობაზე დაზოგვისადმი სტიმული მცირდება, რაც რეანიმაციის დადებით ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე შეუძლია ასტიმულიროს დასაქმება.

მივიჩნევთ, რომ ვარდნის პროცესში ინვესტიციების ზრდისას იზრდება მულტიპლიკატორის აქსელერაცია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ვარდნის სიმძიმეს. აგრეთვე ეს დამოკიდებულია იმ-

აზე, თუ ინვესტირება ვარდნის ფაზაში რამდენად სწორად იქნება განხორციელებული, ანუ ინტენსიური გზით თუ გამოვიყენებთ ნოვაციების ინვესტირებისთვის, ის აუცილებლად, თუნდაც ვარდნის ფაზაშიც, კრიზისის დაძლევის უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ვარდნის სიღრმე იქნება ნაკლები და მალევე დაიწყება რეანიმაციული პროცესი.

ამრიგად, თუ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება მონეტარულ და ფისკალურ სფეროში, შესაძლებელია მათი მეშვეობით ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა და ციკლური კრიზისის მართვა.

ჯ.მ კეინის „ანტიკრიზისული რეცეპტი“, ეკონომიკური კრიზისის, მისი ვარდნისას მიზანშეწონილია მოკლე ვადიან პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ერთის შეხედვით ის ეწინააღმდეგება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებს. მისი გამოყენება არ არის გათვლილი გრძელვადიან პერიოდზე და ის მოკლე ვადიან პერიოდში კრიზისიდან გამოყვანას ემსახურება. გრძელვადიან პერიოდში უფრო ეფექტიანია, მათ, შორის ეკონომიკური თავისუფლების თავალსაზრისითაც, „ლაფერის ეფექტად“ ნოდებული პოლიტიკის გამოყენება, რაც გაახანგრძლივებს აღმავლობის პერიოდს მეტი ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის სტაბილურობის /წონასწორობის/ გზით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ლაფერის პოლიტიკის პარალელურად თავისუფალი ინვესტირების ხელშეწყობით შესაძლებელია ციკლური რყევის ამპლიტუდის შემცირება, ეკონომიკის პიკური მდგომარეობის გაახანგრძლივება და ამით ღრმა ეკონომიკური კრიზისის არიდება.

ეკონომიკის ციკლური ცვალებადობა გარდაუვალია. ჩვენი მიზანი არაა და ვერც იქნება ციკლური სვლის შეჩერება, არამედ კრიზისის (დაცემის) შემსუბუქება და ვარდნის ციკლის სიღრმისა და დროითი ხანგრძლივობის შემცირება ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმალური უზრუნველყოფით.



**ლიტერატურა**

1. მიზესი ლ. ფ, ჰაეკი ფ. ფ. ლიბერალიზმის საფუძველი, თავისუფლების ბიბლიოთეკა. ნიგნი I. თბ, 2004.

2. პოლ სამუელსონი, უილიამ ნორდჰაუსი- “ეკონომიკა” ტ.4 თბილისი 2000.

3. დარბუაშვილი ნასყიდა- ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებანი. თბ. 1999.

4. ჰაეკი ფ.ა. საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები. თბ, 2000 .

5. ჩხაიძე ი. როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ. თბ, 1999.

6. ბუთხუზი თ. შესაძლებლობის აღსრულება. თბ, 2008.

7. 7.თეთრუაშვილი მ. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი თავისუფლების პირობებში, „სოციალური ეკონომიკა“. თბ, №4, 2007.

8. //www.nplg.gov.ge/

[http://www.tsu.edu.ge/data/file\\_db/library/PHD\\_Eka%20Gegeshidze.pdf](http://www.tsu.edu.ge/data/file_db/library/PHD_Eka%20Gegeshidze.pdf)

<http://www.imf.org/external/pubs/ft/spn/2009/spn0904.pdf>

<http://ucatlus.ucsc.edu/sap.php>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000418/Tushishvili%20N.pdf>

<http://www.conference.ge/index.php/topic/6522-ekonomikuri-tavisuflebis-khari/>

<http://nesgeorgia.org/search.php>

[http://www.youtube.com/watch?v=jCaUA51\\_bYc](http://www.youtube.com/watch?v=jCaUA51_bYc)

[http://online.wsj.com/article/SB10001424052748704113504575264513748386610.html?mod=djemEditorialPage\\_h](http://online.wsj.com/article/SB10001424052748704113504575264513748386610.html?mod=djemEditorialPage_h)

## შრომითი ურთიერთობების რეგულირების გლობალური გამოწვევები და მოდელი

ელგუჯა მელაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

მსოფლიოში შრომითი ურთიერთობები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. იგი გლობალური ხასიათისაა. კონკურენტული ურთიერთობების გამწვავებასთან ერთად შრომის ნაყოფიერების ზრდა იქცა უმთავრეს მიზნად, რომელსაც ქვეყნების ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო დაექვემდებარა და კომპანიების მენეჯმენტში ცვლევების მთავარი მიზეზი გახდა. აქცენტი აღებული იქნა ეფექტური სამუშაო ადგილების ფორმირებაზე და იმ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების უზენაეს მიზანს - ღირსეული დასაქმების უფლებას. შრომითი ურთიერთობების რეგულირება ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ამ ამოცანების შესრულებაზეა ორიენტირებული, თუმცა მას სხვადასხვა პირობებში და განსხვავებული პრინციპი უდევს საფუძვლად.

ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის დისკუსიები შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესახებ ძირითადად ორი გარემოების გარშემო ფორმირდება: 1. რეგულირება ხელს უშლის თუ არა ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას; 2. ახდენს თუ არა იგი ბაზრის „ჩავარდნების“ გამოსწორებას სიმდიდრის გადანაწილების გზით ისე, რომ არ შეაფერხოს ეკონომიკური ეფექტიანობა.<sup>1</sup>

რეგულირების შესახებ გამოკვლევები ძირითადად ეხება განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა გაიზარდა ასევე ინტერესი შრომითი რეგულირების შესახებ განვითარებადი ქვეყნების მიმართაც,

---

1 Freeman, R.B. (2005). Labor Market Institutions without Blinders: The Debate About Flexibility and Labor Market Performance. NBER Working Paper No. 11286. P.1-2. [www.nber.org/papers/w11286.pdf](http://www.nber.org/papers/w11286.pdf); Boeri, T. and Van Ours, J. (2008). The Economics of Imperfect Labor Markets. Princeton University Press. p.19-22. Boeri Bocconi Tito, Brooke Helppie, Mario Macis (2008), Labor Regulations in Developing Countries: A Review of the Evidence and Directions for Future Research. Social Protection and Labor, The World Bank. p. 2.

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რაც განპირობებულია ორი გარემოებით: გარდამავალი ქვეყნების მიმართ ინტერესით და კერძოდ იმით, რომ ა/. ტრანზიტულ პერიოდში გაიზარდა სოციალური რისკები, რომლებმაც მოითხოვეს შრომის ბაზრის ახალი ინსტიტუტების ფორმირება და ბ/. გლობალიზაციამ მიმდინარე კრიზისების ფონზე სრულიად ახალი ასპექტით დასვა სოციალური პრობლემატიკა, კერძოდ გლობალიზაციის ზემოქმედების გამოვლენა სიღარიბეზე და უთანასწორობაზე როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ცხადია, რომ გლობალიზაციის შედეგად შეიცვალა, განაწილების წესებიც და არაკვალიფიციური სამუშაო ძალა კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. მათზე საბაზრო მოთხოვნა შემცირდა და უმუშევრობა კი გაიზარდა. ამდენად განვითარებად ქვეყნებში სოციალური რისკები კიდევ უფრო მწვავე პრობლემა გახდა.

ქართულ ეკონომიკური ლიტერატურაში საბაზრო ეკონომიკაში საჯარო პოლიტიკის ჩარევის ცნობილი გამამართლებელი არგუმენტები მიმართულია ბაზრის ჩავარდნების გასანეიტრალებლად და სამართლიანობის აღსადგენად.<sup>1</sup> სამუშაო ძალის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ანალიზისას ქართველი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს ჩარევა უმუშევრობის ან შრომის ბაზრის დასარეგულირებლად აუცილებლად დამთვარდება სტაგფლაციით, თუმცა მისი ჩარევა გამართლებული იქნება თუ უმუშევრობა აღემატება უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.<sup>2</sup>

მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნულია შრომის ბაზარზე საჯარო ინტერვენციის ოთხი მიზეზი: 1. არათანაბარი საბაზრო ძალაუფლება. დაქირავებულებს აქვთ სუსტი ძალაუფლება შრომითი გარიგების დადების დროს. მათი დაქვემდებარებული როლი წარმოშობს უსამართლო მოპყრობის პრობლემას და მოაქვთ მათთვის გრძელვადიანი დანაკარგი; 2. დისკრიმი-

---

1 ანთაძე ც. სოციალური რისკები შრომის სფეროში. სოციალ-დემოკრატიები საქართველოს განვითარებისთვის. თანასწორობა, სოლიდარობა, განვითარება. დეკემბერი 2010. [www.social-democrats-georgia.blogspot.com/2010/12/blog-post.html](http://www.social-democrats-georgia.blogspot.com/2010/12/blog-post.html). აგრეთვე: ანთაძე ც. სოციალური რისკები შრომის სფეროში. ჟ. ეკონომისტი, 2010. № 2. გვ. 15-35.

2 ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., (1996) “სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი”, თბ., “ნიკე”, გვ. 45.

ნაცია. დაქირავებულებს შეიძლება ჰქონდეთ დასაქმების მცირე შანსი მათი ასაკის, სქესის, ეროვნების და ა.შ. გამო. ეს კი წარმოშობს უთანასწორობას შრომის ბაზარზე; 3. არასაკმარისი ინფორმაცია. დამსაქმებლებს და დასაქმებულებს შეიძლება ჰქონდეთ არადეკვატური ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად. ამის კლასიკური მაგალითია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები; 4. რისკების არადეკვატური დაზღვევა. დაქირავებული მუშები, როგორც წესი, თავიანთ თავს ვერ დააზღვევენ შრომის ბაზარზე, მაგალითად, უმუშევრობის, ინვალიდობის, ან ასაკის გამო.<sup>1</sup>

ეს არგუმენტები არის საჯარო პოლიტიკის ინტერვენციის სასარგებლოდ. ნორმატიული რეგულირება კლასიკური რეგულირების ცნებაა და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს და პროცედურებს, რომლებიც კანონებისა და განკარგულებების სახით მოიცავს და არეგულირებს დასაქმების სხვადასხვა ასპექტებს. იგი შეიძლება ეხებოდეს საკითხების ფართო სპექტრს. მაგალითად, მუშაკის უნივერსალური უფლებების დაცვას, მაღალი რისკის მქონე ჯგუფების დაცვას, კომპენსაციის გაცემის პრინციპების განსაზღვრას, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების პირობების დადგენას და სხვ.

შრომითი ურთიერთობების რეგულირება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს: 1. საბაზრო ძალებით რეგულირებას. იგი მიმართულია სამუშაო ძალის ეფექტიანად გადანაწილებისაკენ. თუმცა მისი თანამდევი შედეგია დისკრიმინაცია; 2. ნორმატიული რეგულირებამიმართულია თანასწორობისაკენ; 3. კოლექტიური მოლაპარაკებით რეგულირება კი ინტერესთა ურთიერთშეთანხმების ეფექტური გზაა.

დღეს საკანონმდებლო ტენდენციები ევროპის ქვეყნებში მიმართულია დერეგულაციისა ან დესტანდარტიზაციისაკენ და ამგვარად ხელს უწყობენ უფრო “მოქნილი” შრომის ბაზარის ფორმირებას.<sup>2</sup>

---

1 Workers in an Integrating World, World Development Report, The World Bank, Oxford University Press, (1995) p.70. [http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/1999/04/28/000009265\\_3961219103803/Rendered/PDF/multi0page.pdf](http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/1999/04/28/000009265_3961219103803/Rendered/PDF/multi0page.pdf)

2 Horst Brand, Roots of Insecurity: Why American Workers and Others Are Losing Out. Dissent, Winter 2007. <http://www.dissentmagazine.org/article/?article=737>

შრომის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებების (მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების) და დაქირავებულ პირთა შრომის გამოყენების, გარემოს გაუმჯობესების, მუშათა ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების დაცვის საკითხებს ეხება. შრომითი კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადანყვება უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო სტანდარტების უმაღლეს მოთხოვნებს, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ნორმებს.

საქართველოში შრომის თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ნორმების განხორციელება დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციაზე, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.<sup>1</sup>

შრომითი ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტები მიზნად ისახავს გააუმჯობესოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შიდა ეროვნული სოციალური გარემო. შესაბამისად ხდება საერთაშორისო შრომითი სტანდარტების ტრანსფორმაცია ქვეყნებში მათი სპეციფიკის შესაბამისად. სწორად ამიტომ აღნიშნულია კონსტიტუციაში, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.<sup>2</sup> ეს კი ავალდებულებს ქვეყნის ხელისუფლებას დაიცვას საერთაშორისო ნორმების პრიორიტეტულობა, ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები მის ხელთ არსებული ყველა შიდა საშუალებებით.

დღევანდელ მსოფლიოში, შრომითი ურთიერთობები ხასიათ-

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7.

<sup>2</sup> იქვე, მუხლი 6.

დება დიდი მრავალფეროვნებით. არსებობს რამდენიმე მოდელი, დანყებული „იდეალური ტიპის“ ურთიერთობებიდან დასავლეთ ევროპაში დამთავრებული „გარდამავალი პატერნალიზმით“ რომელიც ხორციელდება საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ყოფილ ქვეყანაში.

შრომითი ურთიერთობების კონფრონტაციული მოდელი გამოხატავს მხარეების კონფლიქტს, ურთიერთინტერესების აღიარება არის შეზღუდული ან არ არსებობს, მათ შორის ურთიერთობა ხშირად საჭიროებს მთავრობის ჩარევას. ამ მოდელში, შრომითი კანონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინდივიდუალური უფლებების განსაზღვრაში, მაგრამ როგორც წესი, იგი რჩება მხოლოდ ქალაქდზე, და მათი აღსრულება სუსტია ან სადავო.

შრომითი ურთიერთობის პლურალისტური (გარდამავალი) მოდელი შეიქმნა ისტორიის უფრო ცივილურ სტადიაზე და გულისხმობს სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარდაჭერას. მხარეები ხვდებიან, რომ მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ და მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება, თუმცა ინტერესების სტრუქტურა ფრაგმენტირებულია და სუსტია მათი კოორდინაცია. სახელმწიფო ზღუდავს თავის ინტერვენციებს და იმედოვნებს, რომ თვითრეგულირების საბაზრო ძალებით მოხდება ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება. ამ მოდელში სამრეწველო ურთიერთობები ხასიათდება „ვოლუნტარიზმით“, პროფკავშირების მოძრაობა არ არის დაცული, თუმცა მისი თავისუფლება გარანტირებულია კანონით, კოლექტიური ხელშეკრულებები და შეთანხმებები ღირსების საკითხია და არ არის ინსტიტუციონალურად უზრუნველყოფილი.

კოლექტიური მოლაპარაკებების კორპორატიული მოდელში სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარდაჭერა ხდება ეროვნული ინსტიტუტების მიერ, ან კორპორაციებში საბჭოების, ან მუშაკებისა და მენეჯმენტის ერთობლივი კომიტეტების მიერ. სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ხელშეკრულების რეგულირებას, მაგალითად, აღიაროს პროფკავშირები ეროვნულ და დარგობრივ დონეზე, რათა გაატაროს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკა, ხოლო სანარმოს დონეზე პროფკავშირული საქმიანობისადმი დამოკიდე-

ბულებას ნიჰილისტურად უდგება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მუშათა გაერთიანებებსა და დამსაქმებლებს შორის კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით გამოყოფენ სამ მოდელს:

პირველი, მონოპოლიური გაერთიანების მოდელის თანახმად, რომელიც შექმნა ჯ. დანლოპმა 1944 წელს, მონოპოლიურ გაერთიანებას აქვს იმის ძალაუფლება, რომ მოახდინოს ხელფასების განაკვეთების ზრდა, რომლის შედეგად ფირმები დასაქმების დონის შერჩევის არჩევანის წინაშე დგანან. დღეს ამ მოდელს მრავალი ეკონომისტი არარეალისტურად მიიჩნევს.

მეორე, მართვის უფლების მოდელის თანახმად, რომელიც ინგლისური სკოლის წარმომადგენელმა სტეფან ნიკელმა განავითარა 1980 წელს, ფირმებსა და მშრომელთა გაერთიანებებს შორის ხელფასების გარშემო მოლაპარაკება ხდება ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსის, ჯონ ნაშის მიერ შემუშავებული თამაშთა თეორიის, კერძოდ მოლაპარაკებების დროს ჩამოყალიბებული წონის-წორობის მიხედვით, სადაც ვერც ერთი მხარე ვერ გაზრდის თავის სარგებელს მეორე მხარის გარეშე და თუ ერთი მხარე გაზრდის მოთხოვნას, ვერც ერთი მხარე ვერ მიიღებს სარგებელს, ხოლო თუ შეამცირებს მოთხოვნას, მაშინ მეორე მხარე ლეზულობს მეტ სარგებელს. ვერც ერთი მხარე ვერ მიიღებს უფრო მეტს თუ იგი შეეცდება ცალმხრივად შეცვალოს სტრატეგია.

მესამე მოდელს, რომელიც 1981 წელს შექმნეს მაკდონალდმა და სოლოვმა, ეწოდება ეფექტური მოლაპარაკების მოდელი, სადაც მშრომელთა გაერთიანებები და ფირმები მოილაპარაკებენ ერთმანეთში ხელფასებისა და დასაქმების გარშემო.

მთლიანობაში რეგულირების ცალკეულ მოდელის ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე. იქ, სადაც ნორმატიული მოდგომა წარმატებულია, არ ნიშნავს იმას, რომ სხვაგანაც მან წარმატებით შეიძლება იმოქმედოს, შესაბამისად საბაზრო რეგულირებასაც განსხვავებული ეფექტი გააჩნია.

განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია აქტიური ნორმატიული რეგულირება შრომის კოდექსით შრომის ბაზარზე ინტერვენციის მეშვეობით, თუმცა ინსტიტუციონალური შეზღუდვე-

ბის გამო შრომის ბაზრის რეგულირება მრავალ ქვეყანაში ხორციელდება საბაზრო და არაფორმალური ძალების გამოყენების გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკი აქცენტირებას აკეთებს შრომის ბაზრის რეგულირების დეფორმაციულ მიდგომაზე, ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კი - ინტერვენციულზე. პირველი მათგანი ეხება ეკონომიკის ეფექტიანობას, მეორეს კი აქცენტი სოციალურ სარგებელზე გადააქვს. მთლიანობაში ეს ორი მიდგომა ქმნის ახალ მოდელს, რომელიც შრომის ბაზრის რეგულირების პოლიტიკას ძირითადად აფუძნებს სახელმწიფოს ინტერვენციებზე, რომელიც მიმართულია ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად.

ამასთან მიზანშეწონილია ქვეყნების მიერ ეკონომიკური რეფორმების გატარებისას ეს განსხვავებული მიდგომები შეჯერდეს შრომის დაცვის პოლიტიკური ეკონომიის ასპექტების გათვალისწინებით.

ამგვარად, შრომის ბაზარზე უთანასწორობა და არასამართლიანი მოტივაციები მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერვენციებს. ქვეყნები შრომის ბაზრის რეგულირებას სხვადასხვა გზით ახდენენ და იყენებენ როგორც ნორმატიულ, ასევე კოლექტიური გადაწყვეტის საშუალებებს. რეგულირების თითოეულ მექანიზმს ახასიათებს უარყოფითი და დადებითი მხარეები, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყნის სპეციფიკური ბუნება და არსებული ტრადიციები განსაზღვრავენ ამ მექანიზმების გამოყენების ეფექტიანობას.

შრომის ბაზრის რეგულირების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ინსტიტუციონალურ პერსპექტივებზე, მათ შორის სახელმწიფო სტანდარტებზე, კოლექტიურ მოლაპარაკებებზე ან საბაზრო მექანიზმების გამოყენებაზე. ეს მიდგომები არის წინააღმდეგობრივი. განვითარებად ქვეყნებში ბაზრის ჩავარდნები გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც აქტუალურს ხდის ბაზრის რეგულირების პრობლემას, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში შრომის ბაზარზე ინტერვენციები არ გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით.



## **აკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

---

მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური რეგულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ რა კავშირია შრომის ბაზრის რეგულირებასა და სოციალური დაცვის პოლიტიკას შორის, როგორ ხდება უმუშევართა დაცვა და ვისზეა მისი რისკი გადანაწილებული? ამ ურთიერთობებში ყოველთვის არიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი, განსაკუთრებით როდესაც სახელმწიფო იწყებს შრომის ბაზრის რეფორმირებას. ამ პერიოდში რეფორმების შედეგების წინასწარი შეფასება უნდა დაემყაროს იმას, თუ რა სარგებელს მისცემს იგი შრომის ბაზრის სუბიექტებს და ვინ ატარებს რეფორმების ტრანსაქციულ ხარჯს, ან რამდენად უკეთესად უზრუნველყოფს სოციალურ დაცვას ისე, რომ არ მიადგეს ზარალი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. შრომის ბაზრის რეგულირების საკითხი ამდენად სამ სიბრტყეში გადაიჭრება: გლობალურად შენარჩუნდეს და გაძლიერდეს სანარმოების კონკურენტუნარიანობა, განხორციელდეს ეფექტიანი სოციალური დაცვა და შემცირდეს შრომის ბაზრის რეგულირებაზე ტრანსაქციული დანახარჯი.

**მოგების ოპტიმალური მოცულობის გაანგარიშების  
მეთოდოლოგია საბაზრო ეკონომიკის პირობებში**

**ბადრი დავითაია**

ედ, ანსუ-ს ასისტენტ პროფესორი

მოგების უმთავრესი როლი ძლიერდება მენარმეობის განვითარებასთან ერთად, რაც განსაზღვრავს მისი მართებული გაანგარიშების აუცილებლობას. სანარმოთა წარმატებული საფიფნანსო—სამეორნეო საქმიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის გაანგარიშებული საგეგმო მოგება.

საგეგმო მოგების გაანგარიშება უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული, რაც საშუალებას გვაძლევს განვხორციელოთ ინვესტიციების დროული და სრული დაფინანსება, საკუთარი საბრუნავი საშუალების ზრდა, აგრეთვე ბიუჯეტთან, მიმწოდებელთან და ბანკებთან დროული ანგარიშსწორება. მაშასადამე, მოგების რაციონალური დაგეგმვას სანაროებში აქვს დიდი მნიშვნელობა, არა მხოლოდ საკუთრივ სანარმოებისათვის, არამედ მთლიანად ეკონომიკისათვის.

დასავლური გამოცდილების საფუძველზე მაქსიმალურად შესაძლო მოგების პროგნოზირებისათვის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები უნდა შევადაროთ დანახარჯთა მთლიან თანხასთან, რომელიც იყოფა ცვლად, მუდმივ და შერეულ დანახარჯებად. როგორც ცნობილია, ცვლად დანახარჯებს განეკუთვნება დანახარჯები ნედლეულზე, მასალებზე, ელექტრო ენერჯიაზე და სხვა. ეს დანახარჯები იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად. მუდმივი დანახარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ზრდის ან შემცირების მიხედვით. მათ მიეკუთვნება ამორტიზაციის ანარიცხები, მმართველობითი პერსონალის შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა.

შერეული დანახარჯები მოიცავს როგორც მუდმივ, ასევე ცვლად დანახარჯებს. მაგალითად: კომუნიკაციის ხარჯები, მონეობილობათა მიმდინარე რემონტი და სხვა.

ვინაიდან მუდმივი დანახარჯები მცირე ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი, ყურადღების კონცენტრირება მოვახდინოთ მუდმივ და ცვლად დანახარჯებზე და გამოვავლინოთ მათი ცვლილე-

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ბის გავლენა მოგების სიდიდეზე. საქმის არსი იმაშია, რომ მოგების ზრდა დამოკიდებულია მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ფარდობით ცვლილებაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშებები საშუალებას გვაზღვეს განვსაზღვროთ ე. წ. ოპერაციული ბერკეტის ეფექტი (ტერმინი აღებულია მენარმეობის დასავლური პრაქტიკიდან). ოპერაციული ბერკეტის ეფექტს უწოდებენ ისეთ მოვლენას, როდესაც გაყიდვის მოცულობის ცვლილებასთან ერთად (პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები) ხდება მოგების ინტენსიური ცვლილება ამა თუ იმ მიმართულებით.

მაგალითი: მოცემულია, რომ გაყიდვის მოცულობა 2005 წელს შეადგენს 1820 ათას ლარს, მათ შორის ცვლადი დანახარჯები — 1238 ათას ლარს, ხოლო მუდმივი — 197 ათას ლარს. ამგვარად მთლიანი დანახარჯების დროს (1435 ათასი ლარი) მოგება შეადგენს 365 ათას ლარს (1820-1435). თუკი 2006 წ. ამონაგები გაიზრდება 10%—ით, რაც შეადგენს 2002 ათას ლარს ( $1820 \times 110 \div 100$ ), მაშინ ცვლადი დანახარჯებიც გაიზრდება 10% ით და შეადგენს 1362 ათას ლარს ( $1238 \times 110 \div 100$ ). მუდმივი დანახარჯები ასეთ შემთხვევაში დარჩება უცვლელი, ე. ი. 197 ათას ლარი. ამ დროს მუდმივი დანახარჯები შეადგენს 1559 ათას ლარს ( $1362+197$ ), ხოლო მოგება 443 ათას ლარს (2002-1559). ამასთან მოგება გაიზრდება საბაზისო წელთან შედარებით 15%—ით ( $443 \times 100 \div 365 - 100$ ).

მამასადამე, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების 10%—ით ზრდის შემთხვევაში მოგება იზრდება 15%—ით. მოგების გადიდების მიზნით მიზანშეწონილია შევამოწმოთ, თუ რა გავლენას ახდენს მის ზრდაზე არა მხოლოდ ცვლადი, არამედ მუდმივი დანახარჯებიც. ამრიგად, თუ ცვლადი დანახარჯები იზრდება 10%—ით (1362 ათასი ლარი), ხოლო მუდმივი დანახარჯები 2%—ით ( $197 \times 102 \div 100$ ) = 201 ათას ლარი, ყველა დანახარჯის ღირებულება შეადგენს 1563 ათასი ლარს ( $1362+201$ ), მოგება ამ შემთხვევაში განისაზღვრება 439 ათასი ლარით (2002-1563) და მამასადამე, იზრდება გასულ წელთან შედარებით 14%—ით ( $439 \div 365 \times 100 - 100$ ).

წარმოდგენილი ანგარიშებები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ხარისხი. ამისათვის საჭიროა გაყიდვის მოცულობიდან გამოირიცხოს მუდმივი

დანახარჯები, ხოლო შედეგი უნდა გაიყოს მოგების მოცულობაზე.

ამრიგად, ოპერაციული ბერკეტის რაოდენობრივი ზემოქმედება მოგებაზე შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით:

$$O = V \div m, \text{ სადაც}$$

O — ოპერაციული ბერკეტი;

V — დაფარვის წვლილი (სხვაობა მუდმივ დანახარჯებსა და გაყიდვის მოცულობას შორის);

m — მოგება.

ჩვენს მაგალითში ოპერაციული ბერკეტის მოქმედება შეადგენს 1,5(1820-1238) ÷ 385. ამ მაჩვენებელს აქვს მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. თუკი გაყიდვის მოცულობა იზრდება, მაგალითად, 4%—ით, მაშინ შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს, რომ მოგება გაიზრდება 6%-ით (4× 1,5). იმ შემთხვევაში თუკი მოგების მოცულობა შემცირდება 8%—ით, მაშინ მოგება შემცირდება 12%—ით (8× 1,5).

ვსაზღვრავთ რაც დანახარჯების სტრუქტურის გავლენას მოგებაზე ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების დახმარებით, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა: რაც უფრო მაღალია მუდმივი დანახარჯების ხვედრითი წილი და შესაბამისად დაბალია ცვლადი დანახარჯების ხვედრითი წილი გაყიდვის მოცულობის უცვლელობის პირობებში, მით უფრო ძლიერია ოპერაციული ბერკეტის გავლენა. თუმცა, მუდმივი დანახარჯების არარაციონალური გადიდების დროს მკვეთრად იზრდება სამენარმეო რისკი, ვინაიდან, თუ შემცირდება პრუდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები, მაშინ სანარმო განიცდის მოგების შემცირებას.

მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ურთიერთკავშირის კვლევის დროს უმთავრეს როლს თამაშობს წარმოების უზარალობის ანალიზი. უზარალობის წერტილი შეესაბამება გაყიდვის იმ მოცულობას, რომლის დროსაც ფირმა ფარავს ყველა მუდმივ და ცვლად დანახარჯებს და არა აქვს მოგება. უზარალობის წერტილის დახმარებით განისაზღვრება ზღვარი, რომლის იქით გაყიდვის მოცულობა უზრუნველყოფს რენტაბელურობას. უზარალობის წერტილი შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$P = \frac{V1}{1 - V2 \div N}$$

## აქონების მართვის თანამართლები პრობლემა

სადაც P - არის უზარალობის წერტილი;

V1 — არის მუდმივი დანახარჯები;

V2 — არის ცვლადი დანახარჯები;

N — არის გაყიდვის მოცულობის ღირებულება.

მაგალითი: გაყიდვის მოცულობა შეადგენს 3600 ათასი ლარს, მათ შორის ცვლადი ხარჯებია 2160 ათასი ლარი, მუდმივი დანახარჯები 1000 ათასი ლარი, მოგება 440 ათასი ლარი. რეალიზებული 1000 ერთეული ნაკეთობა, დანახარჯები ერთეულზე 3600 ლარი ( $3600000 \div 1000$ ), გაყიდვის მოცულობის ღირებულება უზარალობის წერტილში შეადგენს  $1000 \div (1 - 2160 \div 3600) = 2500$  ათასი ლარს.

ნატურალურ გამოსახულებაში რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა უზარალობის წერტილში შეადგენს  $2500000 \div 3600 = 694$  ერთეულს. ეს იმას ნიშნავს 694 ერთეულის გაყიდვა გამოისყიდის ყველა დანახარჯს მოგების ფორმირების გარეშე. უზარალობის წერტილის ზევით ყოველი ერთეულის რეალიზაცია უზრუნველყოფს მოგების ფორმირებას.

გარდა აღნიშნულისა, მოგების მოცულობის გაანგარიშების გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი განრიგების მეთოდი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოგება გაიანგარიშება, როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციასთან ამონაგებისა და მის სრულ თვითღირებულებას შორის პირდაპირი გადასახადების გამოქვითვით. გაანგარიშება წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$\Pi = (B \times \Pi) - (B \times C)$$

სადაც  $\Pi$  — საგემო მოგება;

B — საგემო პერიოდში, სასაქონლო პროდუქციის გამოშვება ნატურალურ ერთეულებში;

$\Pi$  — პროდუქციის ერთეულის ფასი (არაპირადი გადასახადების გამოქვითვით);

C — პროდუქციის ერთეულის სრული თვითღირებულება.

მოგების გაანგარიშებას საგემო წელს წინ უსწრებს შესადარი და არაშესადარი სასაქონლო პროდუქციის გაანგარიშება როგორც სრული თვითღირებულების, ისე სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ამასთან უნდა განისაზღვროს საწყობში მზა პროდუქციის ნაშ-

თი და ჩამოტვირთული საქონლის ნაშთი საგეგმო წლის დასაწყისში და ბოლოს.

მაგალითი. განვიხილოთ მოგების გაანგარიშება პირდაპირი მეთოდით.

მოცემულია: ფირმა უშვებს საგეგმო წელს მზა პროდუქციის 30 ათას ერთეულს. საბითუმო ფასია პროდუქციის ერთეულზე (არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით) 15 ათასი ლარი. საბაზისო წელს საწარმოო თვითღირებულება 10 ათასი ლარი. საგეგმო წელს მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულების შემცირება უნდა შეადგინოს 5%. რეალიზაციის ხარჯები შეადგენს სარეალიზაციო პროდუქციის სრული თვითღირებულების 0,5%.

მზა პროდუქციისა და ჩამოტვირთული საქონლის ნაშთის საგეგმო წლის დასაწყისში 1500 ერთეული, ხოლო ამავე წლის ბოლოს 500 ერთეული. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიანგარიშოთ ჩამოტვირთული და მზა პროდუქციის ნაშთი საგეგმო წლის დასაწყისში სრული თვითღირებულების მიხედვით - 10 ათასი ლარი ხ 1500 ერთეული = 15000 ათას ერთეული.

თუ პროდუქციის ერთეულის საწარმოო თვითღირებულება საგეგმო წელს 9,5 ათასი ლარი ( $10 \times 95:100$ ), მაშინ საგეგმო წელს სასაქონლო პროდუქციის მოცულობა საწარმოო თვითღირებულების მიხედვით შეადგენს 285000 ათასი ლარს ( $9,5 \times 30000$ ).

ჩამოტვირთული საქონლისა და მზა პროდუქციის ნაშთი საგეგმო წლის ბოლოს სრული თვითღირებულების მიხედვით შეადგენს 4750 ათას ლარს ( $9,5 \times 500$ ).

ამდენად, საგეგმო წელს საქონლის რეალიზაციის მოცულობა საწარმოო თვითღირებულების მიხედვით გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 295250 ათასი ლარს ( $1500+28500-4750$ ). იმისთვის, რომ გავიანგარიშოთ ეს პროდუქცია სრული თვითღირებულებით, საჭიროა გავიანგარიშოთ დანახარჯები საქონლის რეალიზაციაზე: ( $295250 \times 0.5 : 100$ ) = 1476.25 ათასი ლარი. მაშასადამე, სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა სრული თვითღირებულების მიხედვით შეადგენს 296726,25 ათას ლარს ( $295250+1476,25$ ).

რეალიზაციის მოცულობა ნატურალურ ერთეულებში არის 31000 ერთეული ( $1500+30000-500$ ), ხოლო საბითუმო ფასებში 465000 ათასი ლარი ( $15 \times 31000$ ). ასეთ პირობებში მოგება საქონლის რეალ-

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

იზაციიდან საგემო წელს შეადგენს 168273,75 ათას ლარს (465000-296726,25).

მსგავსი გაანგარიშებები ძლაზე აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რადგანაც საწარმოს შეუძლია დასაბუთებულად მოახდინოს რენტაბელური საქმიანობის პროგნოზირება. გარდა ამისა ფირმის სტრატეგიის განსაზღვრის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნას ფინანსური მდგრადობის მარაგი, ე. ი. შეფასდეს გაყიდვის მოცულობა უზარალობის დონის ზევით. ფინანსური მდგრადობის მარაგი გაიანგარიშება ფორმულით:  $F=(N-P) \div N \times 100$

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში ფინანსური მდგრადობა შეადგენს  $(3600-2500) \div 3600 \times 100=30,6\%$ .

მამასადამე, ფირმას შეუძლია შეამციროს წარმოებისა და გაყიდვის მოცულობა 30,6%—ით, ვიდრე მიაღწევდეს უზარალობის წერტილს. ფინანსური მდგრადობის ასეთი სოლიდური მარაგი უნდა იყოს გათვალისწინებული ფირმის სტრატეგიის ფორმირების პროცესში.

ამრიგად, ფინანსური მდგრადობის დიდი მარაგის საფუძველზე ფირმას შეუძლია აითვისოს ახალი ბაზრები, მოახდინოს ინვესტირება როგორც ფასიან ქალაქებში, ასევე წარმოების განვითარებაშიც. აღსანიშნავია, ისიც, რომ მოგების საპროგნოზო გაანგარიშებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქონლის მწარმოებელთა და რეალიზატორებისათვის, არამედ აქცინერების, ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული საწარმოს საქმიანობასთან. ამიტომ მოგების ოპტიმალური მოცულობის დაგეგმვა თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში წარმოადგენს წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისა და ორგანიზაციის უმთავრეს ფაქტორს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Финансовый менеджмент. Учебник / Под. Ред. Н. Ф. Самсонова, М. Юнити, 1999г.
2. Хорн Дж, В, Основы управления финансами / М, 2002г, Юнити.
3. Финансовый менеджмент / Под. Ред. Проф. А. М. Ковалевой. М. Инфра, 2005г.
4. Перар Жозет. управление финансами с управлениями. М. Инфра, 2004г.

**ინფლაციის ღონე საქართველოში. მისი გამოყოფილი  
მიზეზები და პიონერიური შედეგები**

**გიგლა გაბაიძე**  
ეკონომიკის დოქტორი

ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასაწყვეტ პრობლემას, რომელსაც აწყდება საზოგადოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოადგენს ინფლაცია. ზოგადად, ინფლაცია არის ფასების დონის მკვეთრი ზრდა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელმაც მოცემულ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ფასების ყოველგვარი მატება არ ნიშნავს ინფლაციას. ცალკეული დასახელების საქონელზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ყოველთვის შეიძლება ფასი გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს სხვა საქონელზე იგი შემცირდეს. ასეთ შემთხვევაში ფასების საერთო დონე შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შემცირდეს კიდევ, შესაბამისად, ფასების ასეთი ცვლილება ინფლაციას არ გამოიწვევს. ინფლაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მატულობს ფასების საერთო დონე და უფასურდება ფული, ანუ როცა ფულის ერთი და იმავე რაოდენობით სულ უფრო ნაკლები მოცულობის საქონლისა და მომსახურების შეძენა შესაძლებელია. ე.ი. ინფლაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა მომოქცევაში გამოყენებულია ფულის მასა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით. ასეთი სიტუაცია არღვევს თანაფარდობას გადახდისუნარიან მოთხოვნას და მიწოდებას შორის, რადგანაც ერთი და იმავე მოცულობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად უფრო მეტი რაოდენობის ფულია საჭირო. ინფლაცია, უშუალოდ იმით ვლინდება, რომ ფული უფასურდება საქონლისა და მომსახურების ღირებულებასთან შედარებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინფლაციას ადგილი აქვს იმის გამო, რომ: 1. მოსახლეობა თავის ხარჯებს უფრო მეტად ზრდის ვიდრე მწარმოებლები ახდენენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას და 2. ხდება მომხმარებლის საქონლითა და მომსახურე-



ბით მომარაგების შემცირება, რაც იწვევს ფასების ზრდას [1].

ინფლაციის მაჩვენებლის მიღებისას ანგარიშობენ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობისა და დასახელების საქონლისა და მომსახურების – „სამომხმარებლო კალათის“ ფასების ცვლილებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას. იგი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას.

საქართველოში სამომხმარებლო ფასების რეგისტრაცია ხორციელდება ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი). სამომხმარებლო კალათა იდენტიურია ხუთივე ქალაქისათვის და იგი შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს შინამეურნეობების (მომხმარებლების) მიერ. ამჟამად კალათა შეიცავს 288 დასახელების საქონელსა და მომსახურებას და მისი (კალათის) განახლება ხდება 3 წელიწადში ერთხელ.

2011 წლის იანვარში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 2,1 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის ამ მაჩვენებლის (დონის) ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე:

➤ სურსათზე და უალკოჰოლო სასმელზე მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 4,2 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 1,85 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ყველაზე დიდი ფასების ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულსა და ბალჩეულზე – 11,7 პროცენტი, ხილსა და ყურძენზე – 8,0 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე – 6,2 პროცენტი.

➤ საცხოვრებლის, წყლის, ელექტროენერჯიის, აირის და სათბობის სხვა სახეებზე ფასები გაიზარდა 0,4 პროცენტით და შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში შეადგინა 0,06 პროცენტი.

➤ ტრანსპორტზე ფასები გაიზარდა 0,6 პროცენტით. ფასების მკვეთრი ზრდა აღინიშნა საგარეუბნო ავტობუსებით მგზავრობა-

ზე-8,2 პროცენტით და თვითმფრინავით მგზავრობაზე-8,3 პროცენტით.

2011 წლის იანვარში 2010 წლის იანვართან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 12,3 პროცენტი შეადგინა. ჭფასების მატება ქვეყნის მიხედვით კი ასეთ სურათს იძლევა:

➤ სურსათი და უალკოჰოლო სასმელზე ამ 12 თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 25,2 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 10,2 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა ფასების მატებამ ბოსტნეულსა და ბალჩეულზე-50,8 პროცენტით, ხილსა და ყურძენზე-38,3 პროცენტით, ზეთსა და ცხიმზე-35,5 პროცენტით, პურსა და პურპროდუქტებზე-20,0 პროცენტით, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე-16,6 პროცენტით.

➤ საცხოვრებლის, წყლის, ელექტროენერჯის, აირის და სათბობის სხვა სახეებზე ფასები გაიზარდა 2.8 პროცენტით და ამ ჯგუფის წვლილმა საერთო ინფლაციის მაჩვენებელში შეადგინა 0.4 პროცენტი.

➤ ტრანსპორტის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 0.7 პროცენტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დიზელის საწვავზე-20.5 პროცენტი და ბენზინზე-13.7 პროცენტი.

შედარებისათვის 2007 წელს ქვეყანაში არსებულ 11 პროცენტთან ინფლაციაში სურსათის გავლენა იყო 5.7 პროცენტი, ხოლო 2008 წლის აგვისტოში (სამხედო აგრესიის დროს), როდესაც მოკლე პერიოდში მნიშვნელოვნად გაძვირდა სურსათი, 12.8 პროცენტთან ინფლაციაში სურსათის გავლენა იყო 7.9 პროცენტი. 2011 წლის იანვრის მდგომარეობით კი 12.3-იან ინფლაციაში სურსათის გავლენა 10.2 პროცენტია. ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან.

2012 წლის იანვარში 2011 წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 0.5 პროცენტი შეადგინა. მოცემულ პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის ფასები გაიზარდა 1.7 პროცენტით და მისმა წვლილმა იანვრის თვის ინფლაციაში 0.5 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნე-

**აქონობის თეორიის თანამართლება პრობლემა**

ნელოვანი ზრდა დაფიქსირდა: ხილი და ყურძენი –7.4 პროცენტი, ბოსტნეული და ბალჩეული–5.8 პროცენტი, რძე, ყველი და კვერცხი – 4.0 პროცენტი, ხორცი და ხორცის პროდუქტები–3.3 პროცენტი.

ერთი წლის განმავლობაში ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13.8 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში 0.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა [4].

როგორც წარმოდგენილი ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ყველაზე მეტად სასურსათო პროდუქტებზე ხდება ფასების ზრდა, რაც ძალიან უარყოფითად აისახება ყვეყნის მოსახლეობის (განსაკუთრებით პენსიონერები, პედაგოგები და სხვა) საარსებო პირობებზე. მართალია ინფლაცია დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ იგი უფრო მძიმე შედეგებით აისახება ისეთი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორც საქართველო და სადაც სამომხმარებლო კალათაში სურსათს დიდი ხვედრითი წილი (50 პროცენტი და მეტი) უჭირავს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონელზე 10 პროცენტზე ნაკლები მოდის.

**ცხრილი 1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) საქართველოში [4]**

| N | მაჩვენებლები                              | 2006  | 2007  | 2008  | 2009  | 2010  | 2011  |
|---|---|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| 1 | საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან | 109,2 | 109,2 | 110,0 | 101,7 | 107,1 | 108,5 |
| 2 | დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან           | 108,8 | 111,0 | 105,5 | 103,0 | 111,2 | 102,0 |
| 3 | წლიური ინფლაციის დონე (%)                 | 8,8   | 11,0  | 5,5   | 3,0   | 11,2  | 2,0   |

ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ინფლაციის ყველაზე მაღალი დონე (11.2 პროცენტი) დაფიქსირდა 2010 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი (2,0 პროცენტი) კი 2011 წელს.

კონკრეტულად თუ რა ფაქტორები იწვევს ჩვენს ქვეყანაში ინფლაციას უცნობია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – გიორგი ქადაგიძე მიიჩნევს, რომ ჩვენში ინფლაციის 90 პროცენტი გამოწვეულია გარე ფაქტორებით და ფასების ზრდა განპირობებულია საერთაშორისო ბაზარზე სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატებით. იმ პერიოდისათვის ეკონომიკის ექსპერტის – დავით ნარმანის აზრით კი ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, როგორც საერთაშორისო ბაზარზე ფასების მატებით, ასევე ქვეყნის შიგნითაც უნდა ვეძებოთ და ხელისუფლების აპელირებას მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე არასწორად მიიჩნევს. შიდა ფაქტორებიდან იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს სანვავის, მედიკამენტების და შაქრის ბაზარზე მონოპოლიური და ოლიგოპოლიური კომპანიების არსებობას. ინფლაციას ხელს უწყობს მთავრობის მიერ გატარებული ცალკეული ისეთი ღონისძიებებიც, როგორიცაა სასურსათო ვაუჩერების დარიგება და სხვა ღონისძიებები. ეროვნული ბანკის პოლიტიკა – ხელოვნურად გაამყაროს ლარი და ამით შეამციროს ინფლაცია საჭირო ქმედებაა, მაგრამ არასაკმარისი. მდგომარეობის სრულყოფისათვის ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ კოორდინირებული პოლიტიკა უნდა გაატაროს და მთავრობამ დროულად დაასრულოს კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფა და შესაბამისი სამსახურის ფორმირება, აცხადებს დ. ნარმანია [2].

სოსო ცისკარიშვილის აზრით ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი სერიოზული მასტიმულირებელია ქვეყანაში არსებული კორუფცია. რაც უფრო დიდი და ფართო მასშტაბიანია კორუფცია, მით უფრო მაღალია ინფლაციის დონე. მისი აზრით, შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელმა კორუფციამ ევოლუცია განიცადა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ელიტური გახდა. იგი მიიჩნევს, რომ კორუფცია ინფლაციურ პროცესებში საკმაოდ... მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ე. წ. პრივატიზაცია, რომელიც სახელმწიფო ქონების გასხვისებასთან არის დაკავშირებული, ძირითადად პირდაპირი მიყიდვის წესით წარიმართებოდა და არავითარი ტენდერი და გამჭირვალობა ამ პროცესს არ ახასიათებდა. არაოფიციალურად გადახდილი თანხა კი უკონტროლო და

## **მაკროეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

შავი ფულია, რომლის ბაზარზე შემოდინება არაპროგნოზირებად მოვლენებს იწვევს, ისეთს, როგორიცაა ბაზარზე ფასების ზრდა და ინფლაციური პროცესები [3].

ინფლაცია თავისი შინაარსით მაკროეკონომიკური მოვლენაა და ამიტომ მისი არსისა და მიზეზის გაგება მხოლოდ მაკროდონეზე მიმდინარე პროცესების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე შეიძლება. ინფლაციის მიზეზებს შორის კი პირველ პლანზე წამოიწევა ისეთი მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევა, როგორიცაა წონასწორობა მოხმარებასა და დაგროვებას შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის, ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნასა და მიმოქცევაში რეალურად არსებული ფულის მასის მოცულობას შორის და ა.შ, თუმცა აქ ჩამოთვლილ თანაფარდობებს შორის უპირატესობა მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას ენიჭება.

აქედან გამომდინარე, მეცნიერ-ეკონომისტები განიხილავენ ინფლაციის ორ ტიპს: ინფლაციას, რომელიც გამომწვეულია ერთობლივი მოთხოვნის სიჭარბით და ინფლაციას, რომელიც დანახარჯების ზრდითა და მიწოდების ნაკლებობით არის განპირობებული.

პირველი ტიპის ინფლაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებაში გადახდისუნარიანი მოთხოვნა მეტია, ვიდრე მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ჭარბი მოთხოვნა იწვევს ფასების ზრდას და მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნების გაუფასურებას.

მეორე ტიპის ინფლაციისას პროდუქციის ერთეულზე განუვლი ხარჯების ზრდა იწვევს სამეწარმეო მოგებისა და შესაბამისად წარმოების მოცულობის შემცირებას. ამის გამო მცირდება მიწოდების სიდიდე, რაც წარმოშობს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დეფიციტს და პროდუქციის ერთეულზე ფასების გადიდებას. ასეთ შემთხვევაში ფასი იზრდება მაშინაც, კი როცა მოთხოვნა უცვლელია. ამ პირობებში ფასების ზრდას იწვევს არა მოთხოვნის სიჭარბე, არამედ მიწოდების შემცირება, რაც სანარმოო დანახარჯების ზრდით არის განპირობებული.

პრაქტიკაში ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული ინფლაცია, თუმცა ყველა შემთხვევაში გასაგებია, რომ ინფლაციის დროს დარღვეულია თანაფარდობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის, რის შედეგადაც იზრდება ფასები და უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მაინც რატომ არის ინფლაცია ცუდი ეკონომიკისათვის? მეცნიერ-ეკონომისტები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მაღალი ინფლაცია გვევლინება ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ ფაქტორად და წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საფუძველს. ამასთან დამტკიცებულია, რომ დაბალი ინფლაცია სტაბილური ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

იმისათვის, რომ ვნახოთ თუ რა კავშირი არსებობს ინფლაციის მაჩვენებელსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის, მოვიყვანო მსოფლიო ბანკის მიერ 2005 წლის მონაცემებით ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დაბალი მაჩვენებელია, გაცილებით მაღალია ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ინფლაციის დონე. განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 10 ათას აშშ დოლარს სჭარბობს, ინფლაციის 0-4 პროცენტის დიაპაზონი შეესაბამება. საპირისპირო სურათია იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 5 ათასი აშშ დოლარზე ნაკლებია, მათთვის ინფლაციის დონე 6-30 პროცენტის ფარგლებშია[5].

ინფლაცია მრავალმხრივ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი ძირფესვიანად არღვევს კლავწარმოების პროპორციებს, აიძულებს საზოგადოებას შეამციროს დანაზოგები და კაპიტალური დაბანდებები და ფულადი სახსრები ძირითადად პირველადი საგნების შეძენაზე დახარჯოს. ინფლაციის პერიოდში მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ფულადი ხარჯების სტრუქტურაც და მათი უდიდესი ნაწილი იხარჯება სასურსათო საქონლის შესაძენად.

ინფლაცია აღრმავებს საზოგადოების სოციალურ და ქონებრივ

## **პონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

დიფერენციაციას. იზრდება ლარიბებისა და ლატაკების რიცხვი. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, რადგან მათი უძრავ-მოძრავი ქონების ფასი ინფლაციის დროს კიდევ უფრო მატულობს, ხოლო ლარიბები კი უფრო მეტად ლარიბდებიან. ეს პროცესი საზოგადოების სოციალურ კატაკლიზმებს ამწვავებს და ქმნის დაძაბულობას ქვეყანაში.

ინფლაცია ამუხრუჭებს წარმოების პროცესს, ამიტომ სწრაფად იზრდება უმუშევართა რიცხვი, მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ყველაფერი დეფიციტური ხდება, რაც აჩქარებს ფასების ზრდას და იწვევს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესებას. ეს პროცესი განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობაში (პენსიონერები, პედაგოგები და სხვა).

ინფლაციის დროს მნიშვნელოვნად ზარალდება მიკრო და მცირე ბიზნესი, რადგანაც ბრუნვის მოცულობა ინფლაციის პარალელურად იზრდება, მაგრამ ამასთან უცვლელი რჩება ბიზნესის დაბეგვრის ზღვარი, რაც ქმნის იმის პირობას, რომ მოხდეს მათი გადასვლა შემდგომ კატეგორიაში, და მათზე შესაბამისად დიდი საგადასახადო ტვირთი გაგრძელდება.

სწორედ ამ მიზეზების გამო ინფლაციის პრევენცია – ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მთავარ ამოცანას, რადგანაც იგი გვევლინება სტაბილური ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რ. ვაჩნაძე, გ. თურქია. ბიზნესი, ტომი 1. თბ. 2008. ჩგვ. 80
2. გაზეთი „ფენიქსი“, 14–28 დეკემბერი 2011წ. №3.
3. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, № 13 (162) 2008წ.
4. geostat. ge, ინფლაცია საქართველოში
5. w.w.w.bec.ge /images/ doc



**ფინანსები, ბანკები,  
ბირჟები**



**მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ფორმირება  
საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისა  
და ბიუჯეტირების პროცესში**

**ბესარიონ ბაუჩაძე**

ე.დ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის კომპანიის მენეჯმენტმა თანამედროვე პირობებში მკაფიოდ თვალყური უნდა ადევნოს მმართველობით აღრიცხვას (როგორც მმართველობითი გადანყვეტილებების მიღების ინფორმაციულ და ანალიტიკურ ბაზას), სტრატეგიულ დაგეგმვას (როგორც კომპანიის ფუნქციონირების საფუძველს) და ბიუჯეტირებას შორის ურთიერთკავშირს.

ამჟამად ბევრი სამამულო კომპანია დგას ძირითადი კაპიტალის განახლების პრობლემის წინაშე. საშუალებების ნაწილის ინვესტირებაზე წარმართვა და მათი კომპანიის საბრუნავი კაპიტალიდან ამოღება სვამს მათი ხარჯვის მკაცრი კონტროლის ამოცანას. მმართველობითი აღრიცხვის სისტემა მათი დაგეგმვის, ოპერატიული აღრიცხვის განხორციელების და საინვესტიციო საქმიანობაზე კომპანიის მიერ განეული დანახარჯების გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

ინვესტიციები წარმოადგენენ არასაბრუნავი საშუალებების შექმნის, ზომების გადიდების და აგრეთვე შექმნის დანახარჯებს. ეს არასაბრუნავი აქტივები არაა განკუთვნილი გადაყიდვისათვის, სახელმწიფო ფასიან ქალაქებში, სხვა საწარმოების ფასიან ქალაქებში და სანესადებო კაპიტალში გრძელვადიანი ფინანსური დაბანდების გარდა.

მსხვილ სამრეწველო საწარმოებში ხდება საინვესტიციო და-



ნახარჯების საპროექტო დაგეგმვა და აღრიცხვა. არასაბრუნავი აქტივების ნებისმიერი შექმნა ფორმდება საინვესტიციო პროექტის სახით. საინვესტიციო პროექტი — ესაა კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური მიზანშეწონილობის, მოცულობის და განხორციელების ვადების დასაბუთება. ის აგრეთვე მოიცავს საჭირო საპროექტო-სახარჯაღრიცხვო დოკუმენტაციას, ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისად და დადგენილი წესით დამტკიცებულია სტანდარტებით (ნორმებით და წესებით), და აგრეთვე ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ქმედებების აღწერას (ბიზნეს-გეგმას).

**ბიუჯეტირების სისტემა** — ესაა ბიუჯეტის დონეების და სახეობების, მათი შედგენის ვადების და წესების, ინფორმაციის მიწოდების ფორმატების, საბიუჯეტო პროცესზე კონტროლის და პასუხისმგებლობის კომპანიაში მიღებული განსაზღვრის ერთიანი სისტემა. მისთვის დამახასიათებელია საბიუჯეტო ფორმების უნიფიცირება, საბიუჯეტო პერიოდების შეთანხმებულობა, ბიუჯეტის შემუშავების პროცედურების ერთსახოვნობა, ბიუჯეტირების პროცედურების და დადგენილი მიზნობრივი მაჩვენებლების უცვლელობა მთელი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში, ბიუჯეტების შედგენის პროცედურის უწყვეტობა, და აგრეთვე წინასწარ ჩამოყალიბებული ფინანსური მიზნების არსებობა გეგმური მაჩვენებლების სახით (კომპანიის განვითარების სტრატეგია).

**საინვესტიციო საქმიანობის ბიუჯეტირება** — ესაა განსაზღვრული პერიოდის (ერთი თვე, კვარტალი, ერთი წელი, სამი წელი ან 5 წელი) ფარგლებში შემუშავებადი ოპერატიული გეგმების შედგენის პროცესი კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისათვის. კომპანიის საინვესტიციო ბიუჯეტი (სბ) — ესაა საინვესტიციო საქმიანობის გეგმა, რომელიც გამოხატულია რაოდენობრივ მაჩვენებლებში და ასახავს კაპიტალურ დანახარჯებს და გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებს საბიუჯეტო პერიოდისთვის. საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს საწარმოს საინვესტიციო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას (ყველა დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების ერთობლიობას). ის ემსახურება საინვესტიციო პროცესის მართვის ეფექ-

ტიანობის ამალღების მიზნებს და ნარმოადღენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს როგორც მთლიანად ბიზნეს-გეგმის, ისე მარკეტინგის გეგმების და ფინანსური გეგმის შემუშავებისათვის.

**საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის სისტემა** საინვესტიციო ბიუჯეტის გარდა მოიცავს შიდა დაგეგმვის, აღრიცხვის და საინვესტიციო საქმიანობის ანგარიშგების ფორმების მთელ კომპლექსს: საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის უზრუნველმყოფელ მონაცემთა ბაზას, საინვესტიციო ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშებს, საანალოზო ფორმებს.

საინვესტიციო ბიუჯეტი ჩვეულებრივ ყალიბდება ოთხი ფორმით:

1) გადახდის მიზნისათვის — საინვესტიციო საქმიანობის **ფსმპ** (ფულადი საშუალებების მოძრაობის ბიუჯეტი);

2) საბუღალტრო აღრიცხვაში ინვესტირების ობიექტების ასახვის მიზნებისათვის — საბიუჯეტო ბალანსი;

3) ფინანსური შედეგის და დაბანდებების უკუგების პროგნოზირებისათვის - **შგბ** (შემოსავლების და გასავლების ბიუჯეტი);

4) საინვესტიციო გასავლების და საწარმოო ციკლის შეუღლებებისათვის — ინვესტიციების გეგმა-გრაფიკი;

ფულადი საშუალებების მოძრაობის ბიუჯეტი (ფსმპ) შედგება გადახდისუნარიანობის მართვის, ფინანსური ნაკადების ინტეგრაციისა და თავისუფალი ფულადი საშუალებების ეფექტიანი განთავსებისათვის. ჭ ფსმპ მოიცავს ცნობებს გეგმვადი შემავალი და გამავალი ფულადი ნაკადების შესახებ. ის დგება წმინდა ფულადი ნაკადის დაგეგმვის და კონტროლის, თავისუფალი ფულადი საშუალებების აკუმულირების ადგილის განსაზღვრის, სალაროს შესაძლო წყვეტილობების თავიდან აცილების მიზნით, სასესხო საშუალებებზე მოთხოვნილების გაანგარიშებისათვის.

საბიუჯეტო ბალანსი დგება საწარმოს აქტივების და პასივების მდგომარეობის დაგეგმვის, დროის ამა თუ იმ მომენტისათვის კომპანიის საკვანძო მაჩვენებლების შეფასების (როგორებიცაა ფინანსური მდგრალობა, კაპიტალის რენტაბელობა, აქტივების ბრუნვალობა და სხვ.) მიზნით. საინვესტიციო პროექტის საბიუჯეტო

ბალანსი საშუალებას იძლევა, რომ შეფასდეს პროექტში დაბანდებული საშუალებების რენტაბელობა, პროექტის თვითგამოსყიდვა და მისი ფინანსური დამოუკიდებლობა კომპანიის ძირითად ბიზნესზე, აქტივების და საინვესტიციო ციკლში გამოყენებადი მასალების ბრუნვადობა და ბევრი სხვა.

შემოსავლების და გასავლების ბიუჯეტი (შსბ) დგება ფინანსური შედეგის დაგეგმვის, მოგების მაჩვენებლების კონტროლის, პროდუქციის თვითღირებულების მართვისა და საანგარიშო პერიოდში არაეფექტიანი ხარჯების თავიდან აცილებისათვის. შემოსავლების და გასავლების ბიუჯეტი აჩვენებს საგეგმო პერიოდში რეალიზაციიდან ყველა შემოსავლების თანაფარდობას ყველა სახეობის ხარჯებთან, რომელთაც გეგმავს კომპანია ამავე პერიოდში. შგბ ყალბდება საწარმოს საქმიანობის ყველა სახეობის დაგეგმვისას მათი საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისათვის, წარმოადგენს საფუძველს მმართველობითი გადანყვეტილებებისათვის მოკლესაშუალოვადიან პერსპექტივაზე და აგრეთვე წარმოადგენს ბაზას სტრატეგიული გადანყვეტილებების შემუშავებისათვის. შგბ-ს მთავარი მიზანია — კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის მთლიანად ჩვენება.

საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებლები აისახებიან შგბB-ში ხარჯების ნაწილში, როგორც კომპანიის ავანსირებული კაპიტალის (საკუთარი კაპიტალის), გაუნაწილებელი მოგების (დამატებითი კაპიტალის) ან მოზიდული საშუალებების ხარჯზე ფინანსირებადი სიდიდე.


ინვესტიციების გეგმა-გრაფიკი — ესაა საინვესტიციო პროექტის ბიუჯეტის საფუძველი. ის საინვესტიციო ხარჯების და კომპანიის საწარმოო (საინვესტიციო) ციკლის შეპირისპირების, მონეობილობის, მასალების, შესყიდვის, მშენებლობის, შრომის ანაზღაურების საშუალებების დახარჯვის გრაფიკის კორექტირების საშუალებას იძლევა. მისი მიზანია - იმის კონტროლი, რომ საინვესტიციო პროექტის წინსვლითი განვითარებისთვის საჭირო რესურსები ზუსტად სათანადო ვადაში შემოდიოდნენ: არა ამ ვადაზე ადრე (რაც ინვეს აქტივების არარაციონალურ გამოყენებას, კომპანიის აქტივების ბრუნვადობის და რენტაბელობის ერთობლი-

ვი მაჩვენებლების შემცირებას), და არა ამ ვადაზე გვიან (რაც ინვესტორს შეფერხებებს, პროექტის დასრულების ვადების ჩაშლას და კვლავ — დაბანდებული საშუალებების რენტაბელობის შემცირებას).

სათანადოდ და ზუსტად შედგენილი ინვესტიციების გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს როგორც ფსმბ-ს, ისე შგბ-ს და საინვესტიციო პროექტის ბალანსის საფუძველს.

როგორ ავაგოთ საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის და ბიუჯეტირების სისტემა ოპერატიული და სტრატეგიული გადანყვებილების მიღებისათვის? უპირველეს ყოვლისა საჭიროა შემდეგი მდგენლები (იხ. ნახ. 1):


- 1) კომპანიის ძირითადი პროცესების (საწარმოო, ტექნოლოგიური, ინფორმაციული, ფინანსური) სქემები;
- 2) საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგიური ბაზა (შიდა რეგლამენტები, დებულებები, მეთოდური რეკომენდაციები, სააღრიცხვო პოლიტიკა და ა.შ.);
- 3) საინვესტიციო პროგრამა (კომპანიის ყველა საინვესტიციო პროექტის ერთობლიობა);
- 4) ბიუჯეტების სისტემა;
- 5) მმართველობითი აღრიცხვის ფორმები (სააღრიცხვო დოკუმენტების დამტკიცებული და ერთიანი ფორმები საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვის, კონტროლის და ანალიზისათვის);
- 6) კვალიფიცირებული პერსონალი;
- 7) თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები.



ნახ. 1. საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის და ბიუჯეტირების სისტემის მდგენლები.

შემდეგ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ფარგლებში მიღებული ინფორმაციული ნაკადები უნდა დავშალოთ 5 ურთიერთი დაკავშირებულ პროცესად (ნახ. 2):

1) დაგეგმვა; 2) დაფინანსება; 3) ანალიზი; 4) კონტროლი; 5) ანალიზი



**ნახ. 2. მმართველობითი აღრიცხვის პროცესები**

საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვის პროცესი, როგორც წესი, ხორციელდება კომპანიის თანამშრომლებისაგან ამ მიზნისათვის სპეციალურად ფორმირებადი საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ. საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება, როგორც წესი, 3 წლის პერიოდით და განუყოფლად დაკავშირებული ბიუჯეტების პროექტების (ინვესტიციების გეგმა-გრაფიკის, შგბ, ფსმბ და საბიუჯეტო ბალანსის) შედგენასთან. ეს რთული და მრავალი ეტაპისგან შემდგარი პროცესია:

1 ეტაპი — ინვესტიციების გეგმა-გრაფიკის შედგენა ცალკეული საინვესტიციო პროექტის მიხედვით, რომლებიც შემდგომში შევლენ კომპანიის საინვესტიციო პროგრამაში.

2 ეტაპი — საპროგნოზო საბიუჯეტო ბალანსის ფორმირება, რომელიც მოიცავს ინვესტიციების ობიექტების საბუღალტრო აღრიცხვაში ასახვის გეგმას (ობიექტების ექსპლუატაციაში დაგეგმვადი შეყვანა და ა.შ.).

3 ეტაპი — კომპანიის საინვესტიციო პროგრამის ფორმირება. მოცემულ ეტაპზე ხდება დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალის შედგენა ადრე დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების მსვლელობის შესახებ ანგარიშების და

ქვეგანაყოფების მიერ 3 წლამდე პერსპექტივით შემოთავაზებული ახალი საინვესტიციო პროექტების საფუძველზე.

4 ეტაპი — **შგბ**-თვის კომპანიის საინვესტიციო ბიუჯეტის პროექტის ფორმირება 3 წლით (როგორც კომპანიის განვითარების სტრატეგიული პროგრამის მდგენელის) იმ ქვეგანაყოფების **შგბ**-თვის საინვესტიციო ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე, რომლებიც, თავის მხრივ, ყალიბდებიან საინვესტიციო პროგრამაში შემავალი საინვესტიციო პროექტების ღირებულების შეფასების საფუძველზე (1 ეტაპი).

5 ეტაპი — კომპანიის 3 წლით განვითარების სტრატეგიული პროგრამის ფორმირება. სტრატეგიული პროგრამის დამტკიცების შემდეგ ხდება კომპანიის 3 წლით კონსოლიდირებული საინვესტიციო ბიუჯეტის და ქვეგანაყოფების საინვესტიციო ბიუჯეტების კორექტირება სტრატეგიული პროგრამის მონაცემების შესაბამისად, და აგრეთვე შეიტანება ცვლილებები კომპანიის საინვესტიციო პროგრამაში.

6 ეტაპი — **შგბ**-თვის კომპანიის 1 წლით კრებსითი საინვესტიციო ბიუჯეტის ფორმირება ქვეგანაყოფების საინვესტიციო ბიუჯეტების საფუძველზე და კორექტირებული საინვესტიციო პროგრამიდან, **შგბ**-თვის 3 წლით საინვესტიციო ბიუჯეტიდან და სტრატეგიული პროგრამიდან გამომდინარე.

7 ეტაპი - **ფსმბ**-თვის კომპანიის 1 წლით კრებსითი საინვესტიციო ბიუჯეტის ფორმირება და კომპანიის ქვეგანაყოფების მიხედვით **ფსმბ**-თვის 1 წლით საინვესტიციო ბიუჯეტების შემდგომი შედგენა.

8 ეტაპი — **შგბ**-თვის და **ფსმბ**-თვის კომპანიის კვარტალური გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების ფორმირება ქვეგანაყოფების მიხედვით **შგბ**-თვის და **ფსმბ**-თვის კვარტალური გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე.

9 ეტაპი - **შგბ**-თვის და **ფსმბ**-თვის კომპანიის ყოველთვიური გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების ფორმირება ქვეგანაყოფების მიხედვით **შგბ**-თვის და **ფსმბ**-თვის ყოველთვიური გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე.

10 ეტაპი - **შგბ**-თვის და **ფსმბ**-თვის კომპანიის ყოველთვიური

გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების კორექტირება შგბ-თვის და ფსმბ-თვის დამტკიცებული ყოველთვიური გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტების საფუძველზე და შესაბამისი ქვეგანყოფილების ინფორმირება 1 თვით შგბ-თვის და ფსმბ-თვის საინვესტიციო ბიუჯეტების პროექტებში დამტკიცებული ცვლილებების შესახებ.

**საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების პროცესი** ხორციელდება მიმდინარე თვისთვის კომპანიის ფსმბ-ს დამტკიცებული საინვესტიციო ბიუჯეტების საფუძველზე. საინვესტიციო საქმიანობის კონტროლის და ფინანსური ნაკადების ოპტიმიზაციის მიზნით ყველა გადახდა ხორციელდება ფულადი საშუალებების მოძრაობის ბიუჯეტთან მკაცრ შესაბამისობაში. როგორც წესი, საინვესტიციო ხარჯების დაფინანსების პროცესი გულისხმობს შემდეგს. ყვადახდის ქვეგანყოფ-ინიციატორს შეაქვს ყოველდღიური განაცხადი საინვესტიციო საქმიანობის გადახდების შესახებ, ქვეგანყოფი-კონტროლიორი აქცეპტირებას უკეთებს დასაბუთებულ განაცხადებს და კრძალავს დაუსაბუთებელ გადახდებს. შემდეგ კომპანიის საგადასახადო ცენტრი ახორციელებს გადახდას და უდასტურებს განაცხადის გადახდას ქვეგანყოფ-ინიციატორს EB (მიმდინარე საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად) და ქვეგანყოფ-კონტროლიორს (საინვესტიციო ანგარიშგების ფორმირებისათვის).

**საინვესტიციო საქმიანობის აღრიცხვის პროცესი** — ესაა ოპერატიულ რეჟიმში განხორციელებადი პროცესი. ის შესდგება ოთხი ძირითადი ბლოკისგან:

1) მონაცემთა ბაზის ფორმირება დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამის შესრულების შესახებ.

საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ ბაზა ფორმირდება მიმდინარე რეჟიმში და მათში თანდათანობით აკუმულირდება ინფორმაცია საინვესტიციო პროექტების ერთ თვეში, კვარტალში, წელში და ასე შემდეგ შესრულების შესახებ თითოეული ცალკეული საინვესტიციო პროექტის დასრულებამდე. მონაცემთა ბაზა იქმნება ქვეგანყოფ-ინიციატორების ყოველდღიური გადახდების რეესტრების საფუძველზე, რომლებიც იგზავნიან კომპანიის საფინანსო სამსახურში, და პასუხისმგებელი სამსახურ-

რებიდან შემავალი საინვესტიციო პროექტების შესრულების სახელშეკრულებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2) ანგარიშების შედგენა ინვესტირების ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლისა და ბალანსზე აყვანის შესახებ;

მსგავსი ანგარიშები დგება ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე სააღრიცხვო ინფორმაციის დეტალიზაციის საჭირო ხარისხიდან გამომდინარე.

3) ანგარიშების შედგენა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სამეურნეო წესით შესრულების შესახებ.

მოცემული ანგარიშები დგებიან პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების აქტების ხელმოწერის კვალობაზე, როგორც წესი, ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად;

4) ყოველკვირეული კრებსითი და ყოველთვიური ანგარიშის ფორმირება დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ.

ყოველკვირეული კრებსითი და დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ ანგარიშები ფორმირდებიან დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამის შესრულების შესახებ მონაცემთა ბაზის ინფორმაციის საფუძველზე (ბლოკი 1); ინვესტირების ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლისა და ბალანსზე აყვანის შესახებ ანგარიშების საფუძველზე (ბლოკი 2); სამეურნეო წესით შესრულებული სამუშაოების ურთიერთთავლითი ინვესტიციების შესახებ ანგარიშების საფუძველზე (ბლოკი 3).

**საინვესტიციო საქმიანობის კონტროლის პროცესი** გულისხმობს ანგარიშგების შესაბამისი ფორმების არსებობას, რომლებიც განკუთვნილია საკონტროლო ანგარიშგების მომხმარებელთა შემდეგი ჯგუფებისათვის: კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის; აქციონერებისათვის, ინვესტორებისთვის, ანგარიშგების სხვა გარე მომხმარებლებისათვის; კომპანიის ფინანსურ-ეკონომიკური ქვეგანაყოფების მუშაკებისათვის; პასუხისმგებლობის ცენტრების ხელმძღვანელებისათვის.

საინვესტიციო საქმიანობის კონტროლის ფორმატი და ფორ-



მების რაოდენობა შეიძლება ტრანსფორმირდნენ და ვარირებდნენ კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიხედვით.

**საინვესტიციო საქმიანობის კონტროლის პროცესი** გულის-ხმობს საინვესტიციო საქმიანობაზე საშუალებების ხარჯვის შესა-ხებ შემდეგი ანგარიშების შედგენას:

1) შგბ-თვის კვარტალური საანგარიშო საინვესტიციო ბიუ-ჯეტის შედგენას ქვეგანაყოფების მიხედვით შგბ-თვის ქვეგანაყო-ფის ერთი კვარტლისათვის გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტის და ქვეგანაყოფების დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შეს-რულების მონაცემთა ბაზის საფუძველზე;

2) შგბ-თვის კვარტალური საანგარიშო საინვესტიციო ბიუჯე-ტის შედგენას კომპანიის მიხედვით შგბ-თვის კომპანიის ერთი კვარტლისათვის გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტის და დამტკი-ცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების მონაცემთა ბა-ზის საფუძველზე;

3) შგბ-თვის წლიური საანგარიშო საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენას ქვეგანაყოფების მიხედვით შგბ-თვის ქვეგანაყოფის ერ-თი კვარტლისათვის გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტის და ქვეგა-ნაყოფების დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრუ-ლების მონაცემთა ბაზის საფუძველზე;

4) შგბ-თვის წლიური საანგარიშო საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენას კომპანიის მიხედვით შგბ-თვის კომპანიის ერთი კვარტ-ლისათვის გეგმური საინვესტიციო ბიუჯეტის და დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების მონაცემთა ბაზის სა-ფუძველზე.

**საინვესტიციო საქმიანობის ანალიზის პროცესი** ემსახურება კონტროლის და ანალიტიკურ მიზნებს. ანალიზის შედეგების მიხედვით მიიღებთან გადაწყვეტილებები მაკორექტირებელი ქმედებების შესა-ხებ. ანალიტიკური ფორმების ფორმირება რეგულარულად ხდება:

1) ქვეგანაყოფების შგბ-თვის კვარტალური საინვესტიციო ბი-უჯეტის შესრულების ფაქტიური მაჩვენებლების გეგმიდან გადახ-რის მიზეზების ანალიზის ჩატარება ქვეგანაყოფების დამტკიცებუ-ლი საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ მონაცემთა ბაზის საფუძველზე;

2) კომპანიის შებენის კვარტალური საინვესტიციო ბიუჯეტის შესრულების ფაქტიური მაჩვენებლების გეგმიდან გადახრის მიზეზების ანალიზის ჩატარება დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ამრიგად, პრაქტიკაში როგორც კომპანიის მმართველობითი აღრიცხვის მთლიანი სისტემა, ისე მისი ცალკე ბლოკი - **საინვესტიციო საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვის სისტემა** — გულისხმობენ სააღრიცხვო ფორმების ფორმირებას კომპანიის საქმიანობის დაგეგმვის, დაფინანსების, აღრიცხვის, კონტროლის და ანალიზის პროცესში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თანამედროვე პირობებში მმართველობითი აღრიცხვა — ესაა კომპანიის ერთ-ერთი სტრატეგიული რესურსი. ის წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, რადგანაც წარმოადგენს სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციულ და ანალიტიკურ ბაზას და უზრუნველყოფს კომპანიის ფუნქციონირებას კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში. მმართველობითი აღრიცხვა უნდა განიხილებოდეს ურთიერთკავშირში არა მხოლოდ სტრატეგიულ მართვასთან, არამედ ბიუჯეტირებასთანაც როგორც კომპანიის საქმიანობის ფინანსურ დაგეგმვასთან.

## ლიტერატურა

1. ბაუჩაძე. მმართველობითი აღრიცხვა. ქ.თბილისი, 2012წ.
2. Брейли Р., Майерс С. Принципы корпоративных финансов. М.: Олимп бизнес, 1997.
3. Волкова О.Н. Управленческий учет: учеб. — М.: ТК Велби, Изд-во Проспект, 2005. (стр. 13-28).
4. Дайле А. Практика контролинга. М.: Финансы и статистика, 2001.
5. Забелин П.В. Основы корпоративного управления концернами. М.: Изд-во «Приор», 1998.

**რისკების მართვის სისტემა  
კომერციულ ბანკებში**

**ირმა კვეტენაძე**  
სტუ დოქტორანტი

საბანკო რისკები ეკუთვნიან ეკონომიკური რისკების სისტემას, ამიტომ თავისი ბუნებით წარმოადგენენ რთულ რისკებს. სისტემაში ყოფნა გულისხმობს, რომ ისინი განიცდიან სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას, თუმცა ამავე დროს წარმოადგენენ სპეციფიკურ, დამოუკიდებელ რისკებს.

საბანკო რისკის ცნება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად.

საბანკო რისკის განსაზღვრის საკითხი საკამათოა. ავტორთა ერთი ჯგუფი არაა თანახმა საბანკო რისკი განისაზღვროს როგორც ბანკის შესაძლო დანაკარგები და მას განიხილავს როგორც ინფორმაციული განუსაზღვრელობის პირობებში მიღებულ გადაწყვეტილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო რისკის საფუძველია იმ ინფორმაციის განუსაზღვრელობა, რომელსაც ბანკი იყენებს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს. რისკის მიზეზები სხვადასხვაგვარია: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო ვალის ზრდა, ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის ხარჯების ზრდა და სხვა.

არსებობს საბანკო რისკების კლასიფიკაციის სხვადასხვა მიდგომები. ერთ—ერთი მათგანის მიხედვით საბანკო რისკების ეკონომიკური კლასიფიკაციის ელემენტებია: კომერციული ბანკის ტიპი და სახე, საბანკო რისკის წარმოშობისა და გავლენის სფერო, ბანკის კლიენტების შემადგენლობა, რისკის გაანგარიშების მეთოდი, საბანკო რისკის ხარისხი, რისკის დროში განაწილება, რისკის გათვალისწინების ხასიათი, საბანკო რისკის რეგულირების შესაძლებლობა, საბანკო რისკის რეგულირების მეთოდები. მეორე მიდგომა საბანკო დაწესებულებების რისკებს ყოფს ორ ნაწილად: ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებად. თავის მხრივ პოლიტიკური და ეკ-

ონომიკური რისკები შეიძლება დაიყოს გარე და შიდა რისკებად. გარე რისკებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ბანკის საქმიანობასთან. მათზე მოქმედებს ფაქტორების ძალიან დიდი რაოდენობა — პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა. შიდა რისკებს მიეკუთვნება ისეთი რისკები, რომლებიც განპირობებულია ბანკების, მისი კლიენტებისა და მისი კონკრეტული კონტრაგენტების საქმიანობით.

საბანკო რისკების ტრადიციულ სტრუქტურაში გარე და შიდა რისკები იყოფა ორ გჯუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება — ლიკვიდობის, ხოლო მეორეს წარმატების რისკები. ლიკვიდობის რისკებს მიეკუთვნება: პროლონგაციის რისკი, როდესაც ანაბრებს გამოითხოვენ ვადადღე, ვადის რისკი, როცა კრედიტი არ ბრუნდება ვადაში (საკრედიტო რისკი), ახალი დაუგეგმავი კრედიტების რისკი, რისკები საქმიანობის ახალ სახეებზე: ფაქტორინგული, ლიზინგური, საბაზრო და სხვა. წარმატების რისკებს წარმოადგენენ: დარგობრივი რისკი, ქვეყნის რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი, სხვადასხვა რისკი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბანკო რისკების აღნიშნული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ცალკეული რისკისნამდვილი ადგილი საერთო საბანკო რისკების შემადგენლობაში. საბანკო რისკების კალსიფიკაციის აუცილებლობა მდგომარეობს ამა თუ იმ რისკის ანალიზის მეთოდის არჩევაში, მისი დონის შეფასებაში და მთლიანად ბანკის საქმიანობაზე გავლენის ხარისხში.

ახალმა ეკონომიკურმა სისტემამ ბანკებისგან მოითხოვა უფრო ოპერატიული და ამავე დროს უფრო რაციონალური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაბამებოდა განვითარების ახალ კონკურენტუნარიან სტრატეგიას. ეს, თავის მხრივ, აიძულებს ბანკებს ცვალონ არა მარტო ბიზნესის ფილოსოფია, უმეტესობისათვის ნაჩვევი საკრედიტო ორგანიზაციების „მკაცრად ცენტრალიზებული“ სამართავი მოდელი. წარმოიქმნება უფლებების დელეგირების აუცილებლობა, და არა მარტო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, არამედ ქვეგანყოფილების საქმიანობის მექანიზმების

შეთანხმებაში, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

ამგვარად, წარმატებულად მოქმედი ბანკები უფრო ხშირად აგებენ თავიანთ საქმიანობას ახალი ეკონომიკური ლოგიკის საფუძველზე, რომელიც ადგენს გარკვეულ ურთიერთკავშირს მოზიდული კაპიტალის მწარმოებლურობას, ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობას შორის. ინოვაციური პროცესი ხდება ყველა ხარისხობრივი, რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ცენტრი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მიდის დისკუსიები ინოვაციური საბანკო მენეჯმენტის პრობლემებზე. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსებმა, ინოვაციური პროცესების ძირითად მამოძრავებლად განიხილეს ეკონომიკური სუბიექტების რაციონალურობა, რომელიც ითვალისწინებს მათ მუდმივ მისწრაფებას სარგებლის ამოღებაზე. სწორედ ამ რაციონალურობითაა უზრუნველყოფილი ეკონომიკური სისტემის ევოლუციური განვითარება.

ეკონომიკური კონტრაგენტების ამბიციას მუდმივად ასტიმულირებს ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების გამოჩენა, რომლებიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას და მოაქვს დამატებითი შემოსავალი.

დღევანდელი დღისათვის რისკ—მენეჯმენტის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის, როგორც წესი განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი ორი ასპექტი: მართვის პროცესი, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით და საბანკო საქმიანობის სფეროში გარემოების შეცვლის შესაბამისად მუდმივი ცვლილებების პროცესი.

ამასთან სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად იხრებიან იმისკენ, რომ ახალ საინვესტიციო პოლიტიკაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მისი შესაბამისობა ბანკში არსებულ ყველა სტანდარტთან. სხვა სიტყვებით, ყოველი ფუნქციონალური პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს კარგად გამართულ საოპერაციო მექანიზმს და იყოს ეფექტიანად კონტროლირებადი.

თავის მხრივ კონფლიქტების გადაჭრა ხდება ცალკეულ ქვეგანყოფილებებზე ადმინისტრაციული დანაწილის გაძლიერების სახით,

რასაც შეუძლია მცირე ხნით გაზარდოს ბანკის შემოსავლიანობა. ქვეგანყოფილებები, რომლებიც მიმართავენ ასეთ ქმედებას, თავის დროებით უყურადღებობას ორმხრივ სასარგებლო კრიტერიუმის შეფასებისას ამართლებენ ფინანსური მართვის ეფექტიანობის საკითხებზე ყურადღების გათვალისწინებით. თუმცა საოპერაციო ეფექტიანობის შენარჩუნების ამგვარ ცდას, როგორც წესი, ბანკის საერთო ლიკვიდობის დაწევამდე მივყავართ.

კლასიკურ საინვესტიციო ლოგიკაზე მიდევნებით საკრედიტო ორგანიზაციების აქტივებში საფინანსო ინსტრუმენტების ამათუ იმ წილის ზრდის ყველა შემთხვევაში საბანკო რისკები შესამჩნევად იზრდება. ასეთ სიტუაციაში ადვილად ასახსნელია ის ფაქტი, რომ ძირითადი საბანკო რისკების ზრდა დაკავშირებულია ბანკების შეზღუდულობაზე. სხვა სიტყვებით, საფონდო ბაზარზე საბანკო ოპერაციების გადამეტებული აქტიურობით გამოწვეული მაღალი საბანკო რისკები და, თავის მხრივ, საბანკო რისკები ცალკეულ ქვეგანყოფილებებში არადაამაკმაყოფილებელ საფინანსო შედეგებს იძლევა, რითაც მათ აიძულებს საკასო განსხვავების დაფარვის მიზნით გადაუხვიონ არსებული რეგლამენტიდან.

ამასთან დაკავშირებით რისკების მართვის სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გარკვეული ზომების გატარება. რისკების მართვის აღნიშნული სისტემა უნდა შეიცავდეს რისკების მონიტორინგის ეფექტიან საინფორმაციო სისტემებს, ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას, რომლითაც აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციები დაყვანილი უნდა იქნას შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებამდე და საკრედიტო ორგანიზაციების მმართველ ორგანოებამდე. რისკების მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო მიღებულ რისკებზე ეფექტიანი დაცვა, არამედ აქტიური გავლენა უნდა მოახდინოს საქმიანობის კონკრეტული მიმართულების განსაზღვრაზე, რომლებსაც ახორციელებს საკრედიტო ორგანიზაციები. რისკების მართვა უნდა ხორციელდებოდეს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კონსოლიდურ საფუძველზე. რისკების მართვის ხარისხის გაზრდის მიზნით ბანკებმა უნდა:

1. აქტიურად გამოიყენონ საბანკო ზედამხედველობაზე ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციები, აგრეთვე საერთაშორისო სა-

ბანკო პრაქტიკაში გამოყენებული რისკების მართვის მონინავე მეთოდები, რომლებიც შეიცავს — ბანკისათვის არასასურველი მოვლენის დადგომის შემთხვევაში ეკონომიკურ—სტატისტიკური შეფასების გამოყენებას.

2. უზრუნველყოს რისკების მუდმივი მონიტორინგი, ეცადოს მი-აღნიოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, გამორიცხოს არაკონტროლირებადი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო და სამეურნეო ოპერაციების ჩატარებასთან. კერძოდ, მართვისა და კონტროლის ახალი ტექ-ნოლოგიების სწრაფ გამოჩენასაც არ შეუძლია გაათანაბროს სა-ფინანსო და არასაფინანსო რისკების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც თან ახლავს საფინანსო ინოვაციების გამოჩენას.

აშკარაა, რომ თანამედროვე კონკურენციის რეალობაში აუც-ილებელია გამომუშავებული იქნას ახალი, უფრო სრულყოფილი მექანიზმები, რომელებიც უზრუნველყოფს საკრედიტო ორგანი-ზაციის კონკურენტუნარიანობასა და მისი სტრატეგიული პოზი-ციის ინოვაციურ მიმართულებას შორის ურთიერთკავშირს.

განსაკუთრებულ სირთულესთანაა დაკავშირებული იმის წარ-მოდგენა, თუ როგორი უნდა უნდა იყოს საკრედიტო ორგანიზაციის შინაგანი პოლიტიკა ნებისმიერი საფინანსო ინოვაციის გამოჩენი-სას, როგორ უნდა მივუდგეთ ბანკის ქვეგანყოფილებებს ახალ ბიზ-ნესთან მიმართებაში, როგორ და რამდენად მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული ახალი საოპერაციო საქმიანობა ან როგორ უნდა განხორციელდეს მართვა და კონტროლი. ამიტომ ინოვაცი-ური მენეჯმენტის დანერგვა სპეციალისტების მიერ ფასდება, რო-გორც აუცილებლობა საერთაშორისო კონკურენციის პირობებში.

დღევანდელი მომენტისათვის საკმარისად აქტუალურია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა შიდა საბანკო რისკ—კონ-ტროლის სამსახურის ახალი მეთოდების დამუშავება, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ბანკის საოპერაციო საქმიანობაში ახლი კომპონენტების დანერგვის პროცესები.

მსოფლიო გამოცდილებაზე ორიენტირებით, განვითარების ძი-რითად მიმართულებებს შორის შეიძლება გამოიყოს საკრედიტო რისკების შემცირების აუცილებლობა, რომელიც წარმოიშობა სა-

ბანკო პრაქტიკაში ახალი საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენებით, ინოვაციურ დაკრედიტების პროცესის ორგანიზაციაზე ვადებისა და დანახარჯების შემცირებით.

ამგვარად, წარმოების ინოვაციურ ფინანსირებასტნ დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გადაიჭრას სრულფასოვანი „ინოვაციური“ საკრედიტო მექანიზმის ფორმირებით და განვითარებით. ამ გზაზე პირველ ნაბიჯად უნდა გახდეს საინფორმაციო ტრანსფორმაცია არამატერიალური აქტივების სფეროში. აგრეთვე უნდა განვითარდეს ახალი საფინანსო ინსტიტუტი — „ინოვაციურად“ ორიენტირებული რისკ—მენეჯმენტი — ინფორმაციის გენერირების შესაძლებლობით, რაც აუცილებელია ინოვაციურ პორტფელზე ინოვაციური გადაწყვეტილებების მისაღებად.





**რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების  
ხარისხის უზრუნველყოფის  
მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის**

**იულია ონიანი**

ედ, ანსუ ასოც. პროფესორი

**ნატო ჩიკვილაძე**

ედ, სტუ პროფესორი

კატეგორია „ცხოვრების ხარისხი“ მოიცავს ადამიანის ცხოვრების უმეტესი მხარის დახასიათებას და მისი შესწავლა მოითხოვს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების ფაქტორების ფართო წრის სტატისტიკურ აღრიცხვას და სუბიექტურ შეფასებებს. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით, გაიზარდა მოსახლეობის ის ნაწილი რომელთა ფულადი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია, თითქმის მოიშალა მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმი. ყველაფერი ეს აღნიშნული პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამღლება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს, რადგან ცხოვრების ხარისხის დაბალი დონე იწვევს მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის და ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესებას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებას, სიკვდილიანობის ამაღლებას და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის დაქვეითებას.

ეკონომიკის დაჩქარებული მოდერნიზაციის, ინვესტიციური და ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის საფუძველზე, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების ამოცანის წარმატებით

გადანწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულია სახელმწიფო მართველობის ორგანოების მიერ სწორი რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა შემუშავდეს, რეგიონული პოლიტიკის შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგია, რომელიც ადაპტირებული იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინსტიტუციურ თავისებურებებთან და მსოფლიო ტენდენციებთან. რეგიონის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე., საჭიროა განსხვავებული მიდგომა რეგიონის ეკონომიკის განვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისადმი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მზარდ საწარმოო პოტენციალს და ეკონომიკის ზრდის ტემპებს ყოველთვის თან არ ახლავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება. აქედან გამომდინარე განსაზღვრას მოითხოვს მათი ურთიერთგანპირობებულობის შეფასება რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

ყოველი ტერიტორია, მისი რეგიონული განსხვავების გამო (დემოგრაფიული და ეკონომიკური პოტენციალი, ურბანიზაციის ხარისხი, ეკონომიკური განვითარების დონე) ხასიათდება ცხოვრების თავისებური ხარისხით და დონით. ამასთან კავშირში მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შემფასებელი ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების აგება, რომლებიც ასახავენ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საბოლოო შედეგებს და მოსახლეობის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტებს.

სტატისტიკური ანალიზის მთავარ ეტაპს წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დამახასიათებელ ამოსავალ მაჩვენებელთა სისტემის აგება., რომელიც დაფუძნებული იქნება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებაზე.

რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზის დროს, კერძო მაჩვენებელთა ნაკრების გვერდით, უნდა გამოვიყენოთ განზოგადებული (ინტეგრალური) მაჩვენებლები, რომლებიც რეგიონის სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და მისი ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მოგვცემს. ერთ-ერთ ასეთ მაჩვენებელს წარმოადგენს **ადამიანური პოტენციალის**

**განვითარების ინდექსი.** მოცემული ინდექსი შესაძლებელია კორექტულად გამოვიყენოთ რეგიონებს შორის ცხოვრების ხარისხის შედარებისათვის.

რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულებები შეიძლება გამოვლინდეს იმ ფაქტორთა როლისა და მნიშვნელობის ანალიზის საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. ამ მიზნით გამოიოფა სამი საბაზო კომპონენტი–სინთეზური კატეგორია: „**კეთილდღეობის დონე**”, „**მოსახლეობის ხარისხი**” და „**სოციალური სფეროს ხარისხი**”.

**კომპონენტი „კეთილდღეობის დონე”** მოიცავს ცხოვრების დონის ძირითად მაჩვენებლებს (მრეწველობის ზრდა, ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდა, ინფლაციის დონე, რეალური შემოსავლები, მათი დიფერენციაცია, დოვლათისა და მომსახურების მოხმარების დონე, დაძაბულობა შრომის ბაზარზე, და ა.შ.) და ასახავს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაოფილების ხარისხს. ეს კომპონენტი აერთიანებს სამ კერძო განზოგადებულ ინდიკატორს: **ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის შემოსავლები და შრომის ბაზრის მდგომარეობა.** ამ ინდიკატორების ფორმირება ხდება რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მდგომარეობის განმსაზღვრელი 19 ამოსავალი ნიშან–ინდიკატორიდან შერჩეული ნაკრების საფუძველზე.

მოსახლეობის ცხოვრების დონე ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის **ეკონომიკურ ზრდაზე**. ეკონომიკური ზრდის ძირითად ინდიკატორებს წარმოადგენს: მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა (მრპ) და დინამიკა, სამრეწველო წარმოების ინდექსი, წარმოების დარგობრივი სტრუქტურა და ინვესტიციური მიმზიდველობის დონე. მრპ–ის ზრდას თან ახლავს დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა, ცხოვრების დონის გადიდება, საქონლისა და მომსახურების მოხმარების გადიდება. ასე მაგალითად, 2003 წლიდან იმერეთის მხარის მრპ სიდიდე ყოველ წელს იზრდება. 2006-2011 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია (1,4 მლრდ. ლარიდან 2,1 მლრდ ლარამდე, ზრდა 50%). იგი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის

10-11%-ს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალსახეობის მონაცემების მოცულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალსახეობის მონაცემების მოცულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალსახეობის მონაცემების მოცულობა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც რეგიონის ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. კერძოდ, თუ 2006 წელს ეს მაჩვენებელი 1966 ლარს შეადგენდა, 2011 წლისათვის 3026 ლარს მიაღწია. მრავალსახეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზნეს სექტორში იქმნება. ამ სექტორშიც 2006-2011 წლებში შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 2011 წელს ბიზნეს სექტორი უკვე 787,3 მლნ ლარის პროდუქციას უშვებდა. 2006 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 418,1 მლნ ლარი იყო რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მთლიანობაში ძირითადად გავლენას ახდენს მრეწველობის დარგში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით სამრეწველო წარმოების ინდექსმა 2009 წელის იანვარში 2007 წელის იანვართან შედარებით შეადგინა 110,1%. ხოლო 2011 წელს 2010 წლთან შედარებით ამ მაჩვენებელმა 16,7%-ით მოიმატა. რეგიონის ინვესტიციური მიმზვიდელობის დონე, რომელიც იზომება ინვესტიციების მოცულობით ძირითად კაპიტალში, უზრუნველყოფს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, საკადრო სტრუქტურის ცვლილებას და ზოგადად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. დანეკბული 2007 წლიდან რეგიონში შეიმჩნევა ინვესტიციების სტაბილური ზრდა ძირითად კაპიტალში. 2009 წელს რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის მიმართული იყო 26176,3 ათასი ლარი, ხოლო 2010 წლის მანძილზე 44186,1 ათასი ლარი. ე. ი. ერთი წლის მანძილზე ინვესტიცია გაიზარდა 68,8%-ით.

რეგიონის განვითარების კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მისი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, არამედ გატარებული სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებაც, რომლის მიზანს წარმოადგენს რეგიონის სოციალური პოტენციალის ფორმირება და განვითარება. სოციალური პოლიტიკის შმფასებელი ძირითადი მაჩვენებლების რიცხვში შედის მონაცემები მოსახლეობის შემოსავლების შესახებ.

შემოსავლები, ე. ი. რესურსები, როგორც ფულად ისე ნატურალურ გამოსახულებაში, წარმოადგენს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის საფუძველს. რეგიონში ორგანიზაციების

მიერ ერთ შინამეურნეობაზე დარიცხულმა საშუალო თვიურმა შემოსავალმა 2009 წელს შეადგინა 575,4 ლარი და 2011 წელს 711,1 ლარი, ე.ი. ზრდა 23,6% შეადგენს. დამატებითი საშუალებების თანხამ, რომელიც გამოიყენება მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის ჯგუფების დახმარებისათვის 2009 წელს 1500,0 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს 1700,0 ათასი ლარი შეადგინა. რეგიონში 2009–2011 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2,6%–ით გაიზარდა. მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 63-65%-ს შეადგენს. ეს განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით. 2009-2011 წლებში უმუშევრობის დონე რეგიონში 13,2%-დან 9,3%-მდე შემცირდა.

კატეგორია „**მოსახლეობის ხარისხი**“ აერთიანებს ორ კერძო განზოგადებულ ინდიკატორს: დემოგრაფიული სიტუაცია და ჯანმრთელობის დაცვა. თავის მხრივ ეს მაჩვენებლები ფორმირდება 22 ამოსავალი ინდიკატორის საფუძველზე. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები: შობადობა, სიკვდილიანობა, ბუნებრივი მატება (კლება) დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების დონეზე, შესაბამის პერიოდში ცხოვრების ხარისხზე.

საქართველოში და შესაბამისად მის რეგიონებში კვლავ მწვავეა დემოგრაფიული პრობლემები. ნეგატიური დემოგრაფიული პროცესები იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას, რომლის დახასიათებისათვის გამოიყენება მოსახლეობის სამი კატეგორია: მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა და შრომისუნარიან ასაკზე უფროსი. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობას წარმოდგენილია ცხრილში 1. როგორც ცხრილიდან ჩანს 2009 წლის მონაცემების მიხედვით იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სურათი ასეთია: ახალგაზრდების წილი –27,8 %, შრომისუნარიან ასაკზე უფროსი ასაკი–17.7 %. აქედან გამომდინარე შრომისუნარიანი ასაკის პირთა რიცხოვნობამ მთელი მოსახლეობის 54,5 % შეადგინა. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია 2010-2011 წლებშიც. დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების შედეგად წარმოიშობა მოსახლეობის დაბერე-

ბა. გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით მოსახლეობა ჩაითვლება „დაბერებულად“ როდესაც 65 წელზე უფროსი ასაკის მცხოვრებთა რიცხვი საერთო რიცხოვნობის 7%-ზე მეტია. რეგიონში კი ამ ასაკის მცხოვრებთა წილი 17,7 %-ია, რაც მონიშნავს რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებას.

**ცხრილი 1.**

**ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი იმერეთის რეგიონის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში (%-ში).**

| ასაკობრივი ჯგუფები           | 2009 წელი | 2010 წელი | 2011 წელი |
|------------------------------|-----------|-----------|-----------|
| შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი | 27,8      | 30,3      | 30,2      |
| შრომისუნარიანი ასაკის        | 54,5      | 52,2      | 52,6      |
| შრომისუნარიან ასაკზე უფროსი  | 17,7      | 17,3      | 17,2      |

**წყარო:** იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მასალები.

რეგიონში 2011 წელს ყოველ 1000 მცხოვრებზე გარდაიცვალა 12,8 კაცი. ხოლო დაიბადა 12,5, მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ შეადგინა მხოლოდ 0,3 პროცენტული პუნქტი. 2009–2010 წლებში კი ადგილი აქვს მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, რაც მიუთითებს რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დადებით ცვლილებაზე.

მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის არასასურველი ცვლილება, სოციალური სფეროს და სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მდგომარეობის არაადაპტაციური განვითარება და მოსახლეობის უმეტესობისათვის მკურნალობის მაღალეფექტური საშუალებების მიუწვდომლობა ხელს უწყობს დაავადებისა და ინვალიდობის ზრდას. სახეზეა დაავადების ზრდის ტენდენცია, ამიტომ ხშირად პროგრესირებს სოციალურ მდგომარეობაზე დამოკიდებული და პროფესიულად განპირობებული

ჯამრთელობის ეფექტები, იზრდება მძიმე, ფესვგადგმული დაავადებების წილი.

ჯამრთელობის დაცვის დონე ხასიათდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, მოსახლეობის საშუალო ასაკით, შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობით, დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტით, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონით, მისი გამომწვევი მიზეზებით, რეგისტრირებული ავადმყოფთა რიცხვით.

სინთეზურ კატეგორიაში „**სოციალური სფეროს ხარისხი**“ თავმოყრილია მონაცემები სამი კერძო განზოგადებული ინდიკატორის შესახებ, ესენია: **განათლება, ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება**. სოციალური ინფრასტრუქტურის დახასიათებისათვის მახასიათებლები შეირჩევა 18 ამოსავალი ნიშან-ინდიკატორიდან.

მაშასადამე, ცხოვრების დონე მეტად რთული კატეგორიაა და მოიცავსპიროვნებისგანვითარებისადაარსებობისყველაპირობას, კერძოდ: საქონელი და მომსახურება, შემოსავლები, დანაზოგები, სულადობრივი მოხმარება, მოცემულ ტერიტორიაზე პიროვნების ცხოვრების უსაფრთხოება და სოციალური ატმოსფეროს სხვა ატრიბუტები, ეკოლოგიური მდგომარეობა და მოცემულ ადგილზე დასახლების შესაძლებლობა. ყველა ამ კომპონენტიდან თითოეულის ხარისხი ფასდება განზოგადებული მაჩვენებლით. ცხოვრების ხარისხის განზოგადებული მაჩვენებლების აგების აუცილებლობა მოითხოვს ცხოვრების ხარისხის შეფასებისათვის ამოსავალი ნიშნების დიდი რიცხვის არსებობას. ამ ნიშანთა განზოგადებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ მათი აგრეგირების სპეციალური მეთოდი.

რეგიონში ცხოვრების ხარისხის ყოველმხრივი დახასიათებისათვის უნდა შეირჩეს მაჩვენებელთა ერთობლიობა 60 კერძო ინდიკატორიდან, რადგან გენერალური ერთობლიობა აგრეთვე შეიცავს მოძველებულ, ცუდად ინტერპრერირებულ და არათვალსაჩინო ინფორმაციასაც. შერჩევისათვის საჭიროა წინასწარ შემუშავდეს ჰიპოთეზა რათა გაირკვეს საკითხი ფაქტორთა დამოუკიდებლობის შესახებ. ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ კორელაციური მატრიცის მსაზღვრელი ყოველთვის ერთის ტოლი

უნდა იყოს. სტატისტიკის მიხედვით  $H_0 : DetR = 1$

$$\chi^2 = \left[ n - 1 - \frac{1}{6}(2m + 5) \lg DetR \right]$$

თუ,  $\chi^2 = 248,62 > \chi^2(60; 0,05) = 79,08$ , მაშინ  $H_0$  ჰიპოთეზა უარყოფითია, რაც ისეთი ცვლადების არსებობაზე მიუთითებს, რომელთა შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

მულტიკოლენიარობის არსებობის და ამოსავალი ნიშნების საკმაოდ დიდი რიცხვის შემთხვევაში მიღებულია შეიქმნას კერძო განზოგადებული ინდიკატორების დამატებითი ნაკრები, როგორც ნიშანთა ამოსავალი ნაკრებიდან აგებული ნრფივი ფუნქცია. ნიშანთა ამოსავალ ნაკრებს შორის კავშირი კი უნდა იყოს არაკორელაციური.

აგრეგირება მიმდინარეობს მთავარი კომპონენტის გამოყენების მეთოდით, რაც საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას მულტიკოლენიარობა. გამოიყოფა პირველი მთავარი კომპონენტები, ანუ კერძო განზოგადებული ინდიკატორები, როგორც ამოსავალი ცვლადებისაგან აგებული ნრფივი ფუნქცია. კერძო ინდიკატორების განზოგადება უნდა მოხდეს მთელი საანალიზო პერიოდისათვის (ცხრ. 2).

ცხრილ 2–ში ყოველი სინთეზური კატეგორიის მიხედვით მოცემულია პირველი მთავარი კომპონენტის ანუ კერძო განზოგადებული ინდიკატორის შინაარსობრივი ინტერპრეტაცია. მოყვანილია ის ამოსავალი ნიშნები, რომლებიც უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ამ კომპონენტებთან, ნაჩვენებია ამ ნიშნების საერთო შეფარდებითი წვლილი პირველი მთავარი კომპონენტების დისპერსიაში ( $\lambda_1$ ).

მთლიანობაში რთულია 40 ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ამოსავალი მაჩვენებელი ინდიკატორის გამოყოფა, რომლებიც ამავე დროს ჯგუფებად უნდა დაიყოს და ნიშანთა ყოველი ჯგუფის მიხედვით მათ უნდა მოგვცენ მთავარი კერძო განზოგადებული მაჩვენებლების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია.

**პირველი სინთეზური კატეგორია**, რომელითაც შეგვიძლია დავახასიათოთ კეთილდღეობის დონე, მოიცავს სამ პირველ მთავარ კომპონენტს (კერძო განზოგადებულ მაჩვენებელს).



პირველი საერთო ფაქტორის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები

| № | სინთეზური კატეგორია      | კერძო განზოგადებული ინდიკატორები (I - მთავარი კომპონენტის მაჩვენებლები ( $f_{im}$ ) ჯგუფების მიხედვით (m) | პირველი მთავარი კომპონენტის განმსაზღვრელი ამოსავალი ნიშნები | შერჩეული ნიშნების ( $\lambda_i$ ) შეფარდებითი წვლილი, %-ში |
|---|--------------------------|---|---|--|
| 1 | კეთილდღეობის დონე        | ეკონომიკური განვითარება - $f_{11}$  | $x_2, x_3, x_4, x_6$ .                                      | 93,1   |
|   |                          | ფულადი შემოსავლები - $f_{12}$   | $x_9, x_{11}, x_{12}, x_{13}, x_{14}, x_{15}, x_{16}$ .     | 92,4   |
|   |                          | შრომის ბაზარი - $f_{13}$  | $x_{17}, x_{18}, x_{19}$ .                                  | 99,0   |
| 2 | მოსახლეობის ხარისხი      | დემოგრაფიული სიტუაცია - $f_{21}$  | $x_{20}, x_{21}, x_{22}, x_{24}, x_{27}, x_{29}, x_{31}$ .  | 88,2   |
|   |                          | ჯანდაცვა - $f_{22}$   | $x_{34}, x_{36}, x_{37}, x_{38}$ .                          | 78,5   |
| 3 | სოციალური სფეროს ხარისხი | განათლება - $f_{31}$  | $x_{40}, x_{41}, x_{42}, x_{43}$ .                          | 90,8   |
|   |                          | ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება - $f_{32}$  | $x_{44}, x_{45}, x_{47}, x_{48}, x_{49}$ .                  | 91,9   |
|   |                          | სოციალური იფრასტრუქტურა - $f_{33}$  | $x_{51}, x_{52}, x_{53}, x_{54}, x_{55}, x_{56}$ .          | 99,0   |

პირველ განზოგადებულ მაჩვენებელზე  $f_{11}$  – „ეკონომიკური განვითარება”, ყველაზე დიდ გავლენას ახდენს შემდეგი ნიშნები:

$x_2$  - სამრეწველო წარმოების ინდექსი, %-ში;

$x_3$  - ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მოსახლეობის ერთ სულზე, ლარ-ში;

$x_6$  - მრკ-ის ზრდის ტემპი. %-ში;

$x_4$  - სანარმოთა ხვედრითი წილი, რომლებიც იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებს. %-ში;

მეორე კერძო განზოგადებულ მაჩვენებელზე -  $f_{12}$  „ფულადი შემოსავლები”, ყველაზე მეტ გავლენას ახდენს შემდეგი ნიშნები:

- $x_9$  - საშუალო პენსია. ლარებში;
- $x_{11}$  - კერძო საკუთრების მსუბუქი ავტომობილების რიცხვი 1000 მცხოვრებზე. ერთეული;
- $x_{12}$  - საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული ნაკრების ღირებულება. ლარ-ში;
- $x_{13}$  - კვების პროდუქტების მინიმალური ნაკრების ღირებულება. ლარ-ში;
- $x_{14}$  - საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი. %-ში;
- $x_{15}$  - ჯინის კოეფიციენტი ( შემოსავლების კონცენტრაციის ინდექსი);
- $x_{16}$  - თანაფარდობა შემოსავლებით 10%-ზე უფრო მეტად და 10%-ზე უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსახლეობას შორის;

**მესამე განზოგადებულ მაჩვენებელზე  $f_{13}$  „შრომის ბაზარი“** გავლენას ახდენს შემდეგი ნიშნები:

- $x_{17}$  - ეკონომიკური აქტიურობის დონე. %-ში;
- $x_{18}$  - მოსახლეობის დასაქმების დონე. %-ში;
- $x_{19}$  - უმუშევრობის დონე. %-ში.

**მეორე სინთეზური კატეგორია, რომელიც გვიხასიათებს მოსახლეობის ხარისხს** მოიცავს ორ პირველ მთავარ კომპონენტს (კერძო განზოგადებულ მაჩვენებელს) -  $f_{21}$  „დემოგრაფიული სიტუაცია“ და -  $f_{22}$  - „ჯანდაცვა“, რომელზედაც გავლენას ახდენს შემდეგი ამოსავალი ნიშნები:

- $x_{20}$  - შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. ერთეული;
- $x_{21}$  - ბუნებრივი მატება 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. პრომილებში;
- $x_{22}$  - მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას. წელი;
- $x_{24}$  - ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი 1000 დაბადებულზე წელიწადში, პრომილებში;
- $x_{27}$  - დაქორწინებულთა რიცხვი ყოველ 1000 მცხოვრებზე. პრომილებში;
- $x_{29}$  - შიგა მიგრაციის კოეფიციენტი 10000 მცხოვრებზე გაან-

გარიშებით.

$x_{31}$  - დემოგრაფიული დატვირთვა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაზე (შრომისუნარიანი ასაკია 1000 კაცზე მოსული არაშრომისუნარიანი ასაკის პირები). პრომილებში;

$x_{34}$  - 10 000 მცხოვრებზე საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა. კაცი;

$x_{36}$  - 100 000 კაცზე სიფილისით დაავადებულები. კაცი;

$x_{37}$  - 100 000 კაცზე ტუბერკულოზით დაავადებულები. კაცი;

$x_{38}$  - მოსახლეობის 100 000 კაცზე კიბოთი დაავადებულები. კაცი;

**მესამე სინთეზური კატეგორია, რომელიც გამოიყენება სოციალური სფეროს დახასიათებისათვის**, მოიცავს სამ კერძო განზოგადებულ მაჩვენებელს:  $f_{31}$  - „განათლება”,  $f_{32}$  - „ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება” და  $f_{33}$  - „სოციალური ინფრასტრუქტურა”. მათზე გავლენას ახდენს შემდეგი ამოსავალი ნიშნები:

$x_{40}$  - სტუდენტების რაოდენობა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. ათასი კაცი;

$x_{41}$  - სტუდენტების რაოდენობა საშუალო პროფესიული განათლების სახელმწიფო დაწესებულებებში. ათასი კაცი;

$x_{42}$  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე ბავშვების წილი %-ში შესაბამისი ასაკის ბავშვების საერთო რიცხვში;

$x_{43}$  - 1-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებით სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოცვის ხარისხი %-ში;

$x_{44}$  - ალკოჰოლური სასამელებისა და ლუდის გაყიდვა ნატურალურ გამოსახულებაში სახეების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე, ლიტრებში;

$x_{45}$  - რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი 100 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. ერთეული;

$x_{47}$  - ჩამდინარე წყლებიდან გამაბინძურებლების მოცულობა, მლნ კუბ. მ. ;

$x_{48}$  - სასმელი წყლის მოხმარება, მლნ. კუბ. მ. ;

$x_{49}$  - ჩამდინარე წყლების მოცულობა, მლნ. კუბ. მ. ;

$x_{51}$  - საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობი საშუალოდ

ერთ მცხოვრებზე, კვ. მ. ;

$x_{52}$  - საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობის 1 კვ.მ. მშენებლობის საშუალო ღირებულება, ლარი;

$x_{53}$  - მოძველებული და ავარიული საცხოვრებელი ფონდის წილი მთელ საცხოვრებელ ფონდში, %-ში;

$x_{54}$  - ტელეფონის აპარატების რიცხვი 1000 კაცზე, ერთეული;

$x_{55}$  - ბინის ტელეფონის აპარატების რიცხვი საერთო გამოყენების ქსელში 1000 მცხოვრებზე, ერთეული;

$x_{56}$  - საერთო გამოყენების საავტომობილო გზების მყარი საფარით დაფარვა ტერიტორიის 1000 კვ. კმ-ზე;

რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური შეფასების გაანგარიშებისათვის გამოყენებული მეთოდიკა საშუალებას იძლევა რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი შეუდაროთ ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამგვარი შედარებისათვის გამოითვლება უპირატესობის შემფასებელი ინდიკატორი, რომელიც მიიღება რეგიონის მაჩვენებლის ფარდობით ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობასთან.

მაჩვენებელთა შკალის უნიფიცირების მიზნით, მათი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედების გამო, მიღებულია შემდეგი მიდგომა: ცხოვრების დონის იმ მაჩვენებლებისათვის, რომელთა მნიშვნელობა პოზიტიურ პროცენტებზე მიგვანიშნებს გამოიყენება ფორმულა:

$$P_{ij}^t = x_{ij}^t / \bar{x}_{ij}^t ,$$

სადაც,  $P_{ij}^t$  -  $i$ -ური ნიშნის შეფარდებითი მნიშვნელობა ( $i = 1, 2, 3 \dots n$ ),  $t$  წელში,  $j$ -ურ სინთეზურ კატეგორიაში;

$\bar{x}_{ij}^t$  -  $i$ -ური ნიშნის მოცულობა  $t$  წელში,  $j$ -ურ სინთეზური კატეგორიისათვის;

$\bar{x}_{ij}^t$  -  $i$ -ური ნიშნის საშუალო მნიშვნელობა  $t$  წელში,  $j$ -ურ სინთეზური კატეგორიისათვის;

რაც უფრო მეტია  $P_{ij}^t$  მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით მაღალია ცხოვრების ხარისხი.

ნეგატიური პროცენტების ამსახველი მაჩვენებლები შეიტანება

არასასურველ კატეგორიაში. ამ დროს შედარებისათვის გამოიყენება ფორმულა:

$$P'_{ij} = \bar{x}'_{ij} / x'_{ij} .$$

ამოსავალი ნიშნების ინდიკატორად გარდაქმნა პირველ რიგში შკალის უნიფიკაციისა და ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლის ზომის ერთეულის განსაზღვრის შესაძლებელიობას იძლევა. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება სამი საბაზო სინთეზური კატეგორიიდან თითოეულის მიხედვით ყოველი წლისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ ინდიკატორებსა და სინთეზურ კატეგორიებს შორის არსებობს მულტიპლიკატორული კავშირი, რაც განპირობებულია იმით, რომ ცხოვრების ხარისხის მაღალი დონე არ შეიძლება მიღწეულ იქნეს თუნდაც ერთი კატეგორიის არ არსებობის შემთხვევაშიც კი. ამიტომ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის განზოგადებული მაჩვენებლის –  $K'_{მცხ j}$  ყოველი სინთეზური კატეგორიის მიხედვით: „**კეთილდღეობის დონე**” –  $K'_t$  ცხოვრების ხარისხი, „**მოსახლეობის ხარისხი**” –  $K'_{მოსახლეობის ხარისხი}$ , „**სოციალური სფეროს ხარისხი**” –  $K'_{სოც. სფეროს ხარისხი}$  t პერიოდისათვის გამოითვლება როგორც ცხოვრების ხარისხის განზოგადებული შეფასების საშუალო გეომეტრიული მნიშვნელობა ე. ი.

$$K'_{მცხ j} = \sqrt[n_j]{\prod_{i=1}^{n_j} P'_{ij}}$$

სადაც, j - სინთეზური კატეგორიის ნომერია;

$P'_{ij}$  - ცხოვრების ხარისხის i-რი შემადგენლის განზოგადებული შეფასების მნიშვნელობა;

$n_j$  - ნიშანთა რიცხვი, რომელიც ახასიათებს j-ურ სინთეზურ კატეგორიას.

რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელი (განზოგადებული ინტეგრალური შეფასება) განისაზღვრება, რო-

გორც სამივე კომპონენტის საშუალოგეომეტრიული მნიშვნელობა ანუ სინთეზური კატეგორია  $t$  - პერიოდისათვის.

$$K_{მცხ}^t = \sqrt{K_{კეთილდღეობის დონე}^t \times K_{მოსახლეობის ხარისხი}^t \times K_{სოც. სფეროს ხარისხი}^t}$$

მოცემული გამოთვლების შედეგად მიიღება ინტეგრალური შეფუბა თითოეული სინთეზური კატეგორიის მიხედვით და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული ინტეგრალური შეფასება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Социальная статистика, под. Ред. И. И. Елиссвой. М.: «Финансы и статистика. 2003 ст. 72-97.
2. Елисева И. И. Эконометрические зависимости : принципы и методы построения Экономика и математические методы. 2001. Т. 37. № 1.
3. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია– ქუთ. 2012.
4. შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკური მასალები.
5. www.GeoStat.ge

**საქართველოს ადგილი რეგიონულ და  
გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში**

**ლალი ხარბედია**

ედ, ანსუ-ს ასოცირებული  
პროფესორი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ადგილი და როლი რეგიონულ თუ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ ის ერთიანი რეგიონული ეკონომიკური სივრცე, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს საქართველოს სამეურნეო ფუნქციების პროცესში და გავარკვეოთ ამ სივრცეში მისი ინტეგრირების პერსპექტივები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს მისი ადგილი მთლიანად მსოფლიო მეურნეობაში. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ქვეყანის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, რაც შეიძლება აისახოს საგარეო ვექტორის მიმართულებებზე და დასავლეთის მიერ ინიცირებულ საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მონაწილეობაზე. ამის ნათელი მაგალითია ის დისკუსია საშინაო და საგარეო პოლიტიკურ წრეებში, რომელიც მოჰყვა პრემიერ მინისტრის განცხადებას ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტთან დაკავშირებით: „ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო პროექტი გეოპოლიტიკურად სასარგებლოა, მაგრამ ეკონომიკურად ეს ქვეყნისთვის პირველ ეტაპზე ბევრ კითხვას იწვევს. გეოპოლიტიკურად კარგია, რაც მეტი ტრანზიტი იქნება საქართველოზე, მაგრამ ეკონომიკურად, როცა ყარსის რკინიგზა გაიხსნება, ჩვენ ძველ, ტრადიციულ რკინიგზაზე, რომელიც აზერბაიჯანიდან მოდის და 2-3 ჯერ დიდია, ტვირთბრუნვა შემცირდება. ეს დაეტყობა ჩვენს პორტებსაც. აი, ეს კითხვა დგება“.<sup>1</sup>

მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი თავისი არსით არის გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც რუსეთის ალტერნატიულ სატრანსპორტო დერეფნად განიხილება. მან ხმელეთის მემკვიდრით, რუსეთის გვერდზე ავლით, აზია ევრო-

<sup>1</sup> წყარო: [www.radiotavisufleba.ge](http://www.radiotavisufleba.ge). კ. მჭედლიძე, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ბედი.

პას უნდა დაუკავშიროს. ამ შემთხვევაში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ეკონომიკურ რესურსად წარმოგვიდგება და მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო და 2013 წელს უნდა დასრულდეს, შეუძლებელია შეჩერდეს და საქართველომ დაკარგოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია. მით უმეტეს, რომ დივერსიფიცირებული სატრანსპორტო დერეფნები მისაღებად პროექტში ჩართული ქვეყნებისათვის და თვით რუსეთთან მიმართებაში ის წარმოადგენს არა ალტერნატიულ, არამედ კონკურენტულ სატრანსპორტო დერეფანს. დღეს, როდესაც საქართველოში ტრანსპორტი და კომუნიკაციები აღიარებულია პრიორიტეტულ დარგად, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის პერსპექტივები, რომელნიც ქვეყანას გააჩნია რამდენიმე მიმართულების სატრანსპორტო დერეფნის მონაწილეობისათვის.

დღევანდელ მსოფლიოში რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირებას მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს. საქართველო გეოგრაფიულად შემადგენელია იმ რთული გეოპოლიტიკური სივრცისა, რომელსაც კავკასია ეწოდება და რომელიც ყოველთვის იყო მსოფლიო განაწილების ობიექტი. ეს განაპირობებდა კავკასიის რეგიონის ქვეყნების მძიმე ისტორიულ მემკვიდრეობას. როგროც ცნობილია, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას ბევრად განსაზღვრავს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივად მოხაზული საზღვრები. იგივე შეიძლება ითქვას რეგიონის მიმართ.

თუ საქართველო ბუნებრივი სამანებით საკმაოდ „გარეშე-მოზღუდული“ სივრცეა, ეს არ შეიძლება ითქვას მთლიანად კავკასიის მიმართ. ბუნებრივი ბარიერებით შემოფარგლული არეალის თვალსაზრისით, მკლვევართა აზრით, კავკასია ვერ ჩაითვლება ერთიან სივრცედ, რადგანაც კავკასიონის ქედი კავკასიას კი არ საზღვრავს, არამედ შუაზე ყოფს - ამიერკავკასიად და იმიერკავკასიად. კავკასიონი არასოდეს ყოფილა გადაულახავი ბარიერი, ბუნებრივი წინააღმდეგობის არსებობა გარკვეულწილად მაინც აფერხებდა ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ფორმირებას, ხოლო შემდგომში ბუნებრივ წინააღმდეგობას სხვა ფაქტორებიც ემატებოდა, რაც ხელს უშლიდა იმიერკავკასიელი და ამიერკავკასიელი ხალ-



ხების დაახლოებას. კავკასია შედგება ორი გეოპოლიტიკური დონისაგან: ჩრდილოეთ კავკასია და სამი კავკასიური ქვეყნის — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის — ტერიტორიისაგან. ამ ტერიტორიას მჭიდროდ ეკვრის შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა რუსული მიწა. მთელი ეს რეგიონი რადგანაც მასზე დასახლებული ხალხები ფლობენ უდიდეს სოციალურ პოტენციალს, უძველეს გეოპოლიტიკურ ტრადიციებს, ეს რეგიონი ესაზღვრება ატლანტურ თურქეთს, რომელიც, თავის მხრივ, სტრატეგიულად აკონტროლებს მოსაზღვრე ზონას. ეს ტერიტორია იყო რუსეთის გააფთრებული სამხედრო დაპირისპირების ტრადიციული არენა სასაზღვრო ზონათა ქვეყნების - თურქეთისა და ირანის - წინააღმდეგ. კავკასიაზე კონტროლი რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანებში შედის.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ფართო შესაძლებლობები შეიქმნა რეგიონის ქვეყნებისა და ხალხთა დამოუკიდებელი განვითარებისათვის, მათ შორის კავკასიური სოლიდარობის განმტკიცებისა და რეგიონული გაერთიანების პროექტთა რეალიზაციისათვის. ერთიანი კავკასიური სახლის შექმნაზე საუბარი დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე დაიწყო საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ მის ფორმირებას ხელს უშლიდა და უშლის პოლიტიკური ფაქტორები, კერძოდ: სამხედრო კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ასევე, ამ სახელმწიფოთა განსხვავებული გეოპოლიტიკური ორიენტაცია - სომხეთის საგარეო პოლიტიკა, მიმართული მხოლოდ რუსეთთან აქტიური თანამშრომლობისაკენ და, ამისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის ცალსახა ორიენტაცია დასავლეთის ქვეყნებზე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს შეინიშნება გარკვეული ცვლილებები და გადახარა სამივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია მრავალვექტორული თანამშრომლობისაკენ.

ცნობილია, რომ კავკასიის ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სოციალურ-დემოგრაფიული მარჯვენაობებით, ცხოვრების დონით, სოციალური სტრუქტურებით. რა თქმა უნდა, საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრებამ ბევრი საერთო ჩვევა და შეხედულება ჩამოუყალიბა კავკასიელ ერებს - საერთო ადათები, ზნე-ჩვეულებ-

ბანი, მსგავსი ეროვნული მენტალიტეტი... მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმარისი ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ფორმირებისათვის, რომელშიც შემავალ ქვეყნებს ექნებათ საერთო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნები. ამ მხრივ აღსანიშნავია მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელთაც საერთო გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ, რაც განპირობებულია „TRACECA“-სა და „INOGATE“-ის პროექტებში მათი აქტიური მონაწილეობით. მაგრამ ეს არ ნიშნავს კავკასიის სხვა ხალხებთან თანამშრომლობაზე უარის თქმას. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა, თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები არსებობს, განსაკუთრებით საკომუნიკაციო სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, სპეციალისტთა აზრით, კავკასიაში ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე მეზობელ რეგიონებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო არხების სისტემა. ამ თვალსაზრისით, კავკასია ერთიან სისტემად შეიძლება ჩაითვალოს, რაც, ძირითადად, უკავშირდება სარკინიგზო სისტემის განვითარებას. კავკასიის სარკინიგზო სისტემა არის თავისებური წრე შემდეგი მიმართულებით: ბაქო — მახაჩყალა — გუდერმესი (ჩეჩნეთი) — პროხლადნი (ყაბარდო) — გეორგიევსკი — ნეფინომისკი — არმავირი — ბელორეჩენსკი — ტუაფსე — სოხუმი — სამტრედია — თბილისი — ბაქო. როგორც ვხედავთ, საქართველო ჩართულია კავკასიის ერთიან საკომუნიკაციო სივრცეში. სრულყოფილი სატრანსპორტო კომუნიკაციების შექმნა გულისხმობს ერთიან კომუნიკაციურ ქსელში ქვეყნის ყველა რეგიონის აქტიურ მონაწილეობას, რაც დღევანდელ პირობებში აფხაზეთში არსებული ტერიტორიული კონფლიქტის გამო შეუძლებელია. სწორედ აფხაზეთსა და კავკასიაში არსებული კონფლიქტური კერების გამო არ ფუნქციონირებს ზემოთ ხსენებული წრიული რკინიგზაც, რომლის აღდგენა უკვე მხოლოდ პოლიტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული.

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის სტრატეგიის ფორმირება გულისხმობს არა მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო სტრატეგიების შესაბამისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას, არამედ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის განმტკი-

ცებას, რაც კარგად გააზრებული საგარეო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა. უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომელიც არა მხოლოდ წმინდა პოლიტიკური, არამედ გეოეკონომიკური ამოცანაცაა, რამდენადაც ფოთისა და ბათუმის პორტებთან ერთად ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო კომუნიკაციებში აფხაზეთის ზღვისპირა რეგიონის ჩართვას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კავკასიის საკომუნიკაციო წრე მოიცავს, საკუთრივ კავკასიური ქვეყნის გარდა, რუსეთის სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებსაც, ამიტომ თუ რუსეთი რეგიონს მიღმა დარჩება, ვერც წრიული კავკასიური საკომუნიკაციო სივრცე იფუნქციონირებს, ანუ რუსეთის ფაქტორი კვლავ შეახსენებს ამ რეგიონის ქვეყნებს თავს.

დღეისათვის შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ ნაკლებპერსპექტიულია გეოპოლიტიკურ სივრცედ კავკასიის განხილვაც, მაგრამ ის გეოსტრატეგიული სივრცე რუსეთისათვის და სხვა მეზობელი დიდი სახელმწიფოებისათვის ნამდვილად არის. ყოველ შემთხვევაში, თეორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით, ამიერკავკასიის ხალხებმა, მიიღეს შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ თავიანთი ეროვნული ინტერესები, შესაბამისად, ეროვნული განვითარების სტრატეგიული ვექტორი, მოკავშირეები, სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორები და ა.შ., რის გამოც ისინი მსოფლიო პოლიტიკის სრულუფლებიან სუბიექტებს წარმოადგენენ. მათი უმთავრესი მიზანი ამ ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან სუბიექტებად გადაქცევაა, რომლის შესაძლებლობასაც თითოეული მათგანის ეკონომიკური განვითარების პარამეტრები და ეროვნულ ეკონომიკათა რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ჩართვა განსაზღვრავს.

ახალი სახელმწიფოები, და მათ შორის საქართველო, ეძებენ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა თანამშრომლობის ფორმებს სხვადასხვა ქვეყანასთან და რეგიონთან და ცდილობენ გააკეთონ ალტერნატიული არჩევანი უკვე ფორმირებულ თუ ფორმირებად ეკონომიკურ სივრცეებს შორის. ერთ-ერთ ასეთ სივრცედ, ჩვენი აზრით, შეიძლება კავკასიაც ჩამოყალიბდეს და მა-

შინ რეგიონის სახით თანამშრომლობის განსაკუთრებულ არეალს უნდა ველოდოთ. სხვა შემთხვევაში კი ამ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა გაგრძელდება მაშინაც და იმიერკავკასია და ამიერკავკასია სხვადასხვა სივრცეებში აღმოჩნდებიან ჩართული.

საქართველოს მსოფლიო მეურნეობამ მნიშვნელოვანი როლი დააკისრა, რაც მის მიერ საკომუნიკაციო და სტრატეგიული ფუნქციის შესრულებით გამოიხატება, როგორც დამაკავშირებელი როლისა ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამ ფუნქციის შესრულება საქართველოს და მთლიანად კავკასიას აქცევს ახალი ფორმირებადი გეოპოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილად. მხედველობაში გვაქვს ხმელთაშუა ზღვის — შავი ზღვის — კასპიის ზღვისპირა რეგიონის ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცედ ფორმირება, რასაც საფუძვლად უდევს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამხედრო-სტრატეგიული და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დაახლოება. სახელმწიფოთა გაერთიანების ერთ-ერთი ასეთი ფორმაა სუუამი, რომელშიც ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების მიზნით გაერთიანდნენ: საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის რაციონალურ გამოყენებას ფართო პერსპექტივები აქვს სუუამის ფარგლებში. იგი შეიქმნა 1997 წელს 4 ქვეყანას შორის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. თავდაპირველად გაერთიანებას ეწოდებოდა სუუამი, უზბეკეთის შეერთების შემდეგ, 1999 წლიდან მიიღო სუუამის სახელწოდება. გაერთიანების ძირითადი ამოცანაა საუკუნის — TRACECA-ს D და INOGATE-ის პროექტებში აქტიური მონაწილეობა. სუუამი დაფუძნდა როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ალიანსი იმ მიზნით, რომ განემტკიცებინა ნევრ-ქვეყნების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. 15 წლის არსებობის მანძილზე თანამშრომლობამ სუუამის ფარგლებში აქტიური ხასიათი მიიღო და ის ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი სტრუქტურა, რომელიც მონოდებულა, გაფართოვდეს რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა, განსაკუთრებით სატრანსპორტო დერეფნის - ევროპა-კავკასია-აზია განვითარების შედეგად. ის ასევე გახდა ფორუმი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების განსახილველად, როგორიცაა: უსაფრთხოება, სოცი-

ალური საკითხები, სიღარიბის დაძლევა, ბრძოლა ტერორიზმთან და ა.შ. აქტიური თანამშრომლობა აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის დაიწყო 1996 წელს, ვენაში (ავსტრიაში), ევროკავშირის კონფერენციაზე, მოლაპარაკებით, სადაც 4 ქვეყნის წარმომადგენლებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება საერთო ინიციატივის შესახებ. პრეზიდენტებმა ხაზი გაუსვეს ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელობას ევრაზიული, ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნის საფუძველზე და ყურადღება გაამახვილეს ოთხმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე — სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიზნით. სუუამის მონაწილეთა თანამშრომლობა ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორცაა: სუვერენიტეტის დაცვა და პატივისცემა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, სახელმწიფო საზღვრების აღიარება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, კანონის უზენაესობა და დემოკრატიულ ფასეულობათა აღიარება. საქართველო გამოვიდა სუუამის წევრ-ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღების ინიციატივით. თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების საფუძველზე სავაჭრო ურთიერთობათა გაღრმავების იდეა მოიწონეს აზერბაიჯანის, უკრაინის, უზბეკეთისა და მოლდოვას წარმომადგენლებმა. სუუამის ფარგლებში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს, რამდენადაც ამ დაჯგუფებას მხარს უჭერს ევროკავშირი, აშშ და თურქეთი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აზიიდან და აზერბაიჯანიდან რეგიონის ენერგორესურსების ათვისებით და ცენტრალური აზიიდან და აზერბაიჯანიდან დასავლეთის მიმართულებით მისი ტრანსპორტირებით. სუუამი განიხილება ევროკავშირთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების, დიდ ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების ეფექტურ მექანიზმად, ხოლო მომავალში შესაძლებელია ამ გაერთიანების წევრი-ქვეყნების სრული ინტეგრაცია ევროკავშირში, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი პრიორიტეტია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუუამი ევროკავშირსა და მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა წევრ-ქვეყნებისათვის. არსებობს ყველა პირობა მისი ერთიან რეგიონულ ეკონომიკურ სივრცედ ჩამოყალიბებისა და

გაფართოებისათვის, რომელიც მოიცავს კასპიის, შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონების ქვეყნებს და ამ გაგებით ის შეიძლება აღმოჩნდეს უფრო ფართო გეოპოლიტიკური არეალი, ვიდრე შავი ზღვის რეგიონი, რომლის ფარგლებშიც უკვე ჩამოყალიბდა შავი ზღვის თანამეგობრობა-Black Sea Economic Community (ბისექი). საქართველო ამ გაერთიანების წევრიც არის. ბისექი არის თანამეგობრობა და კიდევ ერთი გეოგრაფიული არეალი, რომელიც შეიძლება გეოპოლიტიკური რეგიონის სახით ჩამოყალიბდეს შავი ზღვის სპირეთში. იგი აერთიანებს პოსტსაბჭოური სივრცის ევროპულ რეგიონებს ბალტიისპირეთისა და ბელორუსის გარდა, შავი ზღვის აუზისა და ბალკანეთის სახელმწიფოებს. იგი წარმოადგენს მრავალმხრივი თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისო სტრუქტურას, რომელიც შექმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების მიზნით. ბისექის შექმნის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 1992 წლის 25 ივლისს სტამბულში. იგი აერთიანებს: აზერბაიჯანს, ალბანეთს, რუმინეთს, რუსეთს, საბერძნეთს, საქართველოს, მოლდოვას, თურქეთს, უკრაინასა და სომხეთს. მეთვალყურის სტატუსით მონაწილეობენ: ავსტრია, ეგვიპტე, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, სლოვაკია, ტუნისი, გერმანია, საფრანგეთი და ევროპის ენერგეტიკული ქარტია. ამ ორგანიზაციის თანამშრომლობისადმი დიდ ინტერესს ავლენს ევროკავშირი და აზიის მრავალი ქვეყანა.

შავი ზღვის თანამეგობრობა ბუნებრივი ევოლუციის გზით ვითარდება, ამიტომ არსებობს მისი ერთიან ეკონომიკურ სივრცედ ფორმირების საფუძველი, რასაც ხელს უწყობს ქვეყნებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ძირითადი პრინციპები და მიმართულებები აისახა შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ 1992 წლის სტამბულის დეკლარაციაში და 1992 წლის ბოსფორის შეთანხმებაში, ასევე 1995 წლის ბუქარესტის განცხადებასა და 1996 წლის ბისექის ძირითად ინვესტიციურ პრინციპებში. ორგანიზაციამ მხოლოდ 6-წლიანი ფუნქციონის შემდეგ მიიღო წესდება იალტაში, რომლის რატიფიცირება მონაწილე ქვეყნებში დასრულდა 1999 წლის მაისისათვის და ამ დროიდან წესდება ძალაში შევიდა. ბისექი თანდათანობით იწყებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას რეგიონის ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთ-

რებით აღსანიშნავია წვერი ქვეყნების ინიციატივა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული დაჯგუფებიდან საერთაშორისო რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შესახებ, რომელიც ახალ შესაძლებლობებს იძლევა რეგიონული პროექტების განხორციელების, მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და წვერ-ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების თვალსაზრისით.

ფართომასშტაბურ პროექტებს შორის გამოიყოფა წრიული სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტი შავი ზღვის გარშემო ტრანსევროპულ მაგისტრალზე გავლით. ეს პროექტი განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსათვის, რომლის სტრატეგიული ფუნქცია საკომუნიკაციო ლერძის როლის შერულებაა ევროპასა და აზიას შორის. თუმცა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენები საფუძველს ქმნის სატრანსპორტო დერეფნის სხვა მიმართულებებში აქტიური მონაწილეობისათვის. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების წრიული სატრანსპორტო დერეფანი: სტამბოლი — ბურგასი — კონსტანცა — კიშინიოვი — დნეპროპეტროვსკი — დონეცი — როსტოვი — ნოვოროსიისკი — თბილისი — ანკარა — სტამბოლი გულისხმობს თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონის ქვეყნებს შორის. აქ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას, რაც მნიშვნელოვან ამოცანებს უყენებს საპორტო ქალაქებს. განსაკუთრებით იზრდება ფოთისა და ბათუმის პორტების მნიშვნელობა და ყურადღება უნდა დაეთმოს საპორტო-სამრეწველო კომპლექსების მშენებლობა-განვითარებას. ამ მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბორანის - ფოთი-ილიჩევსკი, ფოთი-ნოვოროსიისკი და ფოთი-ბურგასის ამოქმედება.

სატრანსპორტო კომუნიკაციათა განვითარებით დაინტერესებული საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ყველა ალტერნატიული პროექტში მონაწილეობა. შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. მასზე გამავალ კომუნიკაციებს შეუძლიათ, ერთმანეთთან დააკავშირონ როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთით (ხმელთაშუაზღვისპირეთი—შავი ზღვა—კასპიის ზღვა) მდებარე კომუნიკაციები, ისე

ჩრდილოეთ-სამხრეთით გამავალი კომუნიკაციები: ჩრდილოეთ ევროპა — ახლო აღმოსავლეთი — ბალტიისპირეთი — შავი ზღვა. ასევე შესაძლებელია განვითარდეს მიმართულებები დასავლეთ-სამხრეთით - დასავლეთ ევროპიდან ირანისა და ინდოეთისაკენ, რომელიც საქართველოს აქტიურ მონაწილეობასაც ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ამ რეგიონს შეუძლია სერიოზულად განვითარდეს, თუ შეძლებს იმ პრობლემათა დაძლევას, რომელიც ჯერჯერობით დგას ქვეყნის რეგიონის წინაშე. უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი წევრია რუსეთი, რომელიც დსთ-ის განვითარებითაა დაინტერესებული, ეს უკანასკნელი კონტინენტური გაერთიანებაა, ხოლო ბისექის რეგიონი შავი ზღვის გარშემო კონცენტრირებული, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ მიუღებელია რუსეთისათვის, მაგრამ განსაკუთრებით მისაღებია თურქეთისათვის. ამ შემთხვევაში გაერთიანების ფარგლებში ერთმანეთს უპირისპირდება ორი საკმაოდ დიდი და გავლენიანი რეგიონულ სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესი.

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი ორგანულ კავშირშია კასპიის ზღვის სისტემასთან, ამიტომ კასპიის სატრანსპორტო სივრცის განვითარება ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონს თავისი სატრანზიტო შესაძლებლობების განხორციელებაში. აქედან გამომდინარე, ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტრანსკასპიური საკომუნიკაციო ქსელის შექმნით, დაინტერესებულნი არიან შავი ზღვის გარშემო გეოეკონომიკური სივრცის ფორმირებითაც. უფრო მეტიც, შესაძლოა, ამ სივრცემ მოიცვას სამი ზღვისპირა (ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა) რეგიონის ქვეყნებიც. ნებისმიერ შემთხვევაში ამ სივრცეთა ფორმირება და მათში საქართველოს აქტიური ჩართვა მიმართულია ევროკავშირსა და მთლიანად მსოფლიო მეურნეობაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირებისაკენ.

ამრიგად, საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაცია და საგარეო ეკონომიკური სტრატეგია დაკავშირებულია ორ ძირითად ფაქტორთან: რეგიონულ გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციასთან და ორმხრივ თანამშრომლობასთან არამეზობელ დიდ სახელმწიფოსთან, რომელიც თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების არეალად განიხილავს ჩვენს ქვეყანას.





**ტურიზმის თანამედროვე მიმართულებების  
განვითარება საქართველოში**

**ლელა ბიჭიაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ისტორიულად, სხვადასხვა ეკონომიკური და კულტურული განვითარების მქონე ხალხების შემაკავშირებლის როლი ეკისრებოდა. სწორედ აქ იყრიდა თავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკონომიკური ინტერესები. უამრავი სავაჭრო გზა გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე, მათგან ერთ-ერთის, აბრეშუმის სავაჭრო გზის დასახელებაც კი კმარა. ისტორიულად საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნიდა ქვეყნის ეკონომიკური აყვავების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოდითგანვე ჰქონდა და დღესაც გააჩნია ევროპისა და აზიის და ზოგადად მსოფლიო კულტურულ-ეკონომიკური მაკავშირებლის ფუნქცია.

90-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები დაკავშირებული იყო ბაზრების ლიბერალიზაციასთან, რაც ხორციელდებოდა კაპიტალის მობილობის გაზრდის პირობებში. ამას თან დაერთო საყოველთაო კომპიუტერიზაცია და გლობალური ინტერნეტ-ქსელის ათვისება. მეცნიერები და ექსპერტები ყოველივე ამას „თანამედროვე ეკონომიკას“ უწოდებენ, რომელიც გავლენას ახდენს ისეთი არამატერიალური სფეროს განვითარებასა და ფუნქციონირებაზე, რომელსაც მიეკუთვნება ტურისტული ინდუსტრია. ჯერ კიდევ 2001 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სავაჭრო კომისიის განცხადებით ვაჭრობის მოცულობა ინტერნეტის მეშვეობით ორმაგდებოდა ყოველ 100

დღეში. ბუნებრივია ინტერნეტი ტურისტული ბაზრების გაფართოების საშუალებასაც იძლევა, კიდევ უფრო აღრმავებს ტურ-ოპერატორთა საერთაშორისო კავშირებს. დღეს ტურიზმი წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ დარგს ინტერნეტ ქსელში.

მიმდინარე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში ისეთი ტურისტული მიმართულების სწრაფი განვითარება, როგორც არის ბიზნეს-ტურიზმი. რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს შეასრულოს მისი ისტორიული დანიშნულება.

ბიზნეს-ტურიზმის განსაზღვრისათვის კარგად გამოდგება მისი ინგლისური აბრევიატურა, რომელსაც ხშირად მის მაგივრად იყენებენ- MICE ( Meetings Incentives Conferences Exhibitions), რაც ქართულად - საქმიან შეხვედრებს, წამახალისებელ (მასტიმულირებელ) ტურიზმს, კონფერენციებსა და გამოფენებს ნიშნავს.

ბიზნეს ტურიზმი მრავალნაზხნაგოვანი საქმიანობაა და მის 73%-ზე მეტს საქმიანი, კორპორატიული შეხვედრები (corporate travel) შეადგენს - სადაც მოიაზრება, როგორც ინდივიდუალური საქმიანი მოგზაურობები, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო კორპორაციების მიერ დაგეგმილი შეხვედრები. საქმიანი ტურიზმის 16%-ს შეადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სემინარები, კონფერენციები და ყრილობები. ხოლო დარჩენილი 11% მოდის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენებში, ბაზრობებში მონაწილე ტურისტებზე.

თვითონ საქმიანი ტურიზმის ( ბიზნეს ტურიზმის) მცნება მსოფლიო სტანდარტების მიხედვითაც შედარებით ახალი მცნებაა. იგი ევროპასა და ამერიკაში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 90-იანი წლების ბოლოს.

საქმიანი ტურიზმი (business travel) ტურიზმის ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. თუ ზოგადად ტურიზმის ბაზარი 10-12%-ით იზრდება, ბიზნეს ტურიზმის ზრდა 30%-ს შეადგენს.

ასოციაცია „ Global Business Travel Association” კვლევის განყოფილებამ „GBTA Foundation” გამოაქვეყნა დეტალური მოხსენება, რომელშიც მსოფლიოს მასშტაბით გაანალიზებულია საქმიანი ტურისტული სექტორის მიმდინარე დანახარჯები და მისი უახლოესი

**ღარბოზრიში აკონომიკა**

ხუთი წლის ზრდის პროგნოზი. კვლევებმა გამოავლინა, რომ 2010 წელს მონაცემები გაიზარდა 8,4%-ით - 2009 წლის მონაცემებთან შედარებით, ხოლო 2011 წელს 9,2%-ით- 2010 წელთან შედარებით და 1 ტრილიონ დოლარს მიაღწია.

კვლევების შედეგად დგინდება, რომ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა ხდება ორი განსხვავებული გზით, რომელთაც სხვადასხვა ზრდის ტემპი გააჩნიათ. მაგალითად, ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა: ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი - გლობალური საქმიანი ტურიზმის ზრდის ტემპი 2-3-ჯერ აღემატება ისეთი განვითარებული ქვეყნების ზრდის ტემპს, როგორცაა: აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

| 2011-2015 წლების საქმიანი ტურიზმის განვითარების პროგნოზი |      |                        |     |
|--|------|------------------------|-----|
| განვითარებადი ქვეყნები                                   | %    | განვითარებული ქვეყნები | %   |
| ჩინეთი   | 11,2 | აშშ                    | 3,8 |
| ინდოეთი  | 10,8 | დიდი ბრიტანეთი         | 5,4 |
| რუსეთი   | 7,1  | საფრანგეთი             | 3,3 |
| ბრაზილია   | 7,0  | გერმანია               | 2,9 |

საბაზრო საზღვრებისა და საქმიანი კონტაქტების გაფართოვება თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, საშუალებას იძლევა, განვითარდეს ტურიზმის ყველაზე ახალი და პერსპექტიული სახეობა - საქმიანი ტურიზმი. საქმიანი ტურიზმი დიდ როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და ხელს უწყობს მის (ეროვნული ეკონომიკის) ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე. თანამედროვე ეკონომიკის პირობებში შესაძლებელი გახდა საბაზრო საზღვრების გაფართოვება დანახარჯების შემცირებით. ეს შეეხო როგორც ინფორმაციის მოძიებას, მონაცემთა გაცვლას, ასევე ურთიერთქმედების დანახარჯების ეფექტურ მართვას.

საქმიანი კომუნიკაცია, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების გაცვლა, ახალი ბაზრების ათვისება, ინვესტირებისათვის ახალი

პარტნიორებისა და პროექტების მოძიება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება - ყოველივე ეს წარმოადგენს საქმიან ტურიზმს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და ამ პროცესებთან დაკავშირებულმა საქმიანმა, სამეცნიერო და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაციამ, საქმიანი ტურიზმი გადააქცია ერთ-ერთ წამყვან, ყველაზე შემოსავლიან და აქედან გამომდინარე მსოფლიო ტურისტული მიუზნეობის დინამიურად განვითარებულ დარგად. აღნიშნული გვაძლევს იმის საშუალებას, ვუნოლოთ მას XXI საუკუნის დასაწყისის ფენომენი.

უცხოელი და სამამულო ექსპერტების აზრით, საქმიანი ტურიზმი (business travel) ყოველთვის მხარს უჭამს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს, მომხმარებელთა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ითვისებს და სთავაზობს ახალ მომსახურებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2010-2020 წწ. მსოფლიო ეკონომიკა სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. შეიქმნება პირობები, როდესაც მილიონობით ადმიანის ინტეგრაცია მოხდება განვითარებულ ბაზარზე. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, 2020 წლისთვის საერთაშორისო საქმიანი მოგზაურობები გაიზრდება 3-ჯერ. ამასთან ამ სექტორში ბრუნვა გაიზრდება 5-ჯერ. პროგნოზებიდან გამომდინარე, ასევე ვარაუდობენ, რომ ტურისტულ სფეროში გაიზრდება ავიაბილეთების გაყიდვებისა და ბრონის მოცულობა, აგრეთვე, გაიზრდება კორპორატიულ კლიენტებზე ტურების ცალკეული სეგმენტების რეალიზაცია საქმიანი და ინდივიდუალური მოგზაურობის ორგანიზებისათვის (სასტუმროებში განთავსება, ავტომობილის არენდა, სამედიცინო დაზღვევის მიღება და ა.შ.)

გლობალურ ეკონომიკაში დაწყებული ახალი პერიოდი აღინიშნება, როგორც ახალი და საშიში ერა- მსოფლიო ტერორისტული აგრესიის ერა. 2001 წ. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი და მომდევნო ტერაქტებმა ინდონეზიაში, ლონდონში, იორდანიაში, ეგვიპტის კურორტებზე და ა.შ. - მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენა თუ მთლიანად საერთაშორისო ტურიზმი არა, ყოველ შემთხვევაში ამ მრავალდარგობრივი სეგმენტის მნიშვნელოვანი

ნაწილი მიიღო. ეს პერიოდი მიიჩნევა ტურისტული ინდუსტრიის სავალალო პერიოდად. უამრავმა ტურისტმა უარი განაცხადა საერთაშორისო მოგზაურობაზე და უპირატესობა მიანიჭა შიდა მარშრუტებს. ამან ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ტურიზმის შიდა ინდუსტრიის განვითარებას: რაიონის სასტუმროებს, კემპინგებს, სათხილამურო კურორტებს და ა.შ. ამრიგად საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი მოთხოვნა კომფორტულ გარემოსთან ერთად ტურისტთა უსფრთხოების გარანტიებიც იქცა.

დღევანდელ პირობებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებმა (ეგვიპტის, სირია და ა.შ) გამოანთავისუფლა ტურისტთა დიდი ნაწილი, რომლებიც თავს არიდებენ ამ ქვეყნების ცნობილ ტურისტულ ცენტრებში დასვენებას, მიუხედავად ავიგადადამზიდებისა და ჰოტელიერების მიერ შექმნილი მოქნილი ფასდაკლების სისტემისა.

საქართველოს ტურინდუსტრია ეწყობა მუშაობის ახალ პირობებს, რომელიც გამოწვეულია მსოფლიო პოლიტიკური არასტაბილურობით და ეძებს ახალ გადაწყვეტილებებს. ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული განათლებაც თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში. პროფესიონალურ ტურისტულ განათლებას გვთავაზობენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, თუმცა ევროპელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ სექტორს მიეკუთვნება და თანამედროვე პირობებში არ არის რეკომენდირებული განათლების მიღება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საფრანგეთში ორწლიანი სწავლების შედეგად შესაძლებელი ხდება კონკურენტუნარიანი ტურისტული განათლება მიიღოს ყოველწლიურად 3000-ზე მეტმა სტუდენტმა, ამასთან აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის ნახევარზე მეტს სტუდენტები ტურისტულ საწარმოებში ატარებენ, სადაც პრაქტიკული შეხება აქვთ იმ საკითხების გადაჭრასთან, რომლებიც მათი მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს.

საქართველოში ტურიზმისა და კურორტების განვითარებაში სახელმწიფო მარეგულირებელის როლი ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს აკისრია, რომელსაც ევალება სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ამ პოლიტიკის გატარებაზე ზრუნვა. ჩვენი

აზრით, აღნიშნული პოლიტიკა უნდა წარმოადგენდეს მოქნილ სისტემას, რომელიც მგრძობიარეა და რეაგირებს ყველა ტურისტულ ბაზარზე არსებულ ცვლილებაზე, გააჩნია სიახლეების მიმართ სწრაფი ადაპტაციის და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისების უნარი, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით უნდა შეეძლოს სწრაფი და მოთხოვნების შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

ამრიგად, აღნიშნულ სტატიაში წარმოადგენილია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მოკლე ანალიზი და კვლევა, რის საფუძველზეც მიგვაჩნია, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში გააჩნია დიდი პერსპექტივა ტურიზმის, კერძოდ კი მისი კონკრეტული მიმართულების საქმიანი ტურიზმის (ბუსინესს ტრაველ) განვითარებისათვის.

### ლიტერატურა:

1. ლ. დოლიკაშვილი , ნ. ჩეკურიშვილი , მ. ლვინჯილია - „ტურიზმის ეკონომიკა“, თბ. 2009.
2. გ. შუბლაძე. ლ. დოლიკაშვილი- „ტურიზმის მარკეტინგი“ თბ. 2009.
3. მ. მეტრეველი - „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები“. თბ. 2008;
4. კოტლერი, ბოუენი, მეიკენზი. - „ მარკეტინგი. სტუმართმოყვარეობა. ტურიზმი“ თბ. 2007წ.
5. დ. კბილაძე, ნ. აბესაძე, ს. მეტრეველი- „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბ. 2008.
6. Янкевич В.С. – Маркетинг в гостиничной индустрии и туризме. М., 2005.
7. [www.tourizm.gov.ge](http://www.tourizm.gov.ge)
8. [www.cooltourcompany.com](http://www.cooltourcompany.com)
9. [www.unwto.org](http://www.unwto.org)
10. [www.marketingpower.com](http://www.marketingpower.com)
11. [www.businessweek.com](http://www.businessweek.com)
12. [www.tourprom.ru/news](http://www.tourprom.ru/news)

**საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა  
საბაზრო ეკონომიკის პირობებში**

**ბადრი დავითაია**

ედ, ანსუ-ს ასისტენტ პროფესორი

საბრუნავი კაპიტალი ეს არის სანარმოს მიერ ინვესტირებული კაპიტალი მიმდინარე ოპერაციებზე ყოველი საოპერაციო ციკლის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, ეს არის საშუალებები, რომლებიც ჩადებულია მიმდინარე აქტივებში. საბრუნავი კაპიტალი უშუალოდ მონაწილეობს ახალი ღირებულების შექმნაში და ფუნქციონირებს მთელი კაპიტალის წრებრუნვის პროცესში. საბრუნავი კაპიტალი უფრო სწრაფად მიმოიქცევა, ვიდრე ძირითადი კაპიტალი. ამიტომ საბრუნავი კაპიტალის წილის გადიდებით ავანსირებული კაპიტალის მთლიან მოცულობაში ხდება მთლიანი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარის შემცირება, მაშასადამე, იზრდება ახალი ღირებულების ზრდის შესაძლებლობა და შესაბამისად მოგებაც.

არსებობს ცნება წმინდა საბრუნავი კაპიტალი. მისი სიდიდე განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. სამეურნეო სუბიექტთა ნორმალური ფუნქციონირების პირობებში მიმდინარე აქტივების სიდიდე აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს, ესე იგი საბრუნავ საშუალებათა ღირებულება აღემატება კრედიტორულ დავალიანებას. წმინდა საბრუნავი კაპიტალი ტრადიციული ტერმინოლოგიით წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს.

საბრუნავი კაპიტალი ხასიათდება არა მხოლოდ სტრუქტურითა და მოცულობით, არამედ მიმდინარე აქტივების ლიკვიდურობით. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება მიმდინარე აქტივების უნარით გარდაიქმნას ფულად საშუალებებად წრებრუნვის პროცესში. ამასთან გაითვალისწინება, რომ სანარმოო მარაგი ნაკლებად ლიკვიდურია, ვიდრე მზა პროდუქცია, ხოლო აბსოლიტურად ლიკვიდურია ფულადი საშუალებები.

ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით საბრუნავი კაპიტალი შედგება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისაგან. მიმდინარე აქტი-

ვების ის ნაწილი, რომელიც მუდმივად არის სანარმოოს განკარგულებაში აუცილებელი მინიმუმის მოცულობით, უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობას და შეადგენს მუდმივი კაპიტალის საფუძველს.

საშუალებებში დამატებითი მოთხოვნის აღმოცენების შემთხვევა, რომლებიც განპირობებულია წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობის ან სხვა გარემოებებით, ქმნის ცვლად საბრუნავ კაპიტალს.

საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა განისაზღვრება რიგი ფაქტორებით: მიმდინარე აქტივების მოცულობითა და შემადგენლობით, მათი ლიკვიდურობით, მიმდინარე აქტივების დაფარვის საკუთარი და ნასესხები წყაროების თანაფარდობით, წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდით, მუდმივი და ცვლადი კაპიტალის თანაფარდობით და სხვა ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებით. გარდა ამისა, საბრუნავი კაპიტალის მართვის თავისებურებები განისაზღვრება სამეურნეო სუბიექტთა სტრუქტურული კუთვნილებით, თუკი სავაჭრო ორგანიზაციებში მაღალია საქონლის ხვედრითი წილი, სამრეწველო სანარმოებში-ნედლეული და მასალები, ფინანსურ კორპორაციებში კი ქარბობს ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები.

ამრიგად, საბრუნავი კაპიტალის გამოყენების გაუმჯობესება მენარმეობის განვითარებასთან ერთად ძალზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ამ დროს გამოთავისუფლებული მატერიალური და ფულადი რესურსები წარმოადგენენ შემდგომი ინვესტიციების დამატებით იმანენტურ წყაროებს. საბრუნავი საშუალებების რაციონალური და ეფექტური გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკურ სუბიექტთა ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის დონის ამაღლებას. ასეთ პირობებში სანარმოო დროულად და მთლიანად ასრულებს საანგარიშსწორებო—საგადასახადო ვალდებულებებს, რაც წარმატებული კომერციული საქმიანობის საფუძველია.

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტურობა ხასიათდება ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთაგან ერთ—ერთია მათი განთავსების თანაფარდობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში.



საბრუნავი საშუალებების გამოყენების ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ საბრუნავი საშუალებების უკუგების მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება, როგორც შეფარდება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებსა და საბრუნავი საშუალებების ნაშთს შორის.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ინტენსივობის უმთავრეს მაჩვენებლად გვევლინება მათი ბრუნვადობის სიჩქარე.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა ეს არის საშუალებათა ერთი სრული წრებრუნვის ხანგრძლივობა, დაწყებული პირველით და დამთავრებული მესამე ფაზით. რაც უფრო სწრაფად გადაინაშუალებები ამ ფაზებს, მით უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს საწარმო საბრუნავი საშუალებების ერთი და იგივე თანხიდან.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის სიჩქარე გამოითვლება სამი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლებით: ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში; ბრუნვათა რაოდენობა ერთი წლის მანძილზე; საბრუნავი საშუალებათა სიდიდე რეალიზებული პროდუქციის ერთ ერთეულზე.

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის გამოთვლა ხორციელდება, როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი კუთხით. გეგმური ბრუნვადობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას მხოლოდ ნორმირებული საბრუნავი საშუალებებით, ფაქტობრივი — ყველა საბრუნავი საშუალებების მიხედვით არანორმირებულის ჩათვლით. გეგმურისა და ფაქტობრივის ბრუნვადობის შედარება ასახავს ნორმირებული საბრუნავ საშუალებათა დაჩქარებას ან შენელებას. ბრუნვადობის დაჩქარების დროს ხდება საბრუნავ საშუალებათა გამოთავისუფლება ბრუნვიდან, ხოლო შენელების დროს აუცილებელია ბრუნვაში დამატებითი საშუალებათა ჩართვა.

დღეებში ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი ორმოხლის მიხედვით:

$$O = (C \times N) \div T$$

სადაც

O — ერთი ბრუნვის ხანგრძლივობაა დღეებში

C — საბრუნავ საშუალებათა ნაშთი (ლარებში)

T — სასაქონლო პროდუქციის მოცულობა

N — დღეთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში

მაგალითი: გასულ წელს ღირებულების მიხედვით სასაქონლო პროდუქციის მოცულობა იყო 150 000ლარი, მაშინ როცა საბრუნავი საშუალებები ამ წლის ბოლოს შეადგენდა 18 000 ლარს. ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა უდრის 43 დღეს ( $18000 \times 360 \div 150000$ )

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ბრუნვათა რაოდენობას, რომელიც ხორციელდება საბრუნავი საშუალებებით ერთი წლის მანძილზე და განისაზღვრება ფორმულით  $K = T \div C$ , სადაც K — ბრუნვადობის კოეფიციენტია, ე. ი. ბრუნვათა რაოდენობა.

განხილულ მაგალითში ბრუნვადობის კოეფიციენტი შეადგენს 8,3 ( $150000 \div 18000$ ). მაშასადამე, საბრუნავმა საშუალებებმა განახორციელეს 8,3 ბრუნვა ერთი წლის მანძილზე. ეს ინდიკატორი ნიშნავს იმას, რომ საბრუნავი საშუალებების ყოველ ერთ ლარზე მოდის რეალიზებული პროდუქციის 8,3 ლარი. საბრუნავ საშუალებათა დატვირთვის კოეფიციენტი არის ბრუნვადობის კოეფიციენტის უკუმაჩვენებელი. ის წარმოადგენს საბრუნავ საშუალებათა სიდიდეს, რომელიც მოდის რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე. იანგარიშება ფორმულით:  $K_{\text{დ}} = C \div T$ , სადაც  $K_{\text{დ}}$  — საბრუნავ საშუალებათა დატვირთვის კოეფიციენტია.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით დატვირთვის კოეფიციენტი შეადგენს 0,12 ( $18000 \div 150000$ ). მაშასადამე, რეალიზებული პროდუქციის ყოველ ერთ ლარზე მოდის 0,12 ლარის საბრუნავი საშუალებები.

ამასთან ბრუნვადობა შეიძლება იყო როგორც საერთო, ასევე პრივატულიც.

საერთო ბრუნვადობა ახასიათებს საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობას მთლიანობაში წრებრუნვის ყველა ფაზის მიხედვით და არ ასახავს საბრუნავ საშუალებათა ცალკეულ ჯგუფების წრებრუნვის თავისებურებებს.

ზემოთ განხილული ბრუნვადობის ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლები ასახავენ საბრუნავ საშუალებათა საერთო ბრუნვადობას. რაც შეეხება საერთო ბრუნვადობის ცვლილებების გამოვლენის კონკრეტულ მიზეზებს, ის გამოითვლება საბრუნავ საშუალებათა პრივატული ბრუნვადობის მაჩვენებლით.

პრივატული ბრუნვადობა ასახავს წრებრუნვის ყოველ ფაზაში საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ხარისხს, როგორც მთლიანად ჯგუფში, ასევე ცალკეული ელემენტების მიხედვითაც.

ასეთ დეტალური ანალიზი საბრუნავ საშუალებათა გამოყენებისა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და თავისუფალ მენარმეობასთან ერთად.

საბრუნავ საშუალებათა განთავსებაში სტრუქტურული ცვლილებათა გავლენის განსაზღვრისათვის საბრუნავ საშუალებათა ნაშთი უნდა შეუდარდეს სასაქონლო პროდუქციის მოცულობას, რომელიც გამოყენებულ იქნა საბრუნავ საშუალებათა საერთო ბრუნვადობის გამოთვლის დროს. ამასთან პრივატული ბრუნვადობის მაჩვენებელთა ჯამი ტოლი უნდა იყოს საერთო ბრუნვადობის მაჩვენებლისა. ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად საბრუნავ საშუალებათა გარკვეული თანხა გამოთავისუფლდება. გამოთავისუფლება შეიძლება იყოს აბსოლიტური და ფარდობითი.

აბსოლიტურ გამოთავისუფლებას საბრუნავ საშუალებებისა მაშინ აქვს ადგილი, როცა საბრუნავ საშუალებათა ფაქტობრივი ნაშთი ნაკლებია ნორმატივებზე, ან საბაზისო პერიოდში საბრუნავ საშუალებათა ნაშთზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აბსოლიტურად გამოთავისუფლებული საბრუნავი საშუალებები შეიძლება მიმართულ იქნას საწარმოთა მიერ წარმოების შემდგომი გაფართოებისაკენ.

საბრუნავ საშუალებათა ფარდობითი გამოთავისუფლება ხდება იმ შემთხვევაში, როცა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება ერთდროულად ხორციელდება წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად. საბრუნავ საშუალებათა აბსოლიტურ და ფარდობით გამოთავისუფლებას აქვთ ერთიანი ეკონომიკური საფუძველი, ვინაიდან სამეურნეო სუბიექტებისათვის წარმოადგენენ საშუალებათა დამატებით ეკონომიას.

მაგალითი: სასაქონლო პროდუქციის ფარდობითი მოცულობა თვითღირებულების მიხედვით მიმდინარე წელს 100 800 ათასი ლარი. ყველა საბრუნავი საშუალებათა ღირებულება მიმდინარე წლის ბოლოს შეადგენს 11200 ათას ლარს. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა საგეგმო წელს შეადგენს 144 000 ათას ლარს სამ დღეზე

ბრუნვადობის დაგეგმილი დაჩქარების დროს.

ასეთ პირობებში მიმდინარე წელს ბრუნვადობა შეადგენს 40 დღეს ( $11200 = 100800 \div 360$ ) საბრუნავ საშუალებათა თანხობრივი მაჩვენებელი შეადგენს 16000 ათას ლარს ( $144000 \times 40 \div 360$ ), ბოლო საბრუნავ საშუალებათა ღირებულება მათი ბრუნვადობის დაჩქარების გათვალისწინებით შეადგენს 14800 ათას ლარს ( $144000 \times (40 - 3) \div 360$ ).

საბრუნავ საშუალებათა ფარდობითი გამოთავისუფლება ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად მიმდინარე წელს შეადგენს 12000 ათას ლარს ( $16000 - 14800$ ). ამრიგად, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება და ამის საფუძველზე გამოთავისუფლება საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას მიმართონ ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ მენარმეობის განვითარებაზე ისე, რომ არ გახდეს საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Алексеева М, М, Планирование деятельности фирмы, М. Финансы и статистика, 2002г
2. Шеремет А, Сайфулин Р. Нагашев Е. Методика финансового анализа предприятий М. Юни-Глоб 2002г
3. Финансовый менеджмент, Учебник / Под. Ред. Проф. А. М. Ковалевой М. Инфра, 2005г
4. Ковалев В. В. Финансовый анализ: управление капиталом М., Финансы и статистика 2001г
5. Справочник финансиста предприятия. Коллектив авторов, М., Инфра 2002г

**მათემატიკური რეგულირების ეფექტურობის ინტეგრირებული  
ინდიკატორების გამოყენება**

**ქეთევან კინძარაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი

როგორც ცნობილია, ს. კომანდერის მიერ შემოთავაზებული დარგობრივი მაჩვენებლების დროითი მწკრივების ანალიზს ფიქსირებული ეფექტების მეთოდის გამოყენებით საფუძვლად უდევს დაშვება იმის შესახებ, რომ „განსხვავება ცალკეულ დარგებს შორის არ იცვლება დროის მიხედვით და შეიძლება მათი „დაჭერა“ წრფივი განტოლებების განსხვავებული მუდმივი წევრების საშუალებით. შედეგად, დარგების სპეციფიკური თავისებურებების მიხედვით კორექტირების შემდეგ შეიძლება დავუშვათ, რომ შესაბამის მრუდს აქვს ერთნაირი დახრილობა და სხვადასხვა მაჩვენებლების კავშირების ელასტიურობის მიღებული ყველა შეფასებები ეკონომიკისათვის არის ერთიანი“. ე.ი. ავტორს გამოჰყავს ხელფასის განტოლება, ხოლო შემდეგ-სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების განტოლება. ამ დროს სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების განტოლებებში შრომის დანახარჯები იზომება რეალური ხელფასით; დასაქმების შეფასებები გამოიყვანება ხელფასის განტოლებიდან.

ჩვენი შეფასებით, დარგებს შორის განსხვავების უცვლელობის (მუდმივობის) მტკიცება — საკმაოდ სადავოა. განსაკუთრებულად კი ეს ეხება, როგორც ცალკეული რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პერიოდს, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას.

საინტერესო წინადადება რეგიონებს შორის უმუშევართა შრომის ბაზარზე სტრუქტურული შეუსაბამობის შეფასებისას დარგებისა და დასაქმების სახეების შესახებ გვხვდება კ. რიბინსკის ნაშრომში. ამ მიზნით გამოყენება სტრუქტურული შეუსაბამობის ორი ტიპის ინდექსი. პირველი განისაზღვრება ფორმულით

$$MM = 1 / 2 \times \text{VAR}(ui / N), \text{ სადაც}$$

$U_i$  —  $i$  — კატეგორიის მიხედვით უმუშევრობის დონე (რეგიონი, საქმინობის სახეობები და სხვა);

$u$  — უმუშევრობის საერთო დონე, რომელიც განისაზღვრება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით სამუშაო ძალასთან. ეს ინდექსი უჩვენებს „... რეგიონებში უმუშევრობის განაწილების დონეებს საქმინობის სახეების და სქესის მიხედვით. ის საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ სამუშაო ძალის შესახებ, მაგრამ არ იძლევა ინფორმაციას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის შესახებ“.

მეორე ინდექსი განისაზღვრება ფორმულით.

$$MM^1 = 2 \times [1 - \text{SUM}(N_i / N \times (U_i / U - V_i / V)^{1/2})], \text{ სადაც}$$

$V_i$  —  $i$  კატეგორიის მიხედვით ვაკანსიის დონე (რეგიონი, საქმინობის სახე და სხვა);

$V$  — ვაკანსიის საერთო დონე;

$N_i$  — გარკვეული საქმინობის (პროფილის) მქონე სამუშაო ძალა აღებულ რეგიონში და სხვა;

$N$  — საერთო (მთლიანი) სამუშაო ძალა. ეს ინდექსი პირიქით „ახასიათებს სამუშაო ძალაზე როგორც მოთხოვნას, ასევე მიწოდებას, რადგანაც ითვალისწინებს როგორც უმუშევართა რაოდენობას, ასევე ვაკანსიების რაოდენობას. იგი შეიძლება გამოვიყენოთ რეგიონების მიხედვით მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის არათანაბარი განაწილების შესწავლისას“.

ჩვენი აზრით, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო მეთოდიკა, რომელიც აგებულია შრომის ნაყოფიერების ინდექსის დაქვეითების (ზრდის) გამოყენებით ფარული უმუშევრობის განსასაზღვრავად. ლ. მილიაევა ფარული უმუშევრობის მასშტაბების შესაფასებლად გვთავაზობს განესაზღვროთ მიმდინარე წლის შრომის ნაყოფიერების გადახრა ბაზართან შედარებით. გამოთვლები სრულდებოდა ერთ-ერთი რეგიონის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მაგ., 2008 წ. ფარული უმუშევრობის დონე შეადგენდა მთელი დასაქმებული მოსახლეობის 25,2%-ს, 2009 წ. — 7,4%, 2010 წ. — 0,2%. ასეთი დინამიკა ინვეს მრავალ კითხვას, რაც გვაიძულებს ეჭვი შევიტანოთ მეთოდიკის ხარისხიანობაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ავტორი უშვებს შრომის

ბაზარზე სიტუაციის გამარტივებას (2003 წ. უმუშევრობა არ არსებობდა), მაშინ გამოთვლების შედეგები არ შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ შრომის ნაყოფიერება შეიძლება განისაზღვროს არა მხოლოდ ერთი ხერხით. გარდა ამისა, შრომის ნაყოფიერების განსაზღვრისას, ავტორი ეტყობა არ ითვალისწინებს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ზეგავლენას; ბოლო ათწლეულში გაჩნდა პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება ცალკეულ ტექნოლოგიურ პროცესებში ათჯერ და მეტად.

მოვახდინოთ მეთოდიკების მეორე ჯგუფში შედეგების შეჯამება. მათი ღირსებები და ნაკლოვანებები ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. საერთო პრობლემად რჩება ინდექსების გამოთვლის ხერხი, რადგანაც ამა თუ იმ სტატისტიკური ხერხის (მეთოდის) გამოყენებით შეიძლება მიიღო აბსოლუტურად სხვადასხვა შედეგები, კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის არაერთგვაროვნება.

## CREATING THE UNIQUE DESTINATION PROPOSITION ( THE CASE OF POLAND)

**Ph.D. Maria Johann,**  
Warsaw School of Economics  
ru

**Abstract.** The focus on competitiveness is significant at the macro-economic scale as well as the regional, urban and local scales. Nowadays, the interest has grown in the performance of individual regions and cities. The emphasis has been put on the identification of the key determinants of regional and urban competitiveness and the regional policies promoting those determinants. Development of tourism has become an important opportunity to increase the competitiveness of regions. Attracting tourists to a specific destination brings remarkable results and enables local businesses, societies and authorities to create more wealth and prosperity. However, the process of developing a destination brand is complicated and requires a carefully designed strategy as well as suitable operational plans. Additionally, promoting a country brand appears crucial for strategies aimed at creating and increasing regional brand awareness. Thus, all activities leading to the development of a unique value proposition for a specific region need to be synchronized with the national marketing activities directed at creating a country brand.

**Keywords:** destination marketing, destination marketing organization, destination brand, country brand

### **The Competitiveness of Tourism Destinations**

Tourism has emerged as one of the fastest growing industries worldwide influencing the development of other industries, such as: construction, agriculture, transport and others. Tourism's share of global economic output accounts for 11% and 9% of worldwide employment<sup>1</sup>. The increasing importance of tourism and its impact on the social and economic development of regions triggered interest in improving the competitiveness of tourism destinations. Tourism competitiveness might be defined as "the

---

1 United Nations World Tourism Organization, [www.world-tourism.org](http://www.world-tourism.org)



ability of a destination to create, integrate and deliver tourism experiences, including value-added goods and services considered to be important by tourists” (Wei-Chiang Hong, 2008, p. 9). A large number of variables might be used to assess the destination competitiveness. These include objectively measured variables, such as: number of visitors, market share, tourist expenditure, employment, value added by the tourism industry, and subjectively measured variables like richness of culture and heritage and quality of the tourism experience (Dwyer, Kim, 2003).

Thus, tourist destinations such as countries, regions, and cities make efforts and use funds to improve their tourist image and attractiveness. Regions which are attractive as tourist destinations benefit from increasing number of tourists, build their competitive advantage over other regions, and contribute to the economic performance of the region. Region attractiveness refers to attributes which tourists consider as important. Attributes for tourism destinations include natural resources (e.g. climate, landscape), cultural/heritage resources (e.g. history, music, paintings), functional/physical resources (e.g. accommodations, food, transportation) and others (Dwyer, Kim, 2003). Since regions vary in terms of their natural, cultural, historical and functional resources, some of them appear as more attractive than others. However, appropriate tourism management and activities performed by the local authorities and involvement of local businesses and societies can enhance the attractiveness of regions. Additionally, the activities leading to the development of a unique value proposition for a specific region need to be synchronized with the national marketing activities aimed at creating a country brand.

Building and maintaining a strong country brand brings positive effects to all sectors of the economy and is crucial for the enhancement of a country’s position in the global marketplace. Considering the global character of competition, an attractive country brand should be able to attract foreign investments, businesses and skillful workforce as well as support exporters and promote public diplomacy. It must also promote the goals of the tourism industry and strengthen national identity and increase self-respect (Moilanen, Rainisto, 2009). Since nations compete with each other striving to devise sources of competitive advantage (Porter, 1989), managing and controlling national brand has become crucial for the country’s overall success. Country

brand management consists of a variety of tasks including: managing the image, attracting tourists, attracting factories and companies, and seeking new market opportunities. Assessing a brand's image is the first step to designing a country's marketing strategy. Then, it is necessary to position the place's benefits to support an existing image or create new positive associations. The desired image should be communicated to the target audiences. Since tourists have numerous destination choices, a country should be very specific about the benefits it offers and the tourism market should be carefully segmented in order to attract the right consumers. Creating favorable conditions for new factories and business investments requires an understanding of how companies make their site selection choices, and providing accurate and reliable information on specified topics (Morgan et al, 2004). Thus, all activities aimed at building a country brand as well as other branding decisions concerning the regions, cities, and tourist resorts should be integrated and coordinated so that they can increase the destination competitiveness.

### **The Role of Destination Marketing and Destination Marketing Organizations**

Building a place brand is a long-term investment which might bring many positive results, such as the attraction of businesses, investments, skillful workforce, inhabitants and visitors to the target area. However, branding strategy focused on destination development differs from a strategy designed for a single company's products. Since countries, cities and tourist resorts are multidimensional entities, much more complicated and complex than products, the process of developing and sustaining a place brand requires specific marketing solutions. The marketing activities aimed at the place development are referred to as destination marketing, which is defined as "a proactive, strategic, visitor-centered approach to the economic and cultural development of a location, which balances and integrates the interests of visitors, service providers, and the community"<sup>1</sup>. Destination marketing facilitates the achievement of tourism policy which should be coordinated with the regional policy. Typical destination marketing activities involve marketing tools and techniques aimed at the destination development and promotion.

---

**1 Definition suggested by K. Albrecht, endorsed by the Destination Marketing Association International.**

Destination development as well as creating and increasing brand awareness involves many promotional activities. Above the line promotional techniques are focused on the development of the destination brand and include advertising on television, radio, press, and outdoor. Below the line activities include participation in annual tourism and travel fairs and distributing brochures to partners and prospective customers. Among other promotional tools, public relations techniques are used extensively to promote tourism destinations. They include establishing tourism offices in the major markets, generating articles, promotional material, and stories about the destination, hosting journalists and celebrities to generate more interest. New technologies and the Internet allow to coordinate the entire range of products and services offered locally and providing information about them (Buhalis, 2000). Destination marketing activities are generally performed by the destinations marketing organizations along with other entities concerned with tourism and regional development.

Destination marketing organizations (DMO) are business entities - governmental, corporate or non-profit – responsible for planning and marketing of the region. Information and visitor centers promote economic development of a destination focusing mostly on providing information about local suppliers and distributing promotional material. Typically, there are three fundamental levels at which a destination marketing organization functions. At the country level, the organization is usually referred to as the National Tourism Organization responsible for marketing a country as a tourism destination. Other entities with interests in destination tourism development include a government ministry responsible for planning and policy as well as numerous private sector organizations. At the state or provincial level, the organization may be referred to as the State Tourism Office or the Provincial Department of Tourism with overall responsibility for marketing a state, province or territory. At the regional level, the organization is commonly identified as a Convention and Visitor Bureau which is in charge of marketing a concentrated tourism area as a tourism destination (Pike, 2008).

DMOs can adopt different types of corporate governance varying from departments of a single public authority or partnerships of public authorities through public-private partnerships to associations funded by a private sec-

tor partnerships<sup>1</sup>. Each type of governance has its advantages and disadvantages, however, the form of organization lying somewhere between the public and private models seems to be the most favorable for DMOs. Whereas the public sector provides the general framework for tourism development, pursuing long-term approaches with the emphasis put on integration and coordination of all policy components, the private sector appears to be more dynamic in terms of setting the short-term objectives and paying more attention to such issues as sales and customer relationship management. The organizational structure that is adopted has a considerable impact on the DMO funding policy. Membership-based DMOs rely on membership fees while organizations set up by the national or local authorities depend on public sector funding. Hybrid organizations composed of public and private partnerships use both public and private funds (Brent et al, 2003).

The tourism policy formulation process consists of four phases, including the definitional phase, the analytical phase, the operational phase, and the implementation phase. The first phase of policy formulation is focused on the definition of tourism destination system and the explication of a tourism philosophy. Additionally, a destination vision should be developed and destination objectives along with potential constraints should be specified. The analytical phase – as opposed to the first phase, which requires decisions concerning the nature and directions of tourism development in a specified region – is mostly concerned with the collection of information necessary for the internal and external analysis. The internal analysis consists of a review of the existing policies and programs, a resource audit, and a strategic impact analysis. The external analysis is composed of the macro-level analysis, the micro-level analysis and a the review of competitive and supportive tourism development policies. The operational phase starts as soon as the various types of analyses have been carried out. In this phase policy and program recommendations should be formulated and subsequently operational plans should be developed. The last phase involves the implementation of the strategy for the destination development with the emphasis put on the allocation of responsibilities, establishing financial requirements, and providing timetable for programs implementation (Brent et al, 2003).

---

1 United Nations World Tourism Organization, [www.world-tourism.org](http://www.world-tourism.org).

### **Poland: Building a Destination Brand**

In Poland, tourist promotion is the responsibility of the national tourist organization. The Polish Tourist Organization (PTO) was established on June 15, 1999 and is currently one of the 200 national tourist organizations active worldwide to promote their own countries. It is concerned with promoting Poland as an attractive tourist destination both in Poland and abroad, and conducts activities aimed at encouraging foreign visitors to come to Poland and increasing their number. The activities of the organization are financed with the budget grants, non-refundable foreign aid, payment of local government units, and payment of organizations and companies operating in the field of tourism. The PTO has offices in 14 countries responsible for the promotion of Poland as a tourist destination on foreign markets. Basing on the knowledge of the various markets, it is possible to adjust the promotional activities to the specific character of a given target audience. Additionally, by cooperating with the local and regional tourist organizations, PTO undertakes activities aimed at increasing the interest in the Polish cities, regions, and tourist products among Polish and foreign tourists. Its numerous tasks include: organizing the conferences, seminars, and trainings, issuing promotional publications about Poland; developing the Internet tourist information system; performing statistical analysis, marketing expertise and prognostic studies in the field of tourism; and initiating and supporting the organizational measures taken by the competent authorities for the development of tourism infrastructure, tourism products, and their promotion<sup>1</sup>.

The Polish Tourist Organization pursues its long-term promotion policy based on the document entitled Marketing Strategy of Tourism in Poland for the years 2012-2020<sup>2</sup> which is an updated version of the document describing the marketing strategy for the years 2008-2015<sup>3</sup>. Given the changes in the world economy which affected the tourism sector and had a significant impact on international tourism demand, strategic and

---

1 [www.pot.gov.pl](http://www.pot.gov.pl), 25.10.2012.

2 **Polska Organizacja Turystyczna**, *Marketingowa Strategia Polski w sektorze turystyki na lata 2012-2020*, Warszawa 2011.

3 **Polska Organizacja Turystyczna**, *Marketingowa Strategia Polski w sektorze turystyki na lata 2008-2012*, Warszawa 2008.

operational objectives have been revised, however, the vision and mission statements remained the same. According to the described vision "Poland will eventually have an attractive image, in line with reality, contributing to the choice of the country as a tourist destination, an image that has a positive effect on the development of tourism economy". The mission stresses the necessity of "creating and enhancing the image of Poland as a country, which is an attractive and welcoming country, and has competitive high-quality tourism products". PTO has set the strategic objective of improving the competitive position of Poland in the foreign markets and three operational objectives including: meeting the information needs in the field of tourism, marketing support for the development of the tourism product, and increasing the reach of the promotional message on the tourist attractiveness of Poland. The implementation of all measures to achieve those objectives requires cooperation with the regional and local tourist organizations, Polish tourist information centers located abroad as well as with organizations, institutions, and other partners with the interest in tourism development in Poland.

Considering the market attractiveness and the position of Polish tourism in particular markets, priority markets have been distinguished. The most attractive markets with a huge growth potential include: Germany, Great Britain, France, Italy, Denmark, Norway, Sweden, Russia, and Ukraine. However, they differ from the countries featured in the marketing strategy for the years 2008-2015. This demonstrates the dynamic changes in the environment and the necessity to adjust the strategy to changing conditions. Besides priority markets, main target audiences have been portrayed, such as: potential tourists, tourists, journalists, tour operators, agents, tourism products owners, Poles living in Poland and abroad, exchange students visiting Poland, opinion leaders in Poland and abroad, foreign organizations, associations, and others. Depending on the market attractiveness and target audiences characteristics, different marketing strategies have been proposed and suitable marketing tools have been selected to meet the communication objectives.

Promotional efforts are focused on selected products, most of all on urban tourism, which refers to the consumption of city spectacles, such as architecture, monuments and parks as well as cultural amenities including

museums, performances, and restaurants. Additionally, the emphasis is put on promoting business tourism and other types of tourism like recreational tourism, specialized tourism and agritourism which are also popular products in the Polish tourism market. The main idea standing behind promoting tourism products and shaping the image of Poland as an attractive tourism destination is to stress the fact that Poland lies in the heart of Europe on the border between Eastern and Western world. As a consequence, it should keep its original character, not trying to conform to the west, so that it can attract visitors thanks the unique atmosphere of the place. It is also recommended to take advantage of positive stereotypes and encourage Polish people to act as ambassadors of Poland. Elements considered the most important in the communication message include: vitality (energy and youth), culture (modernity and heritage), people (hospitality, beauty, creativity), physical beauty (diversity, regionality), health (cuisine, ecology, nature), cities and well known Polish people. The slogan Polska. Move your Imagination is going to be used to promote Poland in the coming years.

The promotional tools which are most frequently used to create the image of Poland as an attractive tourism destination include: study tours, e-marketing, social media, PR, viral marketing, and workshops. Additionally, ATL and BTL communications is used to build a desired image, as well as direct marketing, events, fairs, publications, and other promotional materials. Study tours are organized for journalists, tour operators, and VIPs to present to them the country with all the tourism opportunities. E-marketing, social media and viral marketing are used to spread information and knowledge about Poland, whereas the participation in international tourism fairs is an opportunity to present the tourism offer more directly, distribute promotional material, and develop relationships with important partners. Events, such as the 200th Birthday Anniversary of Frederic Chopin in 2010, the EU Leadership by Poland in 2011, the European Football Championships in Poland and Ukraine in 2012, are used to promote Poland at home and abroad. Promotional campaigns based on ATL and BTL communications are aimed at building a destination brand Poland and increasing the number of both visitors coming to Poland and domestic trips.

### Summary

Tourism, as one of the fastest growing industries worldwide, creates opportunities to increase competitiveness of regions. Regions which are attractive as tourist destinations attract more tourists which results in the better economic performance of the region. For this reason tourism policy involving destination marketing should be developed and coordinated with regional policy. Destination marketing organizations should develop strategies aimed at the development and promotion of a specific destination in order to increase the number of visitors. They might use a number of marketing tools including primarily promotional activities to create and increase brand awareness of a particular place.

Strategies formulated at the regional level need to be synchronized and coordinated with the national strategy aimed at promoting Poland as an attractive tourist destination. Polish Tourist Organization conducts the activities directed at increasing the number of visitors coming to Poland and stimulating tourist demand within the country. The organization pursues its long-term promotion policy based on the document entitled Marketing Strategy of Tourism in Poland for the years 2012-2020. The document contains information on trends in tourism sector, detailed analysis of competitors, description of target markets, as well as the vision and mission statement, strategic and operational objectives and promotional programs necessary to build the desired image.

According to the main idea of the communications strategy, Poland as a tourist attraction would represent a set of values, including: vitality (energy and youth), culture (modernity and heritage), people (hospitality, beauty, creativity), physical beauty (diversity, regionality), health (cuisine, ecology, nature), cities and well known Poles. The slogan Polska. Move your Imagination is going to be used to promote Poland in the coming years. Creating and developing a country brand as an attractive tourism destination requires carefully designed promotional programs and application of diversified communications tools, such as: events, fairs, study tours, e-marketing, social media along with ATL and BTL campaigns. Besides its positive impact on the tourism sector, building and maintaining a strong country brand is expected to positively influence other sectors of the economy and enhance a country's position in the global marketplace.



However, developing a country brand as a tourism destination should be coordinated with the activities undertaken by other organizations and institutions aimed at creating a strong country brand. All those actions have not been synchronized so far, so that there is a risk that various images of Poland coexist at the same time, instead of one clear and consistent image. Thus, all efforts to promote Poland as a competitive and attractive country should be coordinated by one institution with the responsibility to develop a national brand, which would cause positive connotations with Poland, Polish people, and products of Polish origins. This institution should also assure efficient flow of information, so that all parties involved in creating a brand image have an access to information on undertaken activities.

### **BIBLIOGRAPHY**

Brent J.R. Ritchie, Crouch G.I., (2003), *The Competitive Destination. A Sustainable Tourism Perspective*, CABI Publishing, UK.

Buhalis D., (2000), *Marketing the Competitive Destination of the Future*, *Tourism Management*, 21.

Dwyer L., Kim Ch., (2003), *Destination Competitiveness: Determinants and Indicators*, *Current Issues in Tourism*, volume 6, No 5.

*Marketingowa Strategia Polski w sektorze turystyki na lata 2008-2012*, (2008), Polska Organizacja Turystyczna, Warszawa.

*Marketingowa Strategia Polski w sektorze turystyki na lata 2012-2020*, (2011), Polska Organizacja Turystyczna, Warszawa.

Moilanen T., Rainisto S., *How to Brand Nations, Cities and Destinations. A Planning Book for Place Branding*, (2009), Great Britain, Palgrave and Macmillan.

Morgan N., Pritchard A., Pride R., (2004), *Destination Branding: Creating the Unique Destination Proposition*, Elsevier Butterworth-Heinemann.

Pike S., (2008), *Destination Marketing. An Integrated Marketing Communication Approach*, Elsevier Inc.

Porter M., (1989), *The Competitive Advantage of Nations*, New York: Simon & Schuster Trade, 1989.

Wei-Chiang Hong, (2008), *Competitiveness in the Tourism Sector*, Physica-Verlag, Heildelberg.

[www.pot.gov.pl](http://www.pot.gov.pl)

[www.world-tourism.org](http://www.world-tourism.org)



**ბიზნესი, მენეჯმენტი,  
მარკეტინგი**



**მმართველობითი აღრიცხვა და  
მისი პირითაღი პრინციპები**

**ზურაბ ვაშაკიძე**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

**ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

**რამაზ შაყულაშვილი**

ემდ, თბილისის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ქვეყნის დამოუკიდებლობამ, ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ემყარება ბრიტანულ-ამერიკულ ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებულ პრინციპებს, რომელიც აღიარებულია მონინავე ქვეყნების მიერ.

მმართველობითი აღრიცხვისთვის არსებობს ინფორმაციის მრავალი შიდა წყარო, სააღრიცხვო სისტემის საზღვრები ყოველთვის არ არის განსაზღვრული, განსაკუთრებით კი მმართველობით აღრიცხვაში. იგი ემყარება კონცეფციებს, რომლებიც წარმოადგენენ რეკომენდაციებისა და მეთოდების ერთიანობას, რომლის საშუალებითაც დგინდება სამეურნეო საშუალებების და მათი წარმოშობის წყაროების, აქტივებისა და პასივების, ანუ ვალდებულებების, მათი შეფასების კრიტერიუმების, საწარმოო პროცესებში განეული დანახარჯებისა და მის შედეგად მიღებული შემოსავლების, საფინანსო შედეგების, მათი განსაზღვრის მეთოდების

და ხერხების ერთობლიობა ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზისა და ინსტრუქციების საფუძველზე.

მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი ფუნქციონირების პრინციპია მმართველ აპარატს მიაწოდოს ინფორმაცია, როგორც ნატურალური, ასევე ფულადი საზომი ერთეულებით დროში უწყვეტად, ყოველი სამეურნეო საშუალების მოძრაობა სანარმოო პროცესებში, აგრეთვე საგარეო ურთიერთობის დროს წარმოშობილი ვალდებულებები და მოთხოვნები განიხილოს ორმხრივად, ორმაგი ჩანერის პრინციპის გამოყენებით. მოახდინოს წარმოებულ პროდუქციაზე განეული დანახარჯების აღრიცხვა, ერთეული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება, რაც, თავის მხრივ, საფუძველს წარმოადგენს ფასწარმოქმნისათვის, რის შედეგადაც ხდება საფინანსო შედეგების განსაზღვრა.

მმართველობით აღრიცხვის საშუალებით ხდება სანარმოოში არსებული სანარმოო სიმძლავრეების არსებობის, მიღების და გასვლის ოპერაციების აღრიცხვა, არსებული უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით მიღებისა და გადაცემის ოპერაციები, ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების გადაფასება, რაც ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს სანარმოს სიმძლავრეების ღირებულებით ფორმაში მოსაყვანად. იჯარის ცნებისა და მისი გამოყენების დროს აუცილებელია ფულის დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრა და მისი გამოყენება, აგრეთვე საფინანსო და ოპერატიული იჯარის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მთავარი მიზანია ბიზნეს-გეგმის მიხედვით წარმოების უზრუნველყოფა სანარმოო სიმძლავრეებით, ხომ არ არის ჭარბი ან ტექნოლოგიური ციკლისთვის არა საჭირო ძირითადი საშუალებები, ე.ი. დაუტვირთავი სანარმოო სიმძლავრეები, რომლის ცვეთა და ქონების გადასახადი ხელოვნურად გააძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას და უარყოფითად იმოქმედებს სანარმოოს შედეგებზე.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა მმართველ აპარატს აწვდის ინფორმაციას თუ როგორ არის უზრუნველყოფილი წარმოება აუცილებელი სანარმო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციით, როგორებიცაა პატენტები, ლიცენზიები, სავტორო უფლებები,

სავაჭრო მარკა, გუდვილი ანუ საფირმო ფასი, ნოუ-ჰაუ ანუ ინტელექტუალური საკუთრება, კომპიუტერული პროგრამები და ა.შ.. აღნიშნული ინფორმაციის დახმარებით აუცილებელია მენეჯმენტის განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ბიზნეს-გეგმიდან გამომდინარე წარმოებაში არსებული არამატერიალური საშუალებები აკმაყოფილებს თუ არა წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას, ხომ არ არის ქარბი არამატერიალური აქტივები, ვინაიდან წარმოების დანახარჯებში ჩაირთვება.

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოებაში მიღებული იქნეს სხვადასხვა გზით. შექენა-წარმოების საკუთარი ძალებით, საწარმოს წილობრივი მონაწილეობით, საწარმოთა გაერთიანებაში განვერიანების გზით და ა.შ.. არამატერიალური აქტივი შეიძლება გაიცვალოს აქციებზე ან სხვა ფასიან ქალაქებზე.

არამატერიალური აქტივების სანყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს დამატებული მოსაკრებელი და გადასახადები. არამატერიალური აქტივები შეიძლება მიღებული იქნეს „ბარტერის“ სხვა აქტივებზე გაცვლის შედეგად, რომლის დროსაც შეფასდება აქტივების საბალანსო ღირებულებით. საწარმო შეიძლება ეწოდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომელიც ხორციელდება ახალი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის და თუ მისგან მაშინვე არ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, არამედ მიიღებს მომავალში, ასეთ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე განეული დანახარჯები არ კაპიტალიზირდება და არ ხდება აქტივების აღიარება, არამედ, იგი მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მიეკუთვნება: კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო აღმოჩენების გამოყენების, მასალების და მოწყობილობების გამოყენების ალტერნატიული გზების ძიება, დიზაინის შერჩევა, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და ა.შ..

არამატერიალური აქტივი არის გრძელვადიანი. მასში განითვლება მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი, ანუ მისი გამოყენებით საწარმო ღებულობს შემოსავალს, რის გამოც იგი უნდა ჩაერთოს დანახარჯებში ამორტიზაციის სახით, მისი ამორ-

ტიზაციის თანხა უნდა განისაზღვროს ფორმულით, თავდაპირველ ღირებულებას მინუს სალიკვიდაციო ხარჯები და შეფარდებული მომსახურების ვადაზე. ზოგიერთი აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის მომსახურების ვადა არ არის დაკონკრეტებული, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს.

ამორტიზებულ აქტივებზე შეიძლება აღრიცხვა მოხდეს აგრეთვე სხვადასხვა მეთოდით. ესენია: წრფივი, შემცირებული და ნაშთის მეთოდით. ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საიმედოდ არის განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება დროში. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მოხმარება დროში საიმედოდ ვერ განისაზღვრება, სასურველია გამოყენებულ იქნეს ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი.

როგორც ვიცით, ამორტიზაციის მორიგი დარიცხვით მცირდება აქტივების ღირებულება და ნარჩენი ღირებულებიდან საწარმოები იხდიან ქონების გადასახადს. აქედან გამომდინარე, ჩვენს საწარმოებს არ აქვთ ის ფუფუნება, რომ მათ თვითონ აირჩიონ ამორტიზაციის დარიცხვის მათთვის სასურველი მეთოდი, რაც უზრუნველყოფს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ამორტიზაციის ნორმებს ჩვენს ქვეყანაში არეგულირებს საგადასახადო კოდექსი.

არამატერიალური აქტივები სიძველის გამო, თუ ვერ მოასწრო ამორტიზირება, შეიძლება ჩამოინეროს, გაიცვალოს, გაიყიდოს, რომლის დროსაც უნდა ჩატარდეს ტესტირება აქტივის გაუფასურებაზე და ზარალის ანაზღაურება.

მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია იჯარის აღრიცხვა, რომლის დროსაც ხდება მიეჯარის მიერ შემოსვლის მიღების მიზნით აქტივის გადაცემა მოიჯარეზე გარკვეული სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ და ოპერაციულ იჯარად.

რისკის ქვეშ იგულისხმება აქტივების გამოუყენებლობის ან მორალური ცვეთის გამო ზარალის მიღების შესაძლებლობა. ეკონომიკური სარგებელი გულისხმობს აქტივების გამოყენებას მომგებიან

საქმიანობაში, აგრეთვე აქტივების გაძვირებისა და მათი რეალიზაციის შემთხვევაში.

საიჯარო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს იჯარის დანყება-დამთავრების ვადებს, აქტივების ფასებს და მის მოსალოდნელ ცვლილებებს, სასარგებლო მომსახურების ვადას, მინიმალურ საიჯარო გადასახადებს, მიმდინარე დისკონტირებულ ღირებულებას და რეალურ ღირებულებას.

ფულის დროითი ღირებულება დამოკიდებულია მის მიერ მოტანილ შემოსავალზე, რომელსაც ეწოდება საპროცენტო განაკვეთი ან მოგების განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია ფულის დაბანდების ინვესტირების რისკის დონეზე. რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს, მოგების ნორმას ითხოვს ინვესტორი.

ინვესტიცია კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკურ საქმიანობაში, მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. იგი უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ფულით (ფინანსური ინვესტიცია) - მატერიალური სამეურნეო საშუალებები, მინა, თეზაურვაცია (ოქროს დამუშავება-შენახვა განძის სახით).

ინვესტიციის სწორი ბუღალტრული აღრიცხვა დამოკიდებულია ინვესტიციების შინაარსზე, კლასიფიკაციაზე და მისი შეფასება-გადაფასების სწორ განხორციელებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი აქტივების შემოსავლების გასაზრდელად (პროცენტი, როიალტი, დივიდენდი და საიჯარო ქირა), საკუთარი კაპიტალის გასადიდებლად. ინვესტიციის ჩამდები საწარმოსთვის ინვესტიცია შეიძლება იყოს მოკლევადიანი, გრძელვადიანი. ინვესტიციების შემადგენლობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ფასიან ქაღალდებს, რომლის გამოშვებაც ქონების ერთ-ერთი ყველაზე ლიკვიდური ნაწილია, რადგან მათ უნარი აქვთ საკმაოდ იცვალონ სახე არა მხოლოდ ნივთობრივ-მატერიალურ, არამედ ფულად ფორმაშიც.

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: აქციები, ობლიგაციები, შემნახველი და სადეპოზიტო სერთიფიკატები, ოფციონები, ფიუჩერ-

სები, ვაუჩერული კონტრაქტები, სახაზინო ვალდებულებები და ა.შ..

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეიძლება გამოვიდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები, აგრეთვე საზღვარგარეთის სახელმწიფოები და მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები. ინვესტიციის მოცულობიდან გამომდინარე, ინვესტორი იძენს ინვესტირებული საწარმოს კონტროლის უფლებებს, საწარმოზე ზეგავლენის განხორციელების სახით. ინვესტორი ყოველთვის დგას სერიოზული რისკის წინაშე, რადგან არ არსებობს არცერთი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ერთდროულად გააჩნდეს ინვესტიციის ყველა თვისება-უსაფრთხოება, შემოსავლების სტაბილურობა, დაბანდების ზრდა და ლიკვიდურობა. ინვესტიცია შეიძლება იყოს დაბალშემოსავლიანი, მაგრამ საიმედო. ინვესტიციების თვისებების შეთანხმება მიიღწევა მათი დივერსიფიკაციის გზით, რაც გულისხმობს კაპიტალის გადანაწილებას სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების პორტფელში.

ბულალტრულ აღრიცხვაში ინვესტიციების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმაში გამოყოფილია შემდეგი ანგარიშები: №1310 — „მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“; №1320 — „მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“; №1330 — „გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი“; №1390 — „სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები“ და ა.შ..

ინვესტიციების ბულალტრული აღრიცხვის დროს მნიშვნელოვანია მათი შეფასების მეთოდების სწორი შერჩევა, რაც გარკვეულწილად დამოკიდებულია ინვესტიციის ტიპზე, ინვესტორის მიერ მოპოვებული უფლების დონეზე, ინვესტიციის მიზანზე და ა.შ..

ინვესტიციები, რომლებიც კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად, ბალანსში ასახული უნდა იყოს საბაზრო ღირებულების ან ინვესტიციის თვითღირებულებით.

ინვესტიციის საბაზრო ღირებულება არის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელია მოცემული ინვესტიციის აქტიურ ბაზარზე გაყიდვით.

ინვესტიციების თვითღირებულება არის თანხა, რომელიც სა-

ბაზრო ღირებულების შექმნის თარიღიდან ემატება მის განთავსებაზე განუთქმობი ოპერაციებზე განუთქმობი დანახარჯები: ბროკერის გასამრჯელო საკომისიო ბანკის მომსახურებაზე, ჰონორარის, ბაჟი და ა.შ.. ინვესტიციების თვითღირებულებაზე მოქმედებს აგრეთვე შემდეგი ფაქტორები: ფასიანი ქაღალდების რეალური და ნომინალური ღირებულება, თუ შესაძლებელია აქტივების გაცვლით, აქტივების რეალური ღირებულება, ფასიანი ქაღალდების შექმნისა და გამოსყიდვის ღირებულება და სხვა უამრავი ფაქტორი. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება უნდა განისაზღვროს: ინდივიდუალურად თითოეული მუხლის მიხედვით, კატეგორიების მიხედვით და მთლიანი პორტფელის საერთო თანხით.

ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, ბიზნეს-გეგმიდან გამომდინარე სანარმოს უნდა გააჩნდეს სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რამაც უნდა უზრუნველყოს ტექნოლოგიური ციკლის განხორციელება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა სანარმოს შეიძლება, ერთი მხრივ, ჰქონდეს სანარმოო მარაგის სახით ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა არის მატერიალური აქტივი და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლების მისაღებად. გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა მოიცავს იმ შექმნილ საქონელს, რომელიც იხმარება ხელმეორედ გაყიდვის მიზნით, განსაკუთრებით აღნიშნული ეხება საცალო ვაჭრობის ქსელში შექმნილ საქონელს. გამომდინარე აქედან, სასაქონლო-მატერიალური საშუალებები შეიძლება დავეყოს სასაქონლო მარაგად და სანარმოო მარაგად.

სასაქონლო მარაგს მიეკუთვნება ყველა მოკლევადიანი და გრძელევადიანი აქტივი, რომელიც შექმნილია შემდგომი გაყიდვისათვის ფიზიკური ფორმის არსებითი ცვლილების გარეშე. მაგრამ, ზოგჯერ, მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეიძლება მოხდეს საქონლის დაკომპლექტება. სასაქონლო მარაგი შეიძლება იმყოფებოდეს სავაჭრო დარბაზში, სანაყობში, გზაში, რომელიც სანარმოს საკუთრებაა და მიეკუთვნება საბრუნავ საშუალებებს და იგი უახლოეს მომავალში უნდა გარდაიქმნას ფულად საშუალებად.



მასალები წარმოადგენს მზა პროდუქციის ნივთიერ საფუძველს, რომელიც წარმოების პროცესში ერთჯერადად მოიხმარება. მასალები მისი გამოყენების წესისა და დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება: ნედლეული და ძირითადი მასალები, ნაყიდი, ნახევარფაბრიკატები, დამხმარე მასალები, სათბობი, სათადარიგო ნაწილები, ტარა, ნარჩენები.

დაუმთავრებელი წარმოება ისეთი მატერიალური ფასეულობაა, რომელსაც გარკვეული მომენტისათვის არ აქვს გავლილი ტექნოლოგიური ციკლით გათვალისწინებული ყველა სტადია და არ არის მიღებული ტექნიკური კონტროლის ან შემკვეთის მიერ.

მზა პროდუქცია ისეთი ფასეულობაა, რომელმაც გაიარა ტექნოლოგიური ციკლით გათვალისწინებული ყველა სტადია და აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიღებული ტექნიკური კონტროლის მიერ და გამზადებულია სარეალიზაციოდ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფასდება- შექმნის ღირებულებას დამატებული სატრანსპორტო ხარჯები და გადასახადები, უკან დაბრუნებული დღგ-ს გამოკლებით. თუ მარაგი იმპორტის გზითა შექმნილი, მაშინ შექმნის ღირებულებაში შეიტანება საბაჟო გადასახადი და განბაჟებისათვის დაკავშირებული სხვა ხარჯები.

საწარმოები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს ამყარებენ საგარეო ურთიერთობებს სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და პირებთან. განსაკუთრებით მომარაგების და რეალიზაციის პროცესების განხორციელების დროს ნებისმიერი საგარეო ურთიერთობები ფორმდება კონტრაქტით, რომელშიც გათვალისწინებულია პროდუქციის მიწოდება, გასანევი მომსახურება, ნედლეულით მომარაგება და ა.შ. რაც, თავის მხრივ, წარმოშობს საანგარიშსწორებო ურთიერთობებს, ალებ-მიცემობას, რომელიც განსაკუთრებულ ხასიათს იღებს კრედიტის მიღების ან გაცემის დროს, საქონლის ნისიად გაყიდვის, მუშაკთა დაქირავების, ჩვეულებისამებრ გადასახადების დეკლარირების და სხვა სამეურნეო პროცესების განხორციელების დროს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ეკუთვნის თანხები, წარმოიშვება მოთხოვნები და

თუ საწარმოდან მუშა-მოსამსახურეებს ეკუთვნით ხელფასი, საგადასახადო ვალდებულებები, ბანკის კრედიტი და ა.შ., წარმოიშვება როგორც მოთხოვნები, ასევე ვალდებულებები. შეიძლება იყოს მიმდინარე ერთი საანგარიშო პერიოდის მიხედვით მოკლევადიანი და თუ ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტ ხანს გრძელდება, მისი დაფარვის ვადა, მაშინ იგი არის გრძელვადიანი მოთხოვნა ან ვალდებულება.

ფულადი სახსრების აღრიცხვის ძირითადი მიზანია მათი მოძრაობის სწორი და დროული ასახვა სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, სალაროში ნაღდი ფულის ოპერაციული კონტროლი სალაროს ლიმიტის დაცვა. ფულადი სახსრების მიზნობრივი დანიშნულების გამოყენების კონტროლი ბანკის ამონაწერების და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობაში მოყვანა. ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების შეფასება და აღიარება. ბანკის ოვერდრაფტი გამოირიცხება ფულადი სახსრების შემადგენლობიდან და აისახება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს წარმოიშვება მოთხოვნები გარკვეული რაოდენობის ნაღდ ფულზე, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორება ან პირიქით. რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი მოთხოვნები უნდა დაიფაროს ოპრატიულად, ნაღდი ფულის საშუალებით. სალაროს მეურნეობას ახორციელებს და აკონტროლებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო სალაროს ოპერაციებს ასრულებს მოლარე-ოპერატორი სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერების საშუალებით, რომლებიც მისთვის განკარგულებით დოკუმენტს წარმოადგენს.

მოლარის მიერ განხორციელებული სალაროს ოპერაციები რეგისტრირდება სალაროს წიგნში. ანგარიშთა გეგმის მიხედვით „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ № 1110 ანგარიშზე აღირიცხება, ხოლო „ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში“ № 1120 ანგარიშზე.

ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება ძირითადად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკების მეშვეობით. უნაღდო ანგარიშსწორების დროს შეიძლება გამოვიყენოთ საგადასახადო დავალება, აკრედიტივი, ჩეკი, საკასო დავა-

ლება. საგადასახადო დავალება წარმოადგენს ბანკში ანგარიშის მფლობელის წერილობით განკარგულებას ფულადი სახსრების გადარიცხაზე. აკრედიტივი გამოიყენება მომწოდებლებთან ანგარიშსწორების დაჩქარების მიზნით. ჩეკებით ანგარიშსწორება ხდება დაჯავშნული თანხების უპირობო გადახდის ან ნაღდი ფულის გამოტანის შემთხვევაში.

საინკასო დავალებით ხორციელდება დადგენილ ვადებში გადაუხდეელი გადასახადების და გადასახდელების უდავო წესით გადახდევინებისათვის, რომლიც შეიძლება მოხდეს სასამართლოს ან შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბიზნესის დაწყებას ესაჭიროება შესაბამისი აქტივები, რომლიც შეიძლება იყოს ფულადი ან არაფულადი ფორმით, მენარმის რეგისტრაციის პირველ დღეს, რის საფუძველზეც ფუძნდება ესა თუ ის საწარმო. არსებული კაპიტალის აქტივებს ზოგადად წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი, ანდა საწარმოს ყველა ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი აქტივების ნაწილი არის საკუთარ კაპიტალი.

საკუთარი კაპიტალის წარმოების პროცესში შეიძლება გაიზარდოს ავანსირებული კაპიტალით, აქციების გამოშვებით და რეალიზაციით, საემისიო კაპიტალით, რეინვესტირებული კაპიტალით, მატერიალური ფასეულობის მოგებით, მოგებიდან შექმნილი რეზერვებით, მატერიალური ფასეულობის გადაფასების რეზერვით ფასისმატების დროს და ა.შ..

კაპიტალის ერთ-ერთ ფორმას აქციონერული კაპიტალი, რომელსაც გააჩნია მფლობელთა დიდი რიცხვი აქციონერების სახით. სააქციო საზოგადოება წარმოადგენს შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის საზოგადოებას. იგი პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე, მთელი თავისი ქონებით. კორპორაციის მფლობელებს ეწოდებათ აქციონერები. მათი ერთ-ერთი მოვალეობაა გადაიხადონ თანხა აქციების მისაღებად, რის საფუძველზეც ისინი იღებენ დივიდენდებს. აქციონერთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც განაგებს კორპორაციის საფინანსო-სამეურნეო პოლიტიკას, ხოლო ამ პოლიტიკის განსახორციელებლად

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს. სამეურნეო-საფინანსო პოლიტიკის აღსასრულებლად კორპორაცია საკუთარ კაპიტალს ზრდის აქციების ემისიით. მისი სანესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ღირებულების მქონე აქციებად. აქცია წარმოადგენს საბუთს, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის მიმართ და აქციონერის უფლებას კაპიტალზე.

ამრიგად, მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი პრინციპი და ამოცანაა მმართველი აპარატის ინფორმაციით უზრუნველყოფა წარმოების რეგისტრაციის პირველი დღიდან მის ლიკვიდაციამდე. მენეჯერულ აღრიცხვაში საწარმოს მატერიალური და არამატერიალური აქტივების, საწარმოო პროცესების მართვა-კონტროლს, თვითღირებულების გაანგარიშებას, ზედნადები ხარჯების გადანაწილებას, ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემუშავებას, რეალიზაციის პროცესების, მიღებული ფინანსური შედეგების, მოგების განაწილების ან ზარალის დაფარვის, კაპიტალის ფორმირების, ინვესტიციებისა და რეინვესტირების დონის ამაღლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირია და დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის განვითარებასა და წინსვლაში.

მმართველობითი აღრიცხვა უზრუნველყოფს მმართველ აპარატს ჩამოთვლილი პროცესების შესახებ ინფორმაციით, როგორც ნატურალური, ასევე ფულად საზომი ერთეულებით, როგორც ანალიზურად, ასევე სინთეზურად გაერთიანებული მაჩვენებლებით.

**გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში  
მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემა**

**გორა ქუბაბრია**  
სტუ დოქტორანტი

ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესმა მრავალი ასპექტი მოიცვა, რომელთა შესწავლის გაადვილების მიზნით უპრიანია ისინი პრობლემების სამ ძირითად ჯგუფად გაავერთიანოთ:

- ✓ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ის მიმართულებები, რომლებიც გლობალიზაციის გაღრმავებას განაპირობებენ;
- ✓ გლობალური ეკონომიკის საბაზრო რეგულირების ხალი ფორმები და ამ რეგულირების მთავარი აქტორების საქმიანობა;
- ✓ გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი შედეგები, რომლებიც კონკურენციის გამწვავებით, ეკონომიკურ დინამიკაზე ზემოქმედებით და თანამედროვე მსოფლიოში წარმართული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებითაა გამოხატული.

საგულისხმოა, რომ გლობალიზაციის ობიექტურ პროცესს არც თუ იშვიათად ურევენ განვითარებული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი - აშშ-ის მხრიდან გატარებულ გლობალიზაციურ პოლიტიკაში, რომლებიც გლობალურ სამეურნეო კავშირურთიერთობებში ნეოლიბერალურ მოდელს იყენებენ (საბაზრო ურთიერთობათა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე). ამ პოლიტიკას მრავალი ქვეყანა დღეს აქტიურად უპირისპირებს რეგიონალიზაციის პროცესს, რითაც ერთგვარად არბილებს გლობალიზაციის საშიშ ელემენტებს.

გლობალიზაცია, მართალია, დადებით როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ თავიდან ვერ გვაცილებს ციკლურ კრიზისებს. ამასთან, ბაზარი, რომელიც თანამედროვე გლობალურ ეკონომიკას უდევს საფუძვლად, ვერ უზრუნველყოფს მის ჰარმონიულად განვითარებას. ამის გამო აუცილებელი ხდება გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის კორექტირება როგორც ეროვნული სახელმწიფოების, ისე მათი ალიანსებისა თუ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური სტრუქტურების მხრიდან. ამგვარი მართვა-რეგულირების გარეშე გარდაუვალია ეკონომ-

იკური და სოციალური პრობლემების კიდევ უფრო გამწვავება და თვით გლობალური მასშტაბის კატასტროფაც კი. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში თითქმის ამ 25 წლის წინ მომზადებულ მოხსენებაში „განვითარების ადამიანისეული ასპექტი - 1989“ უკვე საზგასმით იყო მითითებული ის, რომ გლობალიზებადი სამყარო ახალ ინსტიტუტებს საჭიროებს იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელთა გადაჭრაც ქვეყნებს ცალ-ცალკე არ ძალუძთ. მოხსენებაში შემოთავაზებული იყო ეკონომიკური უსაფრთხოების საბჭოს ჩამოყალიბება გაეროს ფარგლებში, საფინანსო-სავალუტო ურთიერთობათა გლობალური მენეჯმენტის მონყობა, თავისუფალი საინვესტიციო რესურსების გადატყორცნის ხელშემწყობი საბანკო ინსტიტუტის შექმნა და სხვა. ამ იდეების ხორცშესხმამ გარკვეული სარგებლობა მოუტანა გლობალურ ეკონომიკას, თუმცა, დროთა განმავლობაში სირთულეებმაც იჩინეს თავი.

ექსპერტები ხშირად საუბრობენ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების მარეგულირებელი როლის ამალღების საჭიროებაზე, რასაც, მათი აზრით, აფერხებს ამ საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის მექანიზმების არასაკმარისი ეფექტიანობა, განსაკუთრებით - გადანყვეტილებათა მიღებისა და შესრულების თვალსაზრისით. ამ მექანიზმის სისუსტე, ვფიქრობ, კიდევ უფრო აშკარად ვლინდება კრიზისული ეკონომიკური პროცესების გაღრმავების პერიოდებში. როგორც ცნობილია, ხსენებული სტრუქტურების საქმიანობის სერიოზული ჩავარდნა და ფინანსური წესრიგის მოშლა საქვეყნოდ აღიარეს „დიდი ოცეულის“ ლონდონის სამიტზე, სადაც ხმამაღლა ითქვა, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის არსებული მენეჯმენტი ხშირად ინვევდა არაღიდერი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. [1].

გლობალური ეკონომიკის მენეჯმენტის ეფექტიანობის დონე თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომლის მოგვარებაც მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად გვესახება. მომავალ პერიოდში ამის რამდენიმე ვარიანტი შეგვიძლია ვივარაუდოთ:

1. სხვადასხვა კონფიგურაციის (შემადგენლობის) მქონე პარალელური სტრუქტურების შექმნა. ამგვარი რამ დამახასიათებელი

ხდება რეგიონული სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებებისათვის. როცა უკვე არსებული გაერთიანების ეფექტიანობა სერიოზულ ეჭვებს ბადებს, მის გვერდით სხვა გაერთიანებას ქმნიან ხოლმე. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმოქმნა დსთ-ის პარალელურად იმ იმედით, რომ რამდენადმე განსხვავებული ქვეყნების შემადგენლობით მოქმედი ეს დაჯგუფება უფრო წარმატებით გაართმევს თავს ეკონომიკური თანამშრომლობის სირთულეებს. ამ შემთხვევაში პრაქტიკამ უნდა გამოავლინოს, თუ მათ შორის რომელი ინტეგრაციული გაერთიანება აღმოჩნდება უფრო სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი. ასეთი ვითარება ადრეც შეიქმნა, ოღონდ დასავლეთ ევროპაში, როცა ერთ მხარეს ევროპის თანამეგობრობა აღმოცენდა, მეორე ჯგუფის ქვეყნებმა კი მის გვერდით ინტეგრაციის უფრო რბილი ვარიანტი აირჩიეს და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ჩამოაყალიბეს. როგორც ცნობილია, შემდგომში ამ ასოციაციის წევრთა უმრავლესობა ევროპულ თანამეგობრობას შეუერთდა, რომელიც ევროპაში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის უფრო წარმატებული და სიცოცხლისუნარიანი ფორმა გამოდგა.

ამავე ტიპის სხვა მაგალითია (ოღონდ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სფეროდან) საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და „ოცთა ჯგუფის“ გვერდიგვერდ საქმიანობა, რაშიც ნამდვილად შეინიშნება ფუნქციების დუბლირება. როგორც ცნობილია, სსფ-ში 185-მდე ქვეყანაა გაერთიანებული, რის გამოც მას საგრძნობლად უძნელდება სწრაფ ცვლილებებზე ოპერატიულად რეაგირება გაცილებით კომპაქტურ და ნაკლებად ფორმალისტულ ოცეულთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ „ოცთა ჯგუფი“ მოქმედებს როგორც „დიდ რვიანთან“ არსებული სტრუქტურა, რომელიც ბოლო ხანს გართულებული ეკონომიკური პროცესების დარეგულირების გაცილებით უფრო ეფექტიანი და ოპერატიული ინსტრუმენტი გამოდგა, ვიდრე არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია. თვითონ „რვიანიც“, თავის მხრივ, ბევრ რამეში გაეროს სტრუქტურის პარალელურია. მისი საზრუნავი ხშირად იმეორებს გაეროს უშიშროების საბჭოზე განსახილველად

გამოტანილი პრობლემების გლობალურ ჩამონათვალს, თუმცა, „რვიანის“ ჯგუფის უპირატესობად იქცა მისი არაფორმალური სტატუსი და ის სტრუქტურა, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში მსოფლიო მეურნეობის მართვის პრობლემის ოპერატიულად და ეფექტიანად გადაჭრის შესაძლებლობას აძლევდა მას.

საზოგადოდ, არაფორმალური გაერთიანებები და საერთაშორისო ფორუმები აუამად ისეთ მნიშვნელოვან დამატებით ინსტრუმენტებადაა გადაქცეული, რომელთა მეშვეობითაც აქტუალური მოვლენებისა და პრობლემების საქმის კურსში იმყოფება მსოფლიო საზოგადოებრიობა და ამ ნიადაგზე ახერხებს საერთაშორისო პროცესების მენეჯმენტის დონის ამაღლებას. ამის ტიპიური მაგალითია დავოსის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, რომელზეც არა მარტო პრობლემებს განიხილავენ, არამედ მათი გადაჭრის მიმართ ერთობლივ მიდგომებსაც გამოიმუშავენ. ერთ-ერთი ასეთი მიდგომა საჭიროდ მიიჩნევა ისეთ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას, რომლებიც შესაძლებელს გახდის გლობალიზაციის დემოკრატიულად მართვას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას საერთაშორისო სისტემის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სფეროებში[2].

2. გლობალური ეკონომიკური სისტემის მენეჯმენტის დონის ამაღლებას კიდევ ერთი საგულისხმო რესურსი აქვს. ესაა ყველაზე უფრო საჭირობოროტო საკითხების მოგვარებაში „განსხვავებულ სიჩქარეთა“ მეთოდის გამოყენება ზოგიერთი საერთაშორისო სტრუქტურის ჩარჩოებში, რომელიც ნაცადი მეთოდია ევროპული ინტეგრაციის პრაქტიკაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ გადანაცვლებების მომხრე ქვეყნები სხვა ქვეყნების აზრის მიუხედავადაც გამოიყენებენ მათ, ხოლო სხვა ქვეყნებს მიეცემა რომელიმე პროგრამაში მოგვიანებით ჩართვის უფლება. ამგვარი ვითარება უცხო და იშვიათი არაა ევროპისთვის, რისი ერთ-ერთი ნიმუშიცაა ევროპის სავალუტო კავშირი.

„განსხვავებულ სიჩქარეთა“ მეთოდის საყურადღებო პრინციპია კრიტიკული მასის წარმოქმნა ერთობლივ მოქმედებათა დასაწყებად. მაგალითად, მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაცია გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების პრობლემის



გარშემო შედგენილ კოტოს ოქმს მიუერთდა, შესაძლებელი გახდა იმ მიჯნის გადალახვა, რომელმაც მოქმედებათა მთელი პროგრამის რეალიზება გახადა მიზანშეწონილი. უახლოეს მომავალში ეს სქემა ფართოდ იქნება გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, რადგან ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობაში შეთანხმება მხოლოდ ისეთ სფეროებშია რეალისტური, რომლებიც კონკრეტულ სერიოზულ მოვალეობებს არ აკისრებს მათ. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა პრობლემის გადაჭრა გადადებას არ ითმენს, გადანყვებილება იმ ქვეყნებმა უნდა მიიღონ დაუყოვნებლივ, რომლებიც ამ მომენტისთვის არიან მზად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად თავისი ხალხისა და მთელი მსოფლიოს წინაშე.

3. გლობალური ეკონომიკური სისტემის მენეჯმენტის გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, უმთავრესად, წამყვანი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მართვის მექანიზმების გარდაქმნის გზით. მართლაც, არსებობს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უახლოეს წლებში სახელმწიფოებს საგრძნობ დათმობებზე ნასვლა მოუწევთ საერთაშორისო სტრუქტურების კომპეტენციების ზრდის სასარგებლოდ, რათა ამაღლდეს მსოფლიო ეკონომიკის რეგულირებისა და მენეჯმენტის დონე. საქმე ისაა, რომ ცალკეული სახელმწიფოები ველარ უმკლავდებიან იმ პრობლემებს, რომლებიც მათი იურისდიქციის საზღვრებს სცილდებიან. იმ მსოფლიო ეკონომიკური პროცესების უარყოფითი შედეგებით განცდილი ზარალი, რომელთა ეფექტიანი მენეჯმენტიც ვერ ხერხდება, გადააჭარბებს ამ საერთაშორისო სტრუქტურებში ქვეყნების დამოუკიდებელი სტატუსის წყალობით მიღებულ სარგებელს. ამ მხრივ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების განვითარება წარიმართება ევროკავშირის როგორც ეკონომიკის ერთობლივად რეგულირების საქმეში მეტ-ნაკლებად წარმატებული ალიანსის ანალოგიით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხდება ეროვნული სუვერენული კომპეტენციების მკაცრად დოზირებული ნაწილის გადაცემა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ასევე მკაცრად შეთანხმებულ შემთხვევებში და ამ კომპეტენციების გამოყენებაც მკაფიოდ დანე-

სებული ლიმიტებით განხორციელდება.

2010 წლის ნოემბერში სეულში გამართულ სამიტზე „ოცეულმა“ შეიმუშავა გლობალური ეკონომიკური სისტემის ახლებური მენეჯმენტის პრინციპები, მაგრამ მისი ხორცშესხმის რეალური გზები დასახული არ ყოფილა. ევროკავშირში განვითარებული კრიზისული ტენდენციების გაძლიერებას და იაპონიის ფინანსურ სისტემაში მომხდარ ჩავარდნებს გლობალური მასშტაბის ადეკვატური ანტიკრიზისული ზომები არ მოჰყოლია. ამ შემთხვევაში „ოცეულმა“ თავი აჩვენა როგორც კონკრეტული და ამწუთიერი პრობლემების მოგვარების და არა - გლობალური ეკონომიკის მენეჯმენტის შემძლე, შედარებით ეფექტურმა ფორუმმა[3].

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა ძირითად საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციაში სერიოზული რეფორმების ჩატარება გახდება საჭირო. აქ გამონაკლისი არც ევროკავშირი იქნება, რომლის მთავარი პრობლემაცაა 15-დან 27 წევრამდე გაფართოების შემდგომ მისი ჯერაც დაუმთავრებელი ინსტიტუციონური რეფორმა. მის წარმატებებზე იქნება დამოკიდებული მსოფლიოში ევროკავშირის პოზიციების განმტკიცება.

რეფორმას საჭიროებს სსფ და მსოფლიო ბანკიც. ეს პირველ რიგში შეეხება ინსტიტუტების საქმიანობაში ცალკეული ქვეყნების როლსა და წარმომადგენლობას. მოსალოდნელია აშშ-ის როლის ერთგვარად შეკვეცა და კვოტების თანაფარდობის გადახედვა. რეფორმით ბევრი ისეთი ქვეყანა დაინტერესებული, რომელთა მნიშვნელობა და გავლენა საერთაშორისო საქმეებში სულ უფრო ფართოვდება. სასარგებლო გახდება მოვალე ქვეყნების მნიშვნელობის გადიდებაც, თუმცა კი ამის მიღწევა ადვილი არ იქნება.

მკვლევარები გამოყოფენ გლობალური ეკონომიკის მენეჯმენტის საუკეთესო სტრუქტურის განსაზღვრისადმი რამდენიმე მიდგომას. ერთ-ერთი მათგანია ე. წ. „მსოფლიო ხელისუფლების“ შექმნა, რაც, არსებითად, უტოპიური იდეაა. მეორეა უკვე არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების და, პირველ რიგში, გაეროს რეფორმირება იმგვარად, რომ უშიშროების საბჭო მთავრობის ფუნქციებს ასრულებდეს, გენერალური ანსამბლეა - პარლამენტის, სსფ კი - ცენტრალური ბანკის. ამ იდეას უფრო მეტი მომხრე

ჰყავს, თუმცა კი მას ვინრო ეტატისტურ მოსაზრებად განიხილავენ. მესამე მიდგომით, მსოფლიოს მმართველობითი სტრუქტურა უნდა იყოს ან ნატო, ან ეთგო, ან დიდი შვიდეული, ან აშშ როგორც ერთპოლუსიანი მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა მსოფლიოს პოლიცენტრულობას ვაღიარებთ, მაშინ წინა პლანზე გამოვა მეოთხე მიდგომა - კორპორაციული გლობალური მართვის კონცეფცია - სახელმწიფოებთან ერთად სამენარმეო სტრუქტურების, პროფკავშირების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა მენეჯმენტის სფეროში.

მაგალითად, გლობალური ეკონომიკის მენეჯმენტის სფეროში ერთ-ერთი სერიოზული მონოგრაფიის ავტორი ქემალ დერვიში მეტწილად მეორე მიდგომას ეყრდნობა და საჭიროდ მიიჩნევს ისეთ პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას, რომლებიც შესაძლებელს გახდინა გლობალიზაციის დემოკრატიულად მართვას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას საერთაშორისო სისტემის ეკონომიკურსა თუ პოლიტიკურ სფეროებში.

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ „რვიანის ჯგუფის“ აშკარა ნაკლია მასში იმ ქვეყნების გაუერთიანებლობა, რომლებსაც რეალური გავლენა აქვთ გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე და ეკონომიკის ლიდერობაზე აცხადებენ პრეტენზიას. ამას ადასტურებს „ოცთა ჯგუფის“ ჩამოყალიბება აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ, რომელშიც უკვე არიან წარმოდგენილი საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა გავლენიანი ქვეყნებიც.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის სერიოზული ჩავარდნა და ფინანსური წესრიგის მოშლა საქვეყნოდ აღიარეს ჩ20-ის ლონდონის სამიტზე, სადაც მიიღეს კიდევ გლობალური ფინანსური არქიტექტურის რეფორმირების ზომები. არსებითად, მოხდა იმის გაცხადება, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის არსებული მენეჯმენტი ხშირად ინვევდა ლიდერთა ჯგუფში არშემავალი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. ბრიტანეთის პრემიერის ბრაუნის დაპირებით, ამ სამიტის წყალობით დაიწყება საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ერა და დამყარდება ახალი მსოფლიო წესრიგი. ჩ8-დან ჩ20-ზე გადასვლა ალბათ სწორედ მსოფლიოს მრავალპოლუსიანობის აღიარებ-

ად უნდა აღვიქვათ, რომლის ახალი ძლიერი მოთამაშეები და მათი ალიანსები გაერთიანებული ძალისხმევით შეებრძოლებიან გლობალურ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისებს. ეს გლობალური ეკონომიკის მენეჯმენტის რეფორმირებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ. როგორც ცნობილია, ამას მოჰყვა ეკონომიკურ პროცესებზე ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე ახალი მაკოორდინებელი ორგანოს - ფინანსური სტაბილურობის საბჭოს შექმნა და სსფ-ის მოდერნიზების დაწყება, რაც უმთავრესად კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციის პროგრამას უნდა შეეხოს მისი დირექტიული ხასიათის შერბილების მიზნით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Мухамеджанова Д. Ш. Глобальное управление в условиях кризиса <http://wep.kz/stariysite/index.php?option>
2. Kemal Dervis. A. Better. Globalization. Washington, 2005. 301 p.
3. Спонтанность и управляемость в мировой системе. ж. Международные Процессы. т.10 №2(29) Май – август 2012 [www. intertrends. ru/twenty – ninth/12.htm](http://www.intertrends.ru/twenty – ninth/12.htm)
4. Глобальное экономическое регулирование. Под ред. В. Н. Зуева. М., Магистр, 2009, 569 с.

**ტრენინგების ეფექტიანობის მნიშვნელობა  
ბიზნესის განვითარებაში**

**მანანა სამადაშვილი**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

ტრენინგი მრავლისმომცველი სიტყვაა. იგი ერთდროულად სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მომზადება-გადამზადებას, აღზრდასა და წვრთნას ნიშნავს.

თანამედროვე ბიზნესის პირობებში თვისებრივად იცვლება კომპანიების, დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა. ასევე ორგანიზაციების მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები და მათდამი მიდგომებიც.

ორგანიზაციაში არსებული პოლიტიკა და მათი განხორციელების სტრატეგია არსებით ცვლილებებს ითხოვს პერსონალის მართვის სფეროშიც. პრიორიტეტული ხდება ადამიანური რესურსების მართვის პროცესში ეფექტური ტრენინგების თანამედროვე სისტემის გამოყენება. პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება და პროფესიული ჩვევების განვითარება ხელს უწყობს პერსონალის ფასეულობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ორგანიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას.

ორგანიზაციის გარე თუ შიდა ფაქტორთა სწრაფი ცვლილებები განაპირობებენ სათანადო უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით ორგანიზაციის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტრენინგების სისტემის გამოყენების დანერგვა ნებისმიერ ორგანიზაციაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და პრიორიტეტულ ამოცანას.

ტრენინგების თანამედროვე სისტემის დანერგვას განაპირობებს შემდეგი სამი ფაქტორი:

- ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიღწევა;
- ადამიანური რესურსების როლის და მნიშვნელობის მნიშვნელოვანი გაზრდა;

• ნებისმიერი სახის ინოვაციათა დანერგვა ტრეინინგის თანამედროვე სისტემის მიზანს და ამოცანებს წარმოადგენს:

- ორგანიზაციაში პროფესიულ-კვალიფიციური კადრების მომზადება ნებისმიერი თანამდებობის შესაბამისად

- ახალმიღებული თანამშრომლის პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება.

ტრეინინგების ნებისმიერი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტრეინინგის საჭიროებათა განსაზღვრა. აუცილებელია გაიმიჯნოს ახალმიღებულთა და ორგანიზაციაში უკვე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომუშავეთა ტრეინინგების პროგრამები. პირველ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს, თუ რამდენად კარგად არის შესრულებული. მეორე შემთხვევაში კი რაში მდგომარეობს სამუშაოს არასათანადო დონეზე შესრულების მიზეზი.

ტრეინინგის შეფასებას განსაზღვრავენ შემდეგი კრიტერიუმები:

• ტრეინინგში მონაწილე პერსონალის რეაქციები;

• ტრეინინგში მონაწილე პერსონალის მიერ შეთვისებული ფაქტები, პრინციპები და უნარები;

• ტრეინინგის პროგრამის გავლის შედეგად მუშაობის პროცესში გამოწვეული ცვლილებები;

• ტრეინინგის პროგრამის გავლის შედეგად მიღებული შედეგები, რაც გამოიხატება მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში

ტრეინინგის და განვითარების პროგრამების შედეგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების პოზიტიურობა, ნეგატიურობა ან ნეიტრალურობა.

ტრეინინგის პროგრამის შედეგენის დროს პოზიტიურობა განპირობებულია შემდეგით:

• სამუშაო გარემოსა და ტრეინინგის ჩატარების მაქსიმალური სიახლოვით;

• რეალურ სამუშაო პირობებში ტრეინინგის მონაწილეთათვის მიწოდებული ცოდნის და მისი გამოყენების პრინციპების სწორად გამოყენებით;

## **ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი**

• მან მონაწილეებს უნდა მისცეს რეალური სიტუაციის გამკლავების აუცილებელი გამოცდილება

ტრენინგის პერიოდულობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა და მისი განვითარება-სრულყოფა;

- სამუშაოზე ახალმიღებულთა ადაპტირება;

- თანამდებობრივი დანიშნულება;

- არსებული თანამდებობებისადმი ფუნქციების გაფართოება;

- ახალი პროფესიულ-კვალიფიციური მოთხოვნების ჩამოყალიბება;

- პერსონალის განვითარების აუცილებლობა;

- ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პროცედურების დანერგვის აუცილებლობა;

- თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის კონკრეტულ სფეროში გამოყენების აუცილებლობა;

- ახალი პრაქტიკული მიდგომების გამოყენება;

- პერსონალის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და სხვა

ფგუფური ტრენინგის ჩატარების უპირატესობა ინდივიდუალურ ტრენინგთან მიმართებაში გამოიხატება მასალის უფრო კარგად ათვისება-დამახსოვრებაში და შედარებით სიიაფში. კორგანიზაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მისი მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, რაც განისაზღვრება ტრენინგის ჩატარების აუცილებლობით.

ტრენინგში წარმატების მიღწევის მოტივაციაზე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

• პოზიტიური სამუშაო გარემო;

• ადამიანის სუსტი მხარეების გამოსწორება ტრენინგის მეშვეობით;

• ტრენინგის შედეგების ეფექტურად გამოყენება;

• მწვრთნელის, ხელმძღვანელის და თანამშრომლების მხრიდან უკუკავშირის არსებობა;

• ტრენინგის პროგრამის გავლის შედეგად მიღებულ სასურველ შედეგებში დარწმუნება.

ტრეინინგის ეფექტიანობის შეფასება განისაზღვრება:

- ტრეინინგის გავლის შედეგად მიღებული სარგებელით როგორც ორგანიზაციისათვის, ასევე ტრეინინგავლილი პერსონალისათვის;
  - ტრეინინგის შედეგების ასახვით ორგანიზაციის კონკრეტულ საქმიანობაზე;
  - ეფექტიანი სასწავლო პროგრამებით;
  - ტრეინინგის მიზნების მიღწევით;
  - სასწავლო პროგრამების ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობით;
  - სწავლების ეფექტიანი მეთოდების და ფორმების გამოყენებით;
  - ორგანიზაციის პერსონალის, ასევე ტრეინინგავლილების მიერ ტრეინინგის სისტემის შეფასებით;
  - ნაკლოვანებებით და მიღწევებით, რითაც ხასიათდება ორგანიზაციაში უკვე არსებული ტრეინინგების სისტემა
- ორგანიზაციები, რომლებიც გაგებით ეკიდებიან ტრეინინგის თანამედროვე სისტემის გამოყენებას თავიანთ ორგანიზაციებში უფრო ეფექტურად მუშაობენ და მეტ წარმატებებს აღწევენ სხვა ორგანიზაციებთან შედარებით, სადაც ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებენ ტრეინინგის სისტემას.



## NEW APPROACHES TO ASSESSMENT OF TAX RISKS

**Armenian State University of Economics**

**ASHOT MATEVOSYAN**

**Dean, accounting and auditing, Doctor of Economic Sciences,**

**Armenian State University of Economics**

**VAHAN BAGHDASARYAN**

**Vice-Dean Department of finance, PhD in Economics**

Financial activity involves organizations numerous financial risks, the management of which is important factor in improving and maintaining the stability of the financial management of the organization. The most significant financial risks are the risks of tax, as tax-related financial activities of all spheres of organizations. The high relevance of tax risk management determined a significant share of tax payments in the total amount as expenses and cash outflows, as well as sufficiently high level of tax burden Armenian commercial organizations.

